

ა(65)
გ-362

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აპდ. იმ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
Институт истории имени И. А. Джавахишвили

მასალები

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.

МАТЕРИАЛЫ О ИСТОРИИ ГРУЗИИ И КAVКАЗА

1948

ნაკვეთი I ВЫПУСК

(26)

მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წიგნის
ისტორიისათვის

შეასავლი წერილი, შენიშვნები და სპიტირებული დაურთო

შოთა მეტსნიაშ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

1948

Тбилиси

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АК А Д Е М И Я Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
Институт истории имени И. А. Джавахишвили

მასალები

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КAVKAZA.

1948

ნაკვეთი I ВЫПУСК

(26)

P-8528

მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოსელო ფეოდალის
ისტორიისათვის

შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო

შოთა მეხსიამ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი

1948

Тбилиси

ს ა რ ჩ ე მ ი

შოთა მესხია—მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ 013—038.

ს ა ბ უ თ ე ბ ი 1—111

1. იოანე ორბელიანის 1803 წ. 28 აპრილის მოხსენება ციციანოეს 1
2. სარდალ—სახლთუხუცესის სარგო იოანე ორბელიანის მიერ შედგენილი 2—3
3. გიორგი XII-ის 1800 წ. 13 ოქტომბრის წყალობის წიგნის პირი იოანე ორბელიანისათვის ქართლის სახლთუხუცესობის ბოძების შესახებ 4
4. იოანე ორბელიანის 1803 წ. 15 მაისის მოხსენება ციციანოეს 4--5
5. მისივე 1803 წ. 19 მაისის მოხსენება ციციანოეს 5--6
6. მისივე 1803 წ. 25 ივნისის მოხსენება ციციანოეს 6--7
7. კახეთის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ჩოლაყაშვილის მოხსენება ციციანოეს თავის სარგოსა და სახელოს შესახებ 7--8
8. გიორგი XII-ის 1799 წ. 11 დეკემბრის ბრძანების თარგმანი ქაიხოსრო ჩოლაყაშვილის კახეთის სახლთუხუცესად დანიშვნის შესახებ 8
9. კახეთის მეორე სახლთუხუცესის ალექსანდრე მაყაშვილის მოხსენება ციციანოეს თავის სარგოსა და სახელოს შესახებ 9
10. გიორგი XII-ის 1800 წ. 12 იანვრის წყალობის სიგლის თარგმანი ალექსანდრე მაყაშვილისათვის კახეთის ერთი ნაწილის სახლთუხუცესობისა და არმის ეშიკილასბაშობის ბოძების შესახებ 10—11
11. დედოფლის სახლთუხუცესის გიორგი ნოდარიშვილის მოხსენება ციციანოეს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 11
12. დარეჯან დედოფლის 1770 წ. 1 ივლისის წყალობის სიგლის თარგმანი გიორგი ნოდარიშვილისათვის კახეთში დედოფლის სახლთუხუცესობის ბოძებას შესახებ 12
13. ქაიხოსრო და იოანე სუმბათაშვილების მოხსენება ციციანოეს მათი სახელოთა და სარგოს შესახებ 13
14. გიორგი XII-ის 1799 წ. 17 ივნისის ბრძანების თარგმანი მოლარეხუცეს ქაიხოსროსა და მოლარე პაპას სახელზე 14
15. მოლარეხუცესის ნიკ. შარვაშიძის 1803 წ. 3 ივნისის მოხსენება ციციანოეს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 14
16. მისივე 1803 წ. 17 ივნისის მოხსენება ციციანოეს 15

17. (1) გიორგი XII-ის 1799 წ. 15 იანვრის წყალობის სიგლის თარგმანი მოლარეთხუცეს ნიკოლოზ შარვაშიძის ამავე სახელოში დამტკიცების შესახებ 15
- (2) გიორგი XII-ის 1799 წ. 15 იანვრის წყალობის სიგლის თარგმანი ნიკ. შარვაშიძისათვის სამოლარეთხუცო ჯამაგირის დანიშვნის შესახებ 15
18. სალაროს ნაზირის ევეენ აბაშიძის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 16
19. იოსებ მელიქიშვილის მოხსენება ციციანოვს 17
20. ლაშქარნივისისა და სალაროს მუშრბიბის იოსებ მელიქიშვილის სახელოთა და სარგოს ნუსხა 17—19
21. გიორგი XII-ის 1800 წ. 11 მარტის წყალობის წიგნის პირი იოსებ მელიქიშვილისათვის ლაშქარნივისობისა და „ქარზე მწერლობის“ ბოძების შესახებ 19—20
22. დავით ბატონიშვილის 1800 წ. 17 დეკემბრის სიმტკიცის წერილის პირი იოსებ მელიქიშვილის ლაშქარნივისის სახელოში დამტკიცების შესახებ 20—21
23. ფეშქაშნივის შიაოშ თუმანიშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ (რუსულ ენაზე) 22
24. ერეკლე II-ის მიერ 1797 წ. 15 ივნისის შიაოშ თუმანიშვილისადმი ბოძებული საფეშქაშნივისო სარგოს პირი 22—23
25. ერეკლე II-ის 1791 წ. 1 ივლისის წყალობის სიგლის თარგმანი შიაოშ თუმანიშვილისათვის ქართლ-კახეთის ფეშქაშნივისობის ბოძების შესახებ 23—24
26. ქარხნის ნაზირ დავით მაყაშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 24
27. გიორგი XII-ის 1799 წ. 14 ნოემბრის წყალობის სიგლის თარგმანი დავით მაყაშვილისათვის ქარხნის ნაზირის სახელოს ბოძების შესახებ 25
28. ნაზირ იოანე შალიკაშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 25—26
29. ნახარაღისანის 1696 წ. 10 მარტის წყალობის წიგნის თარგმანი ედიშერ შალიკაშვილისათვის ქარხნის ნაზირობის ბოძების შესახებ და გიორგი XI-ის 1799 წ. 25 იანვრის მინაწერი ამავე სახელოში იოანე შალიკაშვილის დამტკიცების შესახებ 26
30. ნაზირ იოსებ ჭავჭავაძის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 27
31. ნაზირ ბარამ გურგენიძის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 27
32. ქარხნის მუშრბიბ იოსებ კალატოზოვის მოხსენება ციციანოვს 28
33. გიორგი XII-ის 1800 წ. 28 აგვისტოს ბრძანების თარგმანი იოსებ კალატოზოვის ქარხნის მუშრბიბის სახელოში დამტკიცების შესახებ 28
34. ამბარდან გიორგი ბიბილურის მოხსენება ციციანოვს 28—29

35. ზაალ ორბელიანის მოხსენება ციციანოვს 29
36. გიორგი XII-ის 1800 წ. 14 იენისის სიგლის თარგმანი ზაალ-ბეგ ორბელიანის ქართლის „პროვიანტმასიტერად“ (1) დამტკიცების შესახებ 29—30
37. (1) გიორგი XII-ის 1798 წ. 14 იენისის წყალობის წერილის თარგმანი ზაალ-ბეგ ორბელიანის ქართლის სურსათის იასაულად(?) დამტკიცების შესახებ 30—31
(2) ერეკლე II-ის 1792 წ. 25 აგვისტოს ბრძანების რუსული თარგმანი ზაალ ორბელიანის საიასაულო სარგოს შესახებ 31
38. მდივან არტემ მოძღვრის შვილის მოხსენება ციციანოვს 31
39. (1) გიორგი XII-ის 1799 წ. 13 მარტის წყალობის სიგლის თარგმანი არტემ მოძღვრის შვილისათვის მდივნის სახელოსა და ჯამაგირის ბოძების შესახებ 32
(2) გიორგი XII-ის 1799 წ. 10 მარტის ბრძანების თარგმანი არტემ მოძღვრის შვილისათვის ყოველდღიური ულუფის მიცემის შესახებ 32
40. მდივან-მდივანბეგის სიმონ ქობულაშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოთა და სარგოთა შესახებ 33
41. იოანე ბეგთაბეგოვის მოხსენება ციციანოვს თავის ჯამაგირისა და ულუფის შესახებ 33
42. გიორგი XII-ის 1799 წ. 28 მარტის ბრძანების თარგმანი იოანე ბეგთაბეგოვის მდივანად და მოლარეთხუცად დამტკიცების შესახებ 34
43. ბირაველ თუმანიშვილის 1805 წ. 17 დეკემბრის მოხსენება გუდოვიჩს 34—35
44. პოლკოვნიკის, ლაშქარნივისის და მდივნის იოანე ქობულაშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოთა და სარგოთა შესახებ 35
45. (1) გიორგი XII-ის 1798 წ. 24 მაისის სიგლის თარგმანი იოანე ქობულაშვილისათვის არტილერიის პოლკოვნიკობის წყალობის შესახებ 36
(2) გიორგი XII-ის 1798 წ. 10 დეკემბრის სიგლის თარგმანი იოანე ქობულაშვილისათვის კახეთის ლაშქარნივისობის წყალობის შესახებ 36
(3) გიორგი XII-ის 1799 წ. 11 ოქტომბრის ბრძანების თარგმანი იოანე ქობულაშვილისათვის სამდივნო სარგოს გაცემის შესახებ 36—37
46. გიორგი XII-ის 1799 წ. 24 მაისის წყალობის წიგნის პირი ეგნატი თუმანიშვილისათვის მდივნობის სარგოს წილის შესრულების შესახებ 37—38
47. „ირაკლის მწერლის“ ნიკოლოზ ონიკოვის მოხსენება ციციანოვს 38
48. მწერალი დიმიტრი საგინოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და ჯამაგირის შესახებ 39
49. დავით ბატონიშვილისა და საქართველოს თავად-აზნაურთა ხელმოწერით დადასტურებული „მოწმობის“ თარგმანი დიმიტრი საგინოვის მდივნის სახელოში ყოფნის შესახებ 39—40
50. მდივნის ერთი სიღამოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 40—41

51. მარიამ დეცოფლის 1800 წ. 6 თებერვლის წყალობის წიგნის თარგმანი ერთეუ სიღმონოვისათვის მდივნობის ბოძების შესახებ 41
52. ლაშქარნივისის მანუაზარ თუმანიშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 41—42
53. გიორგი XII-ის 1800 წ. 1 მაისის ბრძანება მღვიან მანუაზარ თუმანიშვილის ლაშქარნივისის სახელოში დამტკიცების შესახებ 42—43
54. ლაშქარნივისის ომან ხერხეულიძის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 43
55. გიორგი XII-ის 1798 წ. 20 ივლისის წყალობის წიგნის თარგმანი რმან ხერხეულიძის ლაშქარნივისის სახელოში დამტკიცების შესახებ 44
56. მარზა აფრამ ენიკოლოფოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოთა და სარგოთა შესახებ 44—45
57. (1) ერეკლე II-ის 1791 წ. 8 მაისის სივლის თარგმანი აფრამ ენიკოლოფოვისათვის ლაშქარნივისობის წყალობის შესახებ 45
 (2) გიორგი XII-ის 1800 წ. 15 სექტემბრის სივლის თარგმანი აფრამ ენიკოლოფოვისათვის არახლოს მოურაობის წყალობის შესახებ 45—46
 (3) გიორგი XII-ის 1800 წ. 10 იანვრის ბრძანების თარგმანი აფრამ ენიკოლოფოვისათვის კუთვნილი ჯამაგირის გაცემის შესახებ 46
58. „სამორდალო განწესება“ ზაალ ბარათაშვილის მიერ შედგენილი . 46—47
59. გიორგი XII-ის 1800 წ. 16 ოქტომბრის ბრძანების თარგმანი მორდალო ზაალ ბარათაშვილისათვის კუთვნილი სარგოს გაცემის შესახებ 47
60. „სამორდალო განწესება“ და „თელავის მოურავის განწესება“ შედგენილი იროდიონ გურგენიძის მიერ 47—49
61. ქალაქის მდივანბეგის ნიკოლოზ ციციშვილის მოხსენება ციციანოვს. 49
62. გიორგი XII-ის 1800 წ. 9 მარტის სივლის თარგმანი ნიკოლოზ ციციშვილისათვის მდივანბეგობის წყალობის შესახებ 49
63. მდივანბეგ ბეჟან ერისთავის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 50
64. გიორგი XII-ის 1800 წ. 31 ივლისის ბრძანების თარგმანი ბეჟან ერისთავისათვის სამდივანბეგო ჯამაგირისა და ულუფის დამტკიცების შესახებ 50—51
65. მდივანბეგ იოანე ჩოლაყაშვილის მოხსენება იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძეს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ. 51
66. ერეკლე II-ის მიერ 1795 წ. 13 აპრილს მდივანბეგ დავით ჩოლაყაშვილისადმი ბოძებული ჯამაგირის წიგნი და ამ წიგნზე მიწერილი გიორგი XII-ის 1798 წ. 27 მაისის ბრძანება მისი დამტკიცების შესახებ 51—52
67. გიორგი XII-ის 1798 წ. 19 მაისის ბრძანების თარგმანი იოანე ჩოლაყაშვილისათვის მდივანბეგობის ბოძების შესახებ 52

68. ერეკლე II-ის მიერ 1796 წ. 26 დეკემბერს ზაალ ბარათაშვილისათვის „ბოძებული მდივანბეგობის სიგლის პირი“ 52—53
69. გიორგი XII-ის 1800 წ. 7 დეკემბრის ოქმის პირი მდივანბეგ-ყორისაულბაშ ზაალისათვის, ჯამაგირის გარიგების შესახებ 53—54
70. სასამართლოს ხაზინადარის ფარსადან ყორღანაშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და საოგოს შესახებ 54
71. სია XVIII ის მდივანბეგთა, მდივანთა და ლაშქარნიცისთა 55—57
72. ემიკლასბაშ ასლან ორბელიანის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 57—58
73. (1) გიორგი XII-ის 1799 წ. 21 მაისის სიგლის თარგმანი ასლან ორბელიანისათვის ქართლის ემიკლასბაშობის წყალობის შესახებ. 58—59
(2) გიორგი XII-ის 1800 წ. 2 სექტემბრის ოქმის თარგმანი 59
74. აიდემურ ვაჩნაძის მოხსენება ციციანოვს 59
75. გიორგი XII-ის 1799 წ. 5 დეკემბრის სიგლის თარგმანი აიდემურ ვაჩნაძის ხალვათხანის ემიკლასბაშის სახელოში დამტკიცების შესახებ 59—60
76. გორის ციხის მინბაშისა და ხალვათხანის ემიკლასბაშის გიორგი ციციშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 60
77. გიორგი XII-ის 1800 წ. 20 ივნისის სიგლის თარგმანი გიორგი ციციშვილისათვის ხალვათხანის ემიკლასბაშობის წყალობის შესახებ. 60—61
78. არმის ემიკლასბაშის გიორგი ხერხეულიძის მოხსენება ციციანოვს. 61
79. გიორგი XII-ის 1799 წ. 2 აგვისტოს სიგლის თარგმანი გიორგი ხერხეულიძისათვის არმის ემიკლასბაშობის ბოძების შესახებ 61—62
80. ერეკლე II ის მიერ 1783 წ. 10 ივლისს ზაალ ბარათაშვილისათვის „ბოძებული ყორისაულბაშობის სიგლის პირი“ 62—63
81. ყორისაულბაშის ნაიბ თაყა არლუთოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 63
82. გიორგი XII-ის 1798 წ. 3 სექტემბრის სიგლის თარგმანი თაყა არლუთოვისათვის ყორისაულბაშის ნაიბობის წყალობის შესახებ 64
83. ბოქაულთხუცესის პავლე საგინოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ (რუსულ ენაზე) 64
84. ბოქაულთხუცესის მანუჩარ ციციშვილის მოხსენება ციციანოვს 65
85. გიორგი XII-ის 1798 წ. 29 დეკემბრის ბრძანების თარგმანი პაპუას ბოქაულთხუცესად დამტკიცების შესახებ 65
86. ბოქაულთხუცესისა და უზბაშის ზურაბ ფალავანდოშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოთა და სარგოთა შესახებ 65—66
87. ქეშიქიაშის ნაიბის დავით აბაშიშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 66
88. (1) გიორგი XII-ის 1798 წ. 2 მარტის ბრძანების თარგმანი დავით აბაშიშვილისათვის სახელოს, ჯამაგირისა და ულუფის დამტკიცების შესახებ 67

(2) გიორგი XII-ის მიერ 1798 წ. 28 დეკემბერს დავით აბაშიშვილის სახელზე დაწერილი ბრძანების თარგმანი	67
89. მემანდარ მირზას 1803 წ. 11 მაისის მოხსენება ციციანოვს თავის სახელსა და საარგოს შესახებ	67
90. მემანდარ მირზას 1803 წ. 3 ივლისის მოხსენება ციციანოვს	68
91. გიორგი XII-ის 1798 წ. 3 აგვისტოს ბრძანების თარგმანი მირზას ისევ მემანდრად დამტკიცების შესახებ	68
92. პაპა არლუთოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელს შესახებ . 68—69	
93. გიორგი XII-ის 1799 წ. 27 დეკემბრის სიგლის თარგმანი პაპა არლუთოვისათვის იასაულთა ამხანაგობის წყალობის შესახებ	69
94. ნასახჩიბაშის ნაიბის გიორგი ვეზირიშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სახელს შესახებ	70
95. გიორგი XII-ის 1798 წ. სიგლის თარგმანი გიორგი ვეზირიშვილისათვის ნასახჩიბაშის ნაიბობის წყალობის შესახებ	70—71
96. მილახვარ ზურაბ ორბელიანის მოხსენება ციციანოვს	71
97. გიორგი XII-ის 1800 წ. 28 მარტის სიგლის პირი ზურაბ ორბელიანისათვის ქართლის მილახვრობის ბოძების შესახებ	71—72
98. მიშკარბაშ იოსებ ბებუთოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელს შესახებ	72
99. გიორგი XII-ის 1800 წ. 13 აგვისტოს ბრძანების თარგმანი მიშკარბაშ იოსებ ბებუთოვის ბაიდარის მოურავად დამტკიცების შესახებ	73
100. ფარეშთუქესის ანდუყათარ გამყრელიძის მოხსენება ციციანოვს	73
101. მელვინეთხუტის თომა მელვინეთხუციშვილის მოხსენება ციციანოვს	73—74
102. გიორგი XII-ის 1798 წ. 21 სექტემბრის სიგლის პირი თომა მელვინეთხუციშვილისათვის მელვინეთხუციშვილისათვის მელვინეთხუციშვილისათვის ბოძების შესახებ	74—75
103. გიორგი XII-ის 1799 წ. 16 სექტემბრის ბრძანება კარის მოხელეთადმი თომას მელვინეთხუციად დამტკიცების შესახებ	75
104. ერეკლე II-ის 1799 წ. 27 ივლისის ოქმის პირი მემანდრების სარგოს მემანდრებში განაწილების წესის შესახებ	75
105. ერეკლე II-ის 1786 წ. 28 სექტემბრის ბრძანების პირი მემანდრების თაბუნისათვის სარგოს დამტკიცების შესახებ	76
106. იოსებ სოლოლაშვილის მოხსენება ციციანოვს	76
107. იოჰნე სოლოლაშვილის მოხსენება ციციანოვს	76
108. ფრანგისთან თურქისტანოვის მოხსენება ციციანოვს	77
109. ერეკლე II-ის მიერ 1778 წ. 12 ივლისს ნიზი(?) თურქისტანიშვილისათვის მიცემული ჯაბაგირის წიგნი	77
110. თომა ჩიკოიძის მოხსენება ციციანოვს	77
111. გიორგი XII-ის მიერ 1798 წ. 12 სექტემბერს თომა ჩიკოიძისათვის მიცემული სარგოს წიგნის თარგმანი	78
112. დიმიტრი გარეჯანიშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სარგოს შესახებ	78

113. გიორგი XII-ის 1798 წ. 31 დეკემბრის ბრძანების თარგმანი დიმიტრი ვარსკვლავიშვილის კუთვნილი სარგოს გაცემის შესახებ 79
114. ხეჩატურ ბებუროვის მოხსენება ციციანოვს 79
115. გიორგი XII-ის 1800 წ. 9 ივნისს ხეჩატურ ბებუროვისათვის მიცემული ჯამაგირის წიგნის თარგმანი 79—80
116. მაიორ დავით ნაზაროვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 80
117. გიორგი XII-ის 1800 წ. 30 აგვისტოს სივლის თარგმანი დავით ნაზაროვისათვის მაიორის ხარისხის ბოძების შესახებ 80—81
118. კაპიტან გიორგი თუმანიშვილის მოხსენება ციციანოვს თავის სარგოს შესახებ 81
119. ერეკლე II-ის 1789 წ. 27 აგვისტოს სივლის თარგმანი გიორგი თუმანიშვილისათვის კაპიტნის ხარისხის ბოძების შესახებ 82
120. კაპიტან გიორგი ჭუმბურიძის 1803 წ. 18 მაისის მოხსენება ციციანოვს 83
121. მისივე მოხსენება ციციანოვს კაპიტნის სარგოს შესახებ 83—84
122. ოთარ ამილახვარის 1802 წ. 21 მარტის მოხსენება ციციანოვს 84
123. მისივე 1803 წ. 12 ივნისის მოხსენება ციციანოვს 85
124. მისივე მოხსენება ციციანოვს ამილახვარისა და გორის მოურავის სახელოსა და სარგოს შესახებ 85—87
125. როსტომის მიერ 1656 წ. გვი ამილახვრისადმი ბოძებული სასარდლოს გარიგების წიგნის პირი 87—88
126. რევაზ ანდრონიკაშვილის მოხსენება ციციანოვს 88
127. გიორგი XII-ის 1800 წ. 10 მაისის სივლის თარგმანი რევაზ ანდრონიკაშვილის ჭიჭიყის მოურავად და სასარდლად დამტკიცების შესახებ. 89
128. გიორგი ბატონიშვილის მიერ 1783 წ. 25 თებერვალს რევაზ ანდრონიკაშვილისადმი ბოძებული კირიხლუს მოურაობის გარიგების წიგნის თარგმანი 89
129. სამცხეთოს სარდლის ბეკია გედეონისძის მოხსენება ციციანოვს 90
130. (1) ერეკლე II-ის 1767 წ. 26 თებერვლის ბრძანება სასარდლად გოგია გედეონისძისადმი 90
(2) ერეკლე II-ის 1767 წ. 28 ნოემბრის ბრძანება შოშია და გოგია გედეონისძეებისადმი 90—91
131. ევსტ. ციციშვილის მოხსენება ციციანოვის თბილისის მოურავის სახელოსა და სარგოს შესახებ 91—92
132. ევსტ. ციციშვილის მოხსენება გიორგი XII-ს და მასზე მიწერილი გიორგი XII-ის 1800 წ. 28 აპრილის ბრძანება მელიქ დარჩიასადმი 92
133. დარჩია ბებუთოვის მოხსენება ციციანოვს 93—94
134. თბილისის მელიქ-მამასახლისის სარგო შედგენილი დარჩია ბებუთოვის მიერ 94—95
135. ვახტანგ VI-ის ბრძანების თარგმანი აშხარბეგ ბებუთოვის თბილისის მელიქად დანიშვნის შესახებ 96

136. ერეკლე II-ის 1760 წ. 6 მაისის სიგლის თარგმანი ალა ბებუთოვისათვის თბილისის მელიქობის, მამასახლისობისა და ნაცვლობის ბოძების შესახებ 96—97
137. გიორგი XII-ის 1798 წ. 10 ნოემბრის ბრძანების თარგმანი მელიქ დარჩიასადმი 97
138. ნაცვალ მიკირტუმ სურგუნოვის მოხსენება ციციანოვს თავის სახელოსა და სარგოს შესახებ 97—98
139. გიორგი XII-ის 1800 წ. 24 იანვრის სიგლის თარგმანი მიკირტუმ სურგუნოვისათვის თბილისის ნაცვლობის ბოძების შესახებ 99
140. გაბრიელ ყორღანაშვილის მოხსენება ციციანოვს (რუსულ ენაზე) 99—100
141. გიორგის XII-ის 1799 წ. 12 ოქტომბრის ბრძანება მელიქ დარჩიას გაბრ. ყორღანაშვილისათვის ბეთალმანი სახლის მიცემის შესახებ 100
- 142 (1) გიორგი XII-ის 1799 წ. 12 მაისის ბრძანება სახლთუხუცესა და მელიქს. გაბრ. ყორღანაშვილისათვის განწესებული ულუფის მიცემის შესახებ 100
(2) გიორგი XII-ის 1799 წ. 2 იანვრის ბრძანება მოხელეებს გაბრ. ყორღანაშვილისათვის განწესებული ულუფის მიცემის შესახებ 101
143. გიორგი XII-ის 1799 წ. 16 ნოემბრის წყალობის წიგნი ხატია როსტომაშვილისათვის ბაზრის ბაზაზბაშობის ბოძების შესახებ 101
144. მეწვრილმანეების მოხსენება გიორგი XII-ს 101—102
145. გიორგი XII-ის 1800 წ. 29 მაისის ბრძანება ასლანას მეწვრილმანეთა უსტამბაშად დამტკიცების შესახებ 102
146. საამ ბარათაშვილის მოხსენება ციციანოვს თაქლას მოურავისა და ელიბეგის სარგოს შესახებ 102—103
147. (1) გიორგი XII-ის 1800 წ. 14 მაისის ბრძანების თარგმანი საამ ბარათაშვილისადმი 104
(2) გიორგი XII-ის 1800 წ. 4 აგვისტოს ბრძანების თარგმანი საამ ბარათაშვილისადმი 104
148. თუშმოურავის ღურმიშხან ჩოლაყაშვილის მოხსენება ციციანოვს 104
149. დირბის მოურავის მაქსიმე დეკანოზოვის მოხსენება ციციანოვს 104—105
150. ფანბაკის მოურავის გიორგი ციციშვილის მოხსენება ციციანოვს 105
151. სახელმწიფო ყმების მოხსენება ციციანოვს ლომის-ციხის მოურავის შესახებ 105—106
152. მინბაშ ზაზა ამირჯიბის მოხსენება ციციანოვს 106—107
153. მინბაშ ბეჟან ამილახვარისშვილის მოხსენება ციციანოვს 107
154. ერეკლე II-ის 1792 წ. 5 იანვრის ბრძანების თარგმანი ბეჟან ამილახვარისშვილის სურამის მოურავად დამტკიცების შესახებ 107—108
155. ქეჟხა თეიმურაზ თეიმურაზოვის მოხსენება ციციანოვს 108
156. გიორგი XII-ის 1799 წ. 6 დეკემბრის ბრძანების თარგმანი თეიმურაზ თეიმურაზოვის სიღნაღის ქეჟხად დამტკიცების შესახებ 108
157. ოსი ბეღარის მოხსენება ციციანოვს (რუსულ ენაზე) 109
158. თელავის კარის ეკლესიის დეკანოზის დავითის მოხსენება ციციანოვს 109—110

159. ოთარ ქობულაშვილის ცნობა თელავის კარის ეკლესიის კრებულის
 ულუფის შესახებ 110
160. დავით-გარეჯის არხიმანდრიტის ილარიონის მოხსენება ციცი-
 ხოვს 110—111
- საძიებლები 112—130
- ა) პირთა სახელების საძიებელი 112—122
- ბ) ტერმინების საძიებელი 122—128
- გ) გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 128—130

მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების გადაწყვეტილებით ქვეყნდება წინამდებარე „მასალები“, სადაც თავმოყრილია ჩვენ მიერ საქართველოს ცენტრალურ ისტორიული არქივის, უმთავრესად ძველი საბუთებისა (ფ. 226, 227) და ნაწილობრივ მეორე, ფონდებიდან შერჩევით ამოკრეფილი დოკუმენტები.

დიდი ხანია ისტორიის განყოფილება საბუთების გამოცემას გარკვეული კლასიფიკაციის მიხედვით შეუდგა. წინამდებარე „მასალები“ შეეხება XVIII ს. დასასრულის ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობას. მაგრამ, რამდენადაც აქ მხოლოდ ცენტრარქივში დაცული და გარკვეული რიგის საბუთებია შეტანილი, რა თქმა უნდა, XVIII ს. ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ წყაროები ამით არ ამოიწურება.

საქ. ცენტრარქივის მე-8 ფონდის (ეხლანდელი ფ. 2—„Канцелярия главного управления Закавказским краем“) № 49 საქმე—„Разного рода просьбы, жалобы от грузинских князей и частных лиц“,—შეიცავს, მცირე გამონაკლის გარდა, ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოს მოხელეთა პ. ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებებს ქართველ მეფეთა დროს მათ მიერ ნაქონებ თანამდებობათა და სარგოს შესახებ.

ამჟამად № 49 საქმეში დანარჩელია მხოლოდ ამ მოხსენებათა რუსული პირები და მომხსენებელთა მიერ წარდგენილი სათანადო დოკუმენტთა თარგმანები.

თავის დროზე ამავე საქმეში ყოფილა არზა-მოხსენებათა დღენები და სიგელთა ქართული პირებიც, მაგრამ აღრე № 49 საქმიდან ყველა ქართულად დაწერილი მასალა, უმნიშვნელოთა გამოკლებით, ამოუღიათ და ძველ საბუთების ფონდში (226) აღურიცხავთ. ხოლო, 226 ფონდის კატალოგში ეს მოხსენებები ისეა შეტანილი, რომ № 49 საქმის გარეშე ისინი მკვლევართა ყურადღებას იშვითად თუ მიიქცევენ. ალბათ ამით აიხსნება, რომ ეს მნიშვნელოვანი მასალები დღემდე გამოუჩვენებელი და გამოუქვეყნებელი იყო.

226 ფონდიდანაა ამოკრეფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფილ მოხელეთა ყველა ის მოხსენება, რომელიც აქ ქვეყნდება. ჩვენთვის საინტერესო არზა-მოხსენებები, ორიოდეს გარდა, ქართულად არის დაწერილი.

ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შემდეგ სახელოსა და სარგოს გარეშე დარჩენილ ყოფილ მოხელეთა უფლებების გარკვევა დაიწყეს მათთვის ახალი თანამდებობის მიცემის თუ პენსიის დანიშვნის მიზნით. ამიტომაც, როგორც მასალებიდანაც ჩანს, ამგვარი არზა-მოხსენებების შედგენა ახალი მთავრობის განკარგულებით მომხდარა: „თქმუნის მალაღბრწყინვალებისა მიერ გამოცემუ-

ლისა უწყობითა წარმოუდგენ მალალ მთავრობასა თქუენსა სიგელსა და დამტკიცებულსა მეფისგორგისგან ჩემის სახელოსსა და აღესწერ სარგებლობასა ჩემსა ამავე ქალაქის ფურკელსა ზედა—სწერდა ქიხოსრო ჩოლაყაშვილი პ. ციციანოვს (იხ. აქვე, გვ., 7 საბ. 7). ევგენ აბაშიძე კი აცხადებდა: „თქმნის ბრწყინვალეებისა მიერ გამოცემულისა ბრძანებისა უწყებითა წარმოუდგენ ბრწყინვალეებასა მალალ მთავრობასა თქმუნსა არზას. ამას ჩემის სახელოს და სარგებლობისას“ (იხ. გვ. 16, საბ. 18); ან კიდევ, „თქვენგან ბრძანება იყო, ვისაც მეფეებთანგან ჯაზაგირის წყალობის წიგნები გქონდესთ, მაჩვენეთო, მამირთმე-ვია, და ნება თქვენის ბრწყინვალეებისა არის“, მიმართავდა ად. ვიზნაძე პ. ციციანოვს (გვ. 59, საბ. 74). მსგავსადვე მეორდება სხვა მოხსენებებშიაც.

ბრძანების შესაბამისად, ყოფილ მოხელეებს, არზა-მოსხენებებში მითითებული აქვთ როგორც მასთ სახელოზე, ასევე ამ სახელოს მიხედვით კუთვნილ უფლება-მოვალეობასა და სარგოზე. ამრიგად, ეს მოხსენებები, როგორც თვით შემდგენელნი უწოდებენ, „დასტურლამა“ ანუ მოხელეთა გარიგების წიგნებია. აქედან კი ნათელია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესასწავლად. ამას გარდა, ისინი ინტერესს მოკლებულნი არ არიან სხვა თვალსაზრისითაც.—თუ ვინაღაც როგორც XIX ს. დამდეგის ქართული საბუთები.

აღსანიშნავია, რომ ზოგი არზა უკვე გამოქვეყნდა (მაგ., რევაზ ანდრონიკაშვილის მიერ შედგენილი ქიზიყის მოურავის სარგო)¹, ზოგიც რუსულად თარგმნილი დაიბეჭდა (მელიქ-შამსახლისის სარგო)², ზოგის კიდევ მოკლე შინაარსი არის დაბეჭდილი რუსულად³, მაგრამ ცხადია აქ გამოქვეყნებული ორიგინალისა და საბუთის სრული ტექსტის უპირატესობა მის რუსულ თარგმანთან თუ მოკლე შინაარსთან. მით უფრო, რომ ზემოაღნიშნულთ გარდა, როგორც ვთქვით, არც ქართულად და არც რუსულად გამოქვეყნებული არ ყოფილა.

როგორც ზემომოტანილ ამონაწერებიდანაც ჩანს, ყოფილ მოხელეებს, განცხადებებისათვის სათანადო დოკუმენტებიც—მეფეთა მიერ ბოძებული სიგლები თუ ბრძანებები—უნდა დაერთოთ მათ მიერ მოხსენებულის სისწორის დასადასტურებლად. უამისოდ კი, როგორც პ. ციციანოვის მონაწერიდან ჩანს; ცნობა სახელოს თუ სარგოც შესახებ არ მიიღებოდა: „უნდა სიგლები წარმოადგინო, უამისოთ ეს არ მიიღება. თავადი ციციანოვი“—მიწერილი აქვს ივ. ქობულაშვილის მოხსენებას (გვ. 35, საბ. 44). ამიტომაც მომხსენებლებს სათანადო საბუთებიც წარუდგენიათ მთავარმართებლისათვის. ყოფ. მოხელეთა მიერ წარდგენილ საბუთთა რუსული თარგმანი, როგორც აღვნიშნეთ, არზა-მოსხენებების რუსულ პირებთან ერთად, შეტანილია № 49 საქმეში. თვით დოკუმენტები კი, როგორც ირკვევა, გადათარგმნისა თუ პირის გადაღების შემდეგ, პატრონს უბრუნდებოდა: გიორგი XII მიერ იონაე ორბელიანისადმი სახლთუხუცესობის ბოძების სიგელს მიწერილი აქვს: „ამისი ასლი ღრამოტა თავადმა იონაე ორბელიანოვმა მიიღო“ (გვ. 4, საბ. 3); ამგვარადვე, გაბრიელ

¹ იხ. საქ. სიძველენი, ტ. III, 138—139.

² იხ. АКТЫ, I, 196—197.

³ იხ. АКТЫ, II, 38—43.

ქორდანაშვილის მიერ წარდგენილ პირზე მიწერილია: „ამისი ასლი მივიღე, გაბრიელ ყორდანოვი“ (გვ. 101, საბ. 142). სიმონ ქობულაშვილი კი ციციანოვს სთხოვდა: „ამ სახელოების ოქმებიც ამ არზაში ძეს და ვედრებით ვითხოვ, რომ ოქმები როდესაც განიხილოთ, ისევ გვებოძოს“ (გვ. 33, საბ. 40). ყოველივე ამის გამო, მოხელეთა მიერ წარდგენილ საბუთთა დედნები ცენტრარქიეში დატული არ უნდა იყოს. სამაგიეროდ ან მათი ქართული პირები მრიპობა (ფ. 227), ან კიდევ, რუსული თარგმანი (ფ. 2, № 49). რაკი წარდგენილ საბუთთა დედნების უმეტესობა შეიძლება დაკარგულიც იყოს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია როგორც მათი ქართული პირები, ასევე რუსული თარგმანებიც. ამიტომაც, რამდენადაც შესაძლებელი იყო, 227 ფონდიდან ამოვკრიფეთ მოხელეთა მიერ წარდგენილ საბუთთა პირები, ხოლო როცა ამგვარი იქ არ აღმოჩნდა, ან ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, მათი რუსული თარგმნებით დავკმაყოფილეთ და ამა თუ იმ მოხელის მოხსენებას დაურთეთ. ამრიგად, წინამდებარე „მასალებში“ იბეჭდება არა მარტო მოხელეთა არზა-მოხსენებები, არამედ მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტთა, იშვიათ შემთხვევაში, დედნები, ან მათი პირები და უფრო მეტად კი, XIX ს. პირველ წლებში შესრულებული რუსული თარგმანები. ამ დოკუმენტებს, ორიგინალს თუ თარგმანს, შემოხსენებულ განცხადებებზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვთ, მით უფრო რომ მსგავსი შინაარსის საბუთები ჩვენ არც თუ ისე მრავალი მოგვეპოება.

მოხსენებიდან ჩანს, რომ ყოველი მოხელე სათანადო დოკუმენტის წარდგენას, სხვადასხვა მიზეზით, ვერ ახერხებდა. ამგვარ შემთხვევაში ის მოწმეთა დასტურს მიმართავდა, ან კიდევ რაიმე საბუთს, სადაც ის რომელიმე სახელოში იყო მოხსენებული. ასე მაგ., დიმიტრი საგინაშვილს იმის დასამტკიცებლად, რომ ის გიორგი XII ჰყავდა „სამსახურში მწერლობითა“, ბატონიშვილითა, თავადთა და აზნაურთა ხელმოწერით სათანადო „Свидетельство“ წარუდგენია (იხ. გვ. 39, საბ. 49). ჩვენ ამ მოწმობათა თუ სხვადასხვა სახის ბრძანებათა გამოქვეყნებაც მივიჩნიეთ საჭიროდ.

მაგრამ, ყველა არზა მოხსენებას არ ახლავს მოწმობა თუ სიგელი. მიუხედავად ჩვენი მონდომებისა, შეუძლებელი გახდა წარდგენილი ყველა დოკუმენტთა დაძიება. ვერც ყველა არზა-მოხსენებები მოხვდა წინამდებარე „მასალებში“. თუ „Акты“-ს II ტომში¹ გამოქვეყნებულ ქართველ მეფეთა მოხელეების სიის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენ არ გვაქვს მხოლოდ სარდლების—კონსტანტინე მუხრან-ნატონისა და გიორგი ციციშვილის, მაიორ ლუარსაბ ორბელიანისა და ეშვიკადასბაშის ნაიბის შანშე ტრისთავის მოხსენებები. ამრიგად, „მასალებში“ თავმოყრილი არზა-მოხსენებები თითქო მხოლოდ ოთხი მოხსენებითა ნაკლებია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, არზა-მოხსენებებსა და მათზე დართულ დოკუმენტებს ვარდა, ჩვენ ზოგი სხვა მასალაც შევიტანეთ: „ადგილთა მოურავეების“ უფლება-მოვალეობის გასათვალისწინებლად საჭიროდ მივიჩნიეთ თუშ-მოურავის დურმიშან ჩოლაყაშვილის, დირბის მოურავის მაქს. დეკანოზოვის, ფანბაყის მოურავის გიორგი ციციშვილისა და ლომის-ციხელ სახელმწიფო ყმე-

¹ იხ. გვ. 38—43.

ბის, სულ სხვა მიზნით, ციციანოვის სახელზე დაწერილი საჩივრების გამოქვეყნებაც, ამით გარდა, ქვეყნდება ვიორჯი XII ბრძანებები მეწვერილმანეთა უსტაბაშისა და ქალაქის ბაზარის ბაზაზბაშის დანიშვნის შესახებ; მათი განსაკუთრებული მნიშვნელობისა გამო.

* *

ჩვენს მიზანს არ შეადგენს აქ გამოქვეყნებულ მასალათა მიხედვით XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წესწყობილების შესწავლა, მაგრამ საჭიროდ ვცნობთ შევიჩრდეთ ზოგ იმ დასკვნაზე, რომელიც სახელდახელოდ შეიძლება გაკეთდეს ამ მასალათა მიხედვით.

ქართული სამოხელეო წყობილების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ხშირად რომელიმე ხელისუფალს, ერთსადამივედროს, რამდენიმე თანამდებობა ეჭირა. როგორც იოანე ორბელიანის მოხსენებებიდან ჩანს, მას სახლთუხუცესობასთან ერთად სარდლობაც ჰქონია და ამ ორი მაღალი ხელისუფლების გამაერთიანებელი გავლენიანი ფეოდალი, მისივე სიტყვით, ქართლში უპირველეს მოხელედ ითვლებოდა: „ვიყავ მე საქართველოს მეფეთა უპირველესი მეწინავე სპასპეტი, მქონებელი დროშისა, და გარდა ამისა, ვიყავ სახლთუხუცესიცა (ესე იგი, განმგე სამეფოვსა სახელოსა და შემოსავალ-გასავალთა)“ —სწერდა ივ. ორბელიანი პ. ციციანოვს (გვ. 5—6, საბ. 5). ამიტომაც ის თავის თავს „უპირველს მოწველ და პირველხარისხოვანად“; ან კიდევ, „საქართველოს შინა უპირველეს ყოვლისა სხვისა საგელოვსა“ მფლობელად თვლიდა (გვ. 5 საბ. 4.).

იოანე ორბელიანი ვამონაკლისი არ ყოფილა: კახეთის პირველ სახლთუხუცესს, ქაიხოსრო ჩოლაყაშვილს, ამ სახელოს გარდა, კახეთის მლაზერობაც ჰქონია (იხ. გვ. 7, საბ. 7); კახეთის მეორე სახლთუხუცესს, ალ. მყაუშვილს, კი ეპყრა აგრეთვე არმის ეშიკაღასბაშისა და კახეთის ხევისთავის სახელოც (გვ. 9, საბ. 9); ამილახვარს, იმეამაღაც, მემარჯვენე სარდლობასთან ერთად, გორის მოურაზბაც ჰქონდა (იხ. საბ. 124). ქაიხოსრო სუმბათაშვილი იყო მოლარეთხუცად და ლაშქარნივისადაც (გვ. 13, საბ. 13); ისევე მელიქიშვილი კი, თავისი წინაბრის მსგავსად, ლაშქარნივისი და ორივე სამეფოს საღაროს მუშორბი ყოფილა (გვ. 17, საბ. 20).

როგორც დარჩი ბებუთოვის განცხადებიდან ჩანს, ბებუთოვებს ძველიდანვე ეპყრათ ქალაქის მელიქისა და მამასახლისის სახელოები, ხოლო ერეკლე II მათ 1760 წ. ქალაქის ნაცვლობაც უბოძა: „საქართველოს მეფეთა შიერ ტფილისის მელიქ-მამასახლისობა ჩვენი ოჯახს პბოძებია“ (გვ. 93. საბ. 133), „ტფილისის ნაცვლობა ჩვენი არის“ — სწერდა დარჩი ბებუთოვი. ერეკლე II 1760 წ. სიგელში ნათქვამია: „Пожайовали сию грамоту и вид... мишкар-башу Аге, мелику Ашхарбекову сыну, детям твоим... утверждая вас меликом, мамасахлисом и нацвалом“ (გვ. 96. საბ. 136). მართალია, ბებუთოვებმა ნაცვლობა დაკარგეს, მაგრამ მელიქ-მამასახლისობა მეფობის გაუქმებამდე შეინარჩუნეს.

დამახასიათებელია, რომ ზოგი მოხელე იყო როგორც დარბაზის რიგის, ასევე საქვეყნოდ გამრიგვეც. აზნაური აფრიაბ ენკოლოფოვი თავის მოხსენებაში სწერდა: „პირველ მქონდა მირზობა მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისა და რუსუმი მქონდა მირზობისა“. ამას გარდა მას ჰქონდა „საქართველოში მეფე თათრების ლაშქარნივისობა“ და „არახლოს ელის მოურაობაც“ (იხ. აქვე, გვ. 44, საბ. 56). მის მიერ მოხსენებული დასტურდება ერეკლე II და გიორგი XII სათანადო სიგლებით (გვ. 45, საბ. 57).

იროდიონ გურგენიძე იყო მორდალი და თელავის მოურავიც (გვ. 47—49, საბ. 60). სიმ. ქობულაშვილს აღნიშნული აქვს: „მდივნობის შემოსავალი მქონდა სამოცდასამი თუმანი; სადიამბეგო შემოსავალი მქონდა ათი თუმანი; სპევისთაო შემოსავალი მქონდა ოცი თუმანი“ (გვ. 33, საბ. 40). ამთ გარდა მას „ქონდოლს ბატონისშვილის იულონის ზეარი“ ებარა და „დედოფლის დარბაის საფეოლი სანავარდო“ ჰქონია სამოურაოდ. კეთილშობილი ანდრეჟაფარ გამყარელიმ ყოფილა ფარეშთუხუცესი; შილდის მოურავი და დედოფლის სუფრავი (გვ. 73, საბ. 100). გიორგი ციციშვილი იყო გორის ციხის მინბაში, რუხისის მოურავი და ხალვათხანის ეშვიკადასბაში (გვ. 60, საბ. 76).

ზოგ პირს ხუთზე მეტი თანამდებობაც სჭერია. ასე მაგ., იოანე ქობულაშვილი ყოფილა არტყლერისი პოლკოვნიკი, კახეთის ლაშქარნივისი, მდივანი, მდივანბეგი, „მირანი ცარევიჩის სოფლის—შალაურის მოურავი“ და „ზავრატ ცარევიჩის სოფლის თათრის დემურჩების მოურავი“ (გვ. 35 საბ. 44). ყველა ამ სახელოთა შესახებ მას სათანადო დოკუმენტებიც წარუდგენია (იხ. გვ. 33—38). სალაროს ნაზირი ევგენ აბაშიძე სწერდა: „ამას გარდა ვარ მოურავი სურამისა, ხეფინის-ხევისა, აღის სოფლისა და თათრის სოფლის თაქლას მოურავი, რომლისკა მეფეთაგან ბოძებული მაქტნს სიგელნი“ (გვ. 16, საბ. 18). საერთოდ, ჩვენი მასალების მიხედვით, იშვიათად ყოფილა ისეთი მოხელე, რომელიც მხოლოდ ერთი თანამდებობით დაკმაყოფილებულა და ეს XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

წინამდებარე მასალები საინტერესოა ცნობებს შეიცავენ ამა თუ იმ თანამდებობის მემკვიდრეობით სახელოდ გადაქცევის შესახებაც. როგორც ჩანს, ფეოდალურ საქართველოში ადრე შენიშნული ეს მოვლენა, XVIII ს. ქართლ-კახეთის სამეფოსათვის კიდევ უფრო დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

იოანე ორბელიანი სწერდა: „უპირატესი და მეწინავე სარდლობა, გინა თუ სპასალარობა, ძველიდანვე შთამავლობით სა მემკვიცვი დროდ სახლსა შინა ჩემსა არს“ (გვ. 1, საბ. 1). ასევე სამეკვიდროდ ჰქონია ორბელიანთა სახლს სახლთუხუცესობაც. გიორგი XII სიგელში ნათქვამია: „ქართლის სახლთუხუცესობა ჩტნს შთამომავლთაგან თქტნს წინაპართ ერთგულდებისა და სრულის სამსახურის გამო წყალობად ჰსჭირებოდა და ამისთვის კურთხეულმა ბატონმა მამა ჩტნმა, ქართლის სახლთუხუცესობა მამაშენს დავითს სარდლობა უბოძა... მამა შენს უკან ეს სახლთუხუცესობა საჯელოდ შენ მოგცა მეფობაშიაც შენვე გეპირა“ (გვ. 4, საბ. 3).

8258-1



იოსებ პაპას-ძე მელიქიშვილი თავის სახელოებს, ლაშქარნივისობას და სალაროს მუშრობობას. „სამკვიდრო სახელოებად“ თვლიდა და მართლაც, როგორც გიორგი XII და დავით ბატონიშვილის მიერ იოსებ მელიქიშვილისადმი ბოძებულ სიგლეხებიდან ჩანს, პაპა მელიქიშვილს ერეკლესაგან „მიედო წყალობად სახელოები ესე: ლაშქარნივისობა კახეთისა და სალაროს მუშრობა მრჩობლ სამეფოსი“ (გვ. 20—21, საბ. 22).

მოლარეთბუცი ნიკ. შარვაშიძე ატყობინებდა ციციანოვს: „მამა ჩემმა სანატრელს მეფეს თეიმურაზს, მეფეს ირაკლის მრავალს ალაგს მსახურა და იმ სამსახურის გამო უბოძა თავის სალაროს ხაზინადრობა... მეფე გიორგიმაც... მამის სახელო მტკიცის სიგლით მიბოძა“ (გვ. 14, საბ. 15).

ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია გიორგი XII მიერ ეგნატი თუმანიშვილისადმი ბოძებული სიგელი, სადაც, სხვათაშორის, შენიშნულია: „როდესაც ბაგრატიონი მეფე საქართველოში დადგინებულა, ამავე მეფისაგან თქვენს ოჯახს სდიივნობა კბოძებია და მას აქეთ თქვენს ოჯახში მდივნობა არის, მეფეთათვისცა მდივნობით გამსახურნიათ და შენც კურთხეულს მეფეს ბატონს მამა ჩვენს მდივნობით მსახურებდი და მდივნობის სარგოც გქონდა ბოძებული“ (გვ. 46, საბ. 37).

მემკვიდრეობით ფლობდა თავის სახელოს თელავის მოურავი იროდიონ გურგენიძე: 1740 წ. სოლ. გურგენიძეს, მრავალგვარი სამსახურის სანუქფოდ, თეიმურაზმა „თელავის ბაზრის (=ქალაქის, შ. მ.). ტარულობა“ უბოძა¹, ხოლო მის შთამომავალს ირ. გურგენიძეს, მორდლობასთან ერთად, ეს სახელოც ჰქონდა და ციციანოვს თელავის მოურავის სათანადო „განწესებაც“ წარუდგინა (გვ. 47—49, საბ. 60).

როგორც ცნობილია, მემკვიდრეობით ქონდა მიღებული ამილახვრობა და გორის მოურაობა ოთარ ამილახორს: „ჩემი მოხსენება ეს არის: წინაპართა ჩემთა ქონდათ ამილახვრობა, სარდლობა და გორის მოურაობა მეფეთა თეიმურაზისაგან ბოძებული და მეფე ერეკლესაგან ბოძებული და აგრეთვე მეფის გიორგისაგან დამტკიცებული და არც იმის სიცოცხლეში ეს სახელოები არ ჩამომართმევია“ (გვ. 84, საბ. 122).

მემკვიდრეობით იყო დადებული თბილისის მელექ-მამისახლისის სახელოც: „სამასი წელი ვიდრემდე არს, სწერდა დარჩია ბებუთოვი, რომელ გვარეულნი ჩვენნი მოსულან ტფილისსა შინა; იმ დროდღან ამ ეამადმდე... პატივით უცხოვრიათ. წელსა ჩიდი (1714) დაწყებითგან, საქართველოს მეფეთა მიერ, ტფილისის მელიქ-მამისახლისობა ჩვენს ოჯახს კბოძებია“ (გვ. 93, საბ. 133). დარჩია ბებუთოვის მიერ მოხსენებული სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება. 1712 წ. საბუთში აშხარბეგ ბებუთოვი ქალაქის მამისახლისად არის მოხსენებული (იხ. ფ. 229, დავთ. 22, № 74), 1715 წ. კი მელიქად (იხ. 226, № 318), ხოლო 1725 წ. ნასყიდობის წიგნში უკვე მელიქ-მამისახლისად იხსენიება (ფ. 229, დავთ. 22, № 94). ამრიგად, მელიქ-მამისახლისობა ბებუთოვებს მართლაც ვახტანგ VI-ის დროს უნდა მიეღოთ. იმ დროიდან კი ეს სახელოები უმთავრესად ბებუთოვების ხელში იყო.

¹ საქ. სიძველენი, III 455; Акты, I, 40.

ასევე სამეგვიდროდ ითვლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს სხვა თანამედრობანიც, მაგრამ ამასზე სიტყვას არ გვაგვრძელებთ.

აღსანიშნავია, რომ სახელოს მემკვიდრეობით მიღება, როგორც ჩვენი მასალებიდანაც ჩანს, ხელს არ უშლიდა მეფეს, საჭირო შემთხვევაში ამა თუ იმ პირისათვის სამემკვიდრო სახელო წაერთმია. როგორც გიორგი XII სიგლიდან ირკვევა, დავით ორბელიანისათვის ერეკლეს, „რომლისამე მიზეზით“, სახლთუხუცესობა ჩამოერთმევეა; ხოლო შემდეგაც, როცა ეს სახელო მემკვიდრეობით იოანე ორბელიანმა მიიღო, გიორგიმ სახლთუხუცესობა თავის „მოსახმარისად ინება“ და იოანე ორბელიანს დროებით წაართვა: „სახლთუხუცესობა საწელოდ... ჩუქსნი მფეობაშიც შენვე გიჭირა; შემდგომად, ჩუქსნი მოსახმარისად ვინებეთ, შენც ჩუქსნის ერთგულობასათჳს დაგვითმე, და მცირეს ხანს ეს შენი სახელო სხუას მივეციტ“—სწერდა გიორგი XII იოანე ორბელიანისადმი ბოძებულ სიგელში (გვ. 4, საბ. 3). მსგავსი მაგალითების დასახელება კიდევ შეიძლება.

„მასალები“ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქართლ-კახეთის სამეფოს მოხელეთა გასტუმრების წესისა და რიგის შესახებ. რამდენადაც ზოგ მოხელეს, სარგოს გარდა, მეფისაგან ხშირად ჯამაგირიცა და ულუფაც ენიშნებოდა, მოხელეთა მიერ შედგენილ გარიგების წიგნებში მითითებულია, როგორც შემოსავალზე, ასევე მათთვის „გარდაკვეთით განწესებულ“ ჯამაგირზე და ულუფაზედაც. სუმბათაშვილები აცნობებდნენ ციციანოვს: „ჩვენ ვიყავით მოლარეთუხუცესი და ლაშქარნივისი და გვექონდა წელიწადში განწესებულნი ულუფა, ჯამაგირი და სარგო ესრეთ, ვითარცა წერილ არს ქვემოთ“ (გვ. 13 საბ. 13); „იქნა ამ მკვიდრად განწესებულის ჯამაგირისა, ულუფისა და სარგოსი ასი თუმანი“—მითითებდა მოხსენების დასასრულს ირსებ მელიქიშვილი (გვ. 18, საბ. 20). როგორც ჩანს, სახელოსათვის მიღებული ჯამაგირი, ულუფა და სარგო ერთმანეთისაგან გაირჩეოდა. ამიტომაც სწერდა ბეჟან ერისთავი, რომ „ამ ულუფას გარდა და ჯამაგირს გარდა, ჩემი სახელო მდივანბეგობიდან, ამ ულუფასა და ჯამაგირზედ ნამეტნობით, შემოსავალი მქონდა, თეთრი თუ სხვა რამ ნივთი... ამ განწესებულს, ულუფასა, ჯამაგირსა და ამდენის შემოსავალს გარდა გელდაჯელ მოწყალება სხვა მჭირდა მეფეთაგან“ (გვ. 50, საბ. 63). ამრიგად, მოხელეს ეძლეოდა „გარდაკვეთით“ ჯამაგირი და ულუფა და, ამას გარდა, ჰქონდა შემოსავალი სახელოს მიხედვით, რომელიც საქმის წარმოებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომაც არ შეიძლება წინასწარ განსაზღვრული ყოფილიყო. ამის გამო მოხელენი თავიანთ „დასტურლამაში“ ჯერ განწესებულ ჯამაგირსა და ულუფაზე მითითებდნენ და შემდეგ ვარაუდით იმ სარგოზე, რომელიც ამა თუ იმ სახელოდან შეიძლება მიეღოთ. ი. მელიქიშვილის სახელოთა გარიგების წიგნში ნათქვამია: „ლაშქარნივისობა და ამის ჯამაგირი თერამეტი თუმანი; სალაროს მუშრიბობა და ამის ჯამაგირი თორმეტი თუმანი; ამ ორსავე საწელოს ულუფა წელიწადში: პური და ქერი წარგალი ცამეტი და კრდი ექვსი; სახაბაზოდამ წმიდა პური დღეში დ (4); ცხვრის ხორცი ლიტრა ასოთხმოცდარხნეგარი. ღვინო თუნგი სამას-სამოცდახუთი...“ ამის შემ-

დღე კი ჩამოთვლილია ის სარგო რომელსაც სალაროს მუშრები ჩვეულებრივ იღებდა: „რაც მეფეების სარქარში ჯინში დაიხარჯებოდა, თუმანზე ორი აბაზი აღდებოდა, აქედამ ორი შაური მუსტოფისა იყო, ორი შაური სალაროს ნაზირისა, ორი შაური მოლარეთხუცისა, ერთი შაური სხვა მოკვლისა და ერთი შაურიც ამისი...“ (გვ. 17—18, საბ. 20).

ჯამაგირი, ულუფა და სახელოს მიხედვით კუთვნილი სარგოც მეფის სათანადო ბრძანებით განისაზღვრებოდა.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში ზოგი მოხელის სარგოს განსაზღვრელად ვახტანგ VI მიერ შედგენილი „დასტურლამალი“ ყოფილა მიღებული. გიორგი XII თომა მეღვინეთხუცისადმი ბოძებულ სიგელში, სხვათაშორის, წერდა: „ქართლისა და კახეთისა ჩვენის სარქრის ღვინისა და არყის შემოსავალი შენს ხელში უნდა გაივლიდეს და რაც დასტურლამაში მეღვინეთხუცის განწყესება არის, სრულებით შენ სარგო მოგეცემოდეს“ (გვ. 74, საბ. 102). ცხადია, აქ ვახტანგ VI „დასტურლამალი“ უნდა იგულისხმებოდეს. ამას გარდა, დამახასიათებელია, რომ ზოგი მოხელის არზა-მღხსენება თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს „დასტურლამალის“ სათანადო ადგილს.

ღროსია და პირობების მიხედვით ჯამაგირისა თუ სარგოს განსაზღვრავი ცვლილებებიც ხდებოდა, ამიტომაც მეფეებს ხელახლა უნდებოდათ მათი დაწყება. გიორგი XII არტემ მოძღვრიშვილს სათანადო სიგლით მდივნობა უბოძა და შესაფერი ჯამაგირიც გაუჩინა: „Пожаловали тебе двора нашего мдиваном с определением в год по 150 руб. жалованья“; მეორე ბრძანებით კი არტემ მოძღვრიშვილს ულუფაც დაენიშნა: „Господин сардал и салтхуцес... мдивану Артемию навсегда в каждой день должны выдавать одну литру хлеба, одну литру вина и одну литру мяса“ (გვ. 32, საბ. 39). ერეკლე II თავის 1795 წ. ბრძანებაში სწერდა: „გაგაჩინეთ ჯამაგირად შენ თავადს ჩოლაყოკს მდივანბეგს დავითს წელიწადში ათი თუმანი... ეს, ნახევარი ნალბათ და ნახევარი ჯინშათ, ყოველ წელიწადს უკლებრად ჩვენის პატარა ბეკლით სარქრიდამ მოგეცემა“ (გვ. 51, საბ. 66). ამის გარდა, როგორც ჩოლაყაშვილის მოხსენებლიან ჩანს, მას „გარდააკვეთით“ ჰქონდა ულუფაც და მდივანბეგობის სარგოც (იხ. იქვე, საბ. 65).

ყორიასულბაშის ნაიბის თაყაარლუთაშვილის ჯამაგირისა და ულუფის შესახებ გიორგი XII ბრძანებდა: „Пожаловали тебе двора нашего корнасаул-баша найбом, назначив в год 120 руб. жалованья и приличную порцию“ (გვ. 64, საბ. 82). საინტერესოა აგრეთვე თომა ჩიკოიძისადმი, გიორგი XII მიერ ბოძებული ჯამაგირისა და ულუფის წიგნი: „Предписываем сим салтхуцесам, мдиваном, назырам и мушрибам, чтоб Фоме Чикоидзе проишводити ежегодно порцию и жалованье по списку сему непременно без удержания... хлеба 30 кодов, ячменя 6 кодов, вина 80 тунгов, мяса 60 литр, свечь салных 4 литры, соли 8 литр, ленежного жалованья 30 руб.“ (გვ. 78, საბ. 111).

ამრიგად, იყვნენ ისეთი მოხელეები, რომელთაც სახელოს მიხედვით კუთვნილ სარგოს გარდაცხოვრებად ჯამაგირი და ულუფაც, მაგრამ, როგორც მასალებიდან ჩანს, ზოგი მოხელე მხოლოდ სახელოდან მიღებული შემოსავლით იყო დაკმაყოფილებული, ზოგსაც კიდევ მარტო ჯამაგირი და ულუფა ჰქონდა. სახლთუხუცესს, რომელიც, ივ. ორბელიანის სიტყვით, იყო „განმგე სამეფოვსა სახელოსა და სამეფო შემოსავალ-გასავალთა“ ე. ი. სამეფოს სამხედლო წყობისა და ფინანსების მთავარი გამგებელი, სახელმწიფოს ყოველ შემოსავალში თავისი წილი ჰქონდა და ამიტომაც მისი სარგო სხვადასხვაგვარ გამოსაღები-საგან შედგებოდა. როგორც ივ. ორბელიანის შემოსავლის წესებიდან ჩანს, სახლთუხუცესს წილი ჰქონდა ჩელიექის ბაჟში, მარლის ბაჟში, ყადიმის ბაჟში, თამბაქოს, ხამხალათის, ყასაფხანის, თევზის, ღვინისა და არყის, ყაფნის, საპნის ქვების და სალბაშის ბაჟებში, გორის ბაჟში, თბილისს მოკრეფილ მახტაში, დაპნიშში და მალში, გორის მალში, ყაზახის, შამშადილის და ერევნის მახტაში; ქართლის პროვინციებზე შეწერილ სურსათში; ვერცხლისა და სპილენძის მადნების შემოსავალში, ზარაფხანის შემოსავალში, სამეფო ღალაში და სხვ... (იხ. აქვე. გვ. 2—3, საბ. 2)¹. ამგვარადვე, კახეთის სახლთუხუცესებს შემოსავალი ჰქონდათ კახეთის სურსათიდან და კოდის პურიდან, კახეთის ბაჟებიდან, კულუხიდან, კახეთის პროვინციების სახასო სოფლების მთის საბალახოდან, კახეთის ფანჯიექიდან და ჯარიმიდან. კახეთს „შეწერილის ძროხისა და ცხვრიდამ“, კახეთის ელის საიდგამომ და საშობაო საკლავიდან, ერევნის მახტიდან და ყაზახის სურსათიდან (იხ. გვ. 7, საბ. 7); სადედოფლო შემოსავლიდან გარკვეული წილი ეკუთვნოდა აგრეთვე დედოფლის სახლთუხუცესსაც (გვ. 11, საბ. 11).

რაკი არც ერთი ხელისუფალი არ იღებდა იმდენს სარგოს რამდენსაც სამეფოს სახლთუხუცესი, მას არ ჰქონია, ისე როგორც სხვა „საქმეთა მოქმედს“, განწესებული ჯამაგირი და ულუფა; ყველაფერი ეს მათს მალად სარგოში იყო ნაფარადღევი. ამიტომაც ზემოხსენებულ სახლთუხუცესებს, გარეგნის წიგნებში, სიტყვა-არა აქვთ ნათქვამი არც ჯამაგირისა და არც ულუფის შესახებ.

„მასალების“ მიხედვით, მხოლოდ სარგო ჰქონდა გარიგებული დარბაზის რიგის სხვა მოხელეებსაც—მირზასა და მორღლებს.

აფრიამ ენიკოლოფოვს, რომელსაც, მისივე სიტყვით, ჰქონდა „მირზობა მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისა“, „მირზობის რუსუმაღ“ ჰქონია შემოსავალი ყაზახის მახტიდან და შამშადილიდან (გვ. 44, საბ. 56). მხოლოდ სარგო ჰქონდათ ქართლ-კახეთის მორღლებსაც. ზაალ ბარათაშვილისა და იროდიონ გურგენიძის მიერ წარდგენილ „სამორდალო განწესებთა“ მიხედვით მორღლებს შემოსავალი ჰქონდად სამეფოს ყოველ იჯაროდან, იასაულებისაგან აღებულ თამასუქის თეთრიდან, მეფის მიერ გაცემულ სიგელთა, ოქმისა თუ განაჩენთა დაბეჭდვისათვის და სხვ. (გვ. 46, საბ. 58; გვ. 47, საბ. 60).

¹ შღრ. „დასტურდამალი“, გვ. 76—77.

ჩვენს განკარგულებაში მყოფ მასალებიდან არ ჩანს მარტო სახელოს სარგოთა დაკმაყოფილებული დარბაზის რიგის სხვა მოხელე.

საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი კი „მასალების“ მიხედვით, გამოუკლებლივ, სახელოდან მიღებული შემოსავლით სარგებლობდნენ მხოლოდ. ამილახორს, ისე როგორც ქიზიყის მოურავს, თბილისის მოურავს, „სამცხეთოს სარდალს“, თბილისის მეღიქ-მამასახლისს, ნაცვალს, გორის მოურავს, ადგილთა სხვა მოურავებს, ვლიბეგს ან ელაოასს, სიღნაღის ქვეხას და სხვ. მხოლოდ სახელოს მიხედვით კუთვნილი სარგო ჰქონდათ გარიგებული.

ოთარ ამილახორის მოხსენების მიხედვით, ამილახორს სარგო ჰქონდა „სასარდლო ნაშოვრის“ ფანჯიექიდან, სასარდლოს აღსამწერლოდან, გასამყრლოდან, თავის გასამტებლოდან, ლაშქარს დაკლებულის სარბევიდან, სასარდლოს სამართლიდან და სხვ. ასევე, სხვადასხვა სახის შემოსავლით სარგებლობდა ის როგორც გორის მოურავი (იხ გვ. 85—87, საბ. 124). სახელოს შემოსავლით იყო განსაზღვრული სხვა საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა სარგოც.

ამრიგად, დარბაზის რიგის ზოგი მოხელე და „ქვეყნის გამგენი“ სახელოდან მიღებული შემოსავლის საკმაოდ სიდიდისა გამო, „გარდაკვეთით განწყესებულ“ ჯამაგირსა და ულუფას მოკლებულნი იყვნენ.

დარბაზის რიგის სხვა მოხელებს (სახლთუხუცესა და მორდლებს გარდა), როგორც „მასალებიდან“ ჩანს, სარგოს გარდა, ჯამაგირი და ულუფა ეძლეოდა. დამახასიათებელია, რომ კახეთის სახლთუხუცეები, როცა თავის მეორე თანამდებობაზე იწყებენ ლაბარაკს, უყვე ჯამაგირსა, ულუფასა და სარგოზე მიუთითებს, მაშინ როცა ამგვარზე სახლთუხუცესის სარგოს ჩამოთვლისას არაა ნათქვამი: „ვიყავ კახეთიდან მილახვარი; ჯამაგირი მქონდა თვრამეტი თუმანი, ულუფა წელიწადში მეძლეოდა ოცდათორმეტი თუმანი; ქალაქს ვაგრემო ვიღებდი ფარას ცხვარზედ ერთს ბატკანს, ერთს ჯერს ყველს, აქედამ მქონდა თეთრი ათთუმანახვეარი“ (გვ. 7-8; საბ. 7).

ამგვარადვე იქვეა კახეთის მეორე სახლთუხუცესიც: „ვიყავ არმის ეშვალასბაში(!) და აქედამ მქონდა სარგებლობა: ჯამაგირი წელიწადში ოცდაათი თუმანი, ულუფა წელიწადში ორმოცის თუმნისა“ (გვ. 9, საბ. 9).

ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი აღნიშნავდა: „წელიწადში ჯამაგირი მე მქონდა ხალდი თეთრი თვრამეტი თუმანი, წელიწადში ულუფა მამეცემოდა ოცდასამი თუმნისა“. ამით გარდა, მას სარგო ჰქონდა მისი „სახელოს კაცის ჯამაგირიდან“ და მორიგეში დაკლებული კაცის სარბევიდან (გვ. 42, საბ. 52).

გიორგი XII ფარემთუხუცესი და დედოფლის სუფრაჯი ანდუყაფარ გამყრელიძე სწერდა: „...სახელოების წყალობა მქირდა. წელიწადში მქონდა ულუფა, ჯამაგირი და სარგო ოცდაათი თუმანი“ (გვ. 73, საბ. 100); ეშვიკა-ლასბაში გიორგი ხერხეულიძე ციციანოვს მოახსენებდა: „მეფე გიორგი მაძლედა წელიწადში ულუფა და ჯამაგირათ სამას რუბლს და ამას გარდა, ეშვალაბაშობით (!) და საიასულოზე გაგზავნით, მაშოვნივინებდა სამას რუბლამდინ“ (გვ. 61, საბ. 78). მსგავსი შინაარსის ამონაწერების მოტანა კიდევ შეიძლებოდა...

„მასალებიდან“ ირკვევა, რომ, სარგოს გარდა, ულუფსა და ჯამაგირს იღებდნენ სამეფოს შემდეგი მოხელეები: მილახვარი, ეშიკალასბაში, არმის ეშიკალასბაში, ხალვათხანის ეშიკალასბაში, ლაშქარნივისები, სალაროს მუშობები, მოლარეთუცები, ქარანის მუშობები, სალაროს ნაზირი, ნაზირები, სუფრაჯი, მდივნები, ფეშქაშნივისები, მელინეთუხუცესისი, ფარემთუხუცესისი, მდივანბეგები, სასამართლოს ხაზინადარი, ბოქაულთუცი, ნასახიბაშის ნაიბი, უხბაში, ქეშიჩიბაშის ნაიბი, ყორიასულბაში, ყორიასულბაშის ნაიბი, მინბაშები და მემანდრები.

მოხელეთათვის ჯამაგირისა და ულუფის დანიშვნა სახელოდან მიღებული სარგოს სიმცირით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი XII მიერ არტ. მოძღვრიშვილისათვის ბოძებული სიღოს ერთი ადგილი: „Пожалованъ тебѣ двора нашего мѣняемаго опредѣленіемъ в год по 150 руб. жалованья такъ какъ отъ прочихъ вступаемыхъ доходовъ никакихъ доходовъ не имѣлъ и потому сей 150 руб. жалованье тебѣ пожаловали“ (გვ. 32, საბ. 39).

ჩვენ განკარგულებაში მყოფ მასალათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, სახლთუხუცებსა და მორღლეებს გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოში, შედარებით მცირე შემოსავლიან სახელოთა მქონე დარბაზის რიგის ყველა მოხელეს, სარგოსთან ერთად, ჯამაგირი და ულუფაც ჰქონდათ ბოძებული.

ზოგი სახელო იქეთი შეიძლება ყოფილიყო, რომ მის მქონებელს ამ სახელოდან არავითარი სარგო არ ჰქონოდა. ამიტომაც ულუფა, ჯამაგირისა და სარგოს მქონე, საქვეყნოდ გამრიგე თუ დარბაზის რიგის, მოხელეთა გვერდით მარტო ულუფა და ჯამაგირით დაკმაყოფილებული მოხელენიც უნდა ყოფილიყვნენ. ამ გვარ მოხელეებად „მასალები“ უმთავრესად მეფეთა მზღლებელს თუ მსახურთ და სამხედრო ხელისუფალთ წარმოგვიდგენენ.

იოანე სოლაღაშვილი სწერდა: „მეფეს ერეკლეს ვახლდი. ათი თუმანი ჯამაგირი მქონდა... ულუფა მქონდა ჩემთვის და ბიჭისათვის“ (გვ. 76, საბ. 107); მსგავსი სახელო, ულუფა და ჯამაგირი ჰქონია გიორგის მზღლებელს ფრანგის ტან თურქისტანოვს (გვ. 77, საბ. 108), იოსებ სოლოღაშვილს, თომა ჩიკოძეს და სხვ. მეფის მსახური, იარაღის მკეთებელი ხელოსანი ციციანოვს მოახსენებდა: „მე ვიყავი ჩემის ხელოვნებით მსახური მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისა და ვაკეთებდი საკადრისს იარაღებს... და მქონდა იმათგან ულუფა და ჯამაგირი განწესებული“ (გვ. 79, საბ. 114). იარაღის მკეთებელ ხეჩატურ ბებური. შვილს გიორგი XII სიკვდილც წარუდგენია, რომლის მიხედვით მას წლიურად: თავის სამსახურის გასამრჯელოდ, 60 მანეთი და სათანადო ულუფა ენიშნებოდა (იქვე, საბ. 115).

მაგრამ, რაკი ასეთ მოხელეების ჯამაგირი და ულუფა არც თუ ისე დიდი იყო, ხოლო სახელოდან სარგო არ ჰქონდათ, მეფეები მათ სხვადასხვა დავალებებს აძლევდნენ, ან როგორც თვით მზღლებლები მიუთითებდნენ, „აქეთ-იქით გზავნიდნენ საშოვარზე“.

ჯამაგირითა და ულუფით უნაზღაურებდა მეფე სამსახურს არტილერიის კაპიტანს, მაიორს თუ პოლკოვნიკს; კაპიტანი გიორგი თუმანიშვილი სწერდა:

„მქონდა წელიწადში ჯამაგირი ვერცხლის ფული ორასი რუბლი; თვეში ერთი კოდი პური, ერთი ჩარქე მარალი, ორი ლიტრა ღვინო, ორი ლიტრა ძროხის ხორცი; მარხოში თევზი, ხიზილა და სამარხო. ამავდროს ფასად გვეძლეოდა ერთი რუბლი და სამოცდაათი კობიკი“ (გვ. 81, საბ. 118). სხვა სახის სარგოზე კი თუმანიშვილს მითითებული არაა აქვს. ამგვარადვე აქვთ აღწერილი ულუფა და ჯამაგირი კაპიტან გ. ქუმბურიძეს, მთიორ დავით ნახაროვს და პოლკოვნიკ ივ. ქობულაშვილს. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს არტილერიის ოფიცრებს, განწესებულ ჯამაგირისა და ულუფას გარდა, სხვა განწესებული შემოსავალი არ ჰქონიათ.

ამრიგად ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში მოხელეთა გასტუმრების შემდეგი წესი იყო: დარბაზის რიგის ზოგ მაღალი რანგისა და საქვეყნოდ გამოჩენილი კაცის მოხელეს, თანამდებობის მიხედვით, სარგო ჰქონდა ვარიეტული; დარბაზის რიგის სხვა მოხელეთ კი, სარგოს გარდა, ულუფა და ჯამაგირი ენიშნებოდათ. ზოგი ხელისუფალი კიდევ მხოლოდ ჯამაგირითა და ულუფით იყო დაკმაყოფილებული.

* * *

ამჟამად ჩვენ ვერ შევხვებით ყოველ „მოხსენებას“ და საბუთს მათი ღირსების თვალსაზრისით. მაგრამ, საჭიროდ ვცნობთ მოკლედ მაინც მიუთითოთ ზოგი დოკუმენტის მნიშვნელობაზე ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიის შესასწავლად.

„მასალეში“ ქვეყნდება ოთხი სახლთუხუცესის მოხსენება. აქედან პირველი ქართლის სამეფოს სახლთუხუცესია, მეორე დედოფლისა, მესამე და მეოთხე კახეთის სახლთუხუცესები არიან და თავიანთ თავს „სახლთუხუცესი კახეთისა პირველს“ და „სახლთუხუცესი კახეთისა მეორეს“ უწოდებენ. კახეთის ორივე სახლთუხუცესის სარგო, მათ მიერვე შედგენილი გარიგების წიგნებით, საესებით ერთნაირადაა წარმოდგენილი. მეფის სახლთუხუცესის თანამდებობაზე ორი პირის მოხსენების, თუ არ ვცდებით, აქამდე უცნობ შემთხვევას გვიხსნის კახეთის სახლთუხუცესთა „მოხსენებებს“ დართული დოკუმენტები. 1799 წ., გიორგის ბრძანებით, კახეთის სახლთუხუცესთა ქიხიხოსრო ჩოლაყაშვილს ებოძა (იხ. გვ. 8, საბ. 8). ხოლო 1800 წ. გიორგიმ ეს სახელო ორად გაყო და სახლთუხუცესთ, ჩოლაყაშვილთან ერთად, აღექსანდრე მაყაშვილსაც მისცა. მაგრამ, თანამდებობის გაყოფას, პარალელის მიხედვით, განსაგებელ ადგილთა გაყოფაც მოჰყვა და ალ. მაყაშვილს კახეთის ერთი ნაწილის სახლთუხუცესობა ებოძა: „Мы просимъ твою во уверение приняи и произвели тебя, начиная от Авлаха на сию сторону Кахетии, Кизвика, Саватчадзо до Карданаха салтхуцесом... и по сию сторону что کوچующие Кахетинские эли находят да и от них принадлежащюю салтхуцесу долю ты возьмешь“ (გვ. 10, საბ. 10).

ალსანშენავა, რომ XVIII ს. ქართლ-კახეთის სამეფოში სახლთუხუცესთა თანამდებობის ორად გაყოფის სხვა შემთხვევაც ყოფილა. როგორც გიორგის 1800 წ. სიგლიდან ჩანს, ქართლის სამეფოს სახლთუხუცესის სახელო ერთხანს ორად

გაყოფილი იყო: „ქუთხელუმა ბატონმა მამა ჩუშნმა,—სწერდა გიორგი XII იოანე ორბელიანისადმი ბოძებულ სიგელში,—ქართლის სახლთუხუცესობა მამა შენს დავითს სარდალს უბოძა და ეს საველო კარგა ხანს ეჭირა. მერმე, რომლისამე მიზეზით, ეს საველო ჩამოერთვა და მას უკან კიდევ ქუთხელუმა ბატონმა მამა ჩუშნმა შუბა ვაყო“ (გვ. 4, საბ. 3). როგორც ჩანს, დარბაზის რიგის მაღალი რანგის მოხელის, სასახლის დაწესებულებათა მთავარი გამგებლის ხელი საჭირო შემთხვევაში იყოფოდა. ეს კი უმნიშვნელო არ უნდა იყოს ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობილების ისტორიისათვის.

სახლთუხუცესთა „მოხსენებები“ მნიშვნელოვანია იმიტად, რომ ისინი ავსებენ „დასტურლამალის“ ცნობებს ქართლის სამეფოს სახლთუხუცესის უფლება-მოვალეობისა და სარგოს შესახებ და აგრეთვე, ახალ მასალას გვაწვდიან კახეთის სახლთუხუცესთა უფლება-მოვალეობის შესახებ.

„დასტურლამალის“ მიხედვით, როგორც ვ. გაბაშვილმა გაარკვია, ქართლის სამეფოში სახელმწიფო ფინანსების გამრიგებ მოხელე-მოლარეთუხუცესი ერთი იყო¹. ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს შექმნის შემდეგ ამ შრივ ცვლილება მომხდარა. ჩვენი საბუთებით, სამეფოში ორი მოლარეთუხუცესი იყო. ცალკე იყო აგრეთვე დედოფლის მოლარეთუხუცესიც. გიორგი XII დროს მოლარეთუხუცესობა ჰქონიათ ჭიხოსრო სუმბათაშვილსა და ნიკოლოზ შარვაშიძეს (გვ. 13, საბ. 13 და გვ. 14, საბ. 15); მარიამ დედოფლის მოლარეთუხუცესად კი ივანე ბეგთაბეგოვწყობილა (გვ. 33, საბ. 41).

მოლარეთუხუცესის სახელს გარკვევისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჭიხოსრო სუმბათაშვილის მიერ შედგენილი სარგოს წიგნი (გვ. 13, საბ. 13), საიდანაც კარგად ჩანს, რომ „ამისი ველისა იყო: რაიცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თხსთა საკუთართა ზედა ანუ ქველის საქმისადა უხმდა“², მაგრამ ამის ჩვენება ვრცლად ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

„მასალებში“ საინტერესო ცნობებია აგრეთვე საფინანსო დაწესებულებათა სხვა მოხელეების შესახებაც. აქ ქვეყნდება სალაროს ნაზირის ევგენ აბაშიძის მიერ შედგენილი სარგო, სადაც მოხსენებულია აგრეთვე სალაროს სხვა მოხელეთა-მუსტოფის, სალაროს მუშრების და მოლარეთუხუცესების სარგოც (გვ. 16 საბ. 18). ცალკე ქვეყნდება სალაროს მუშრების ოსებ მელიქიშვილის, შინაარსით მდიდარი, გარიგების წიგნი (გვ. 17, საბ. 20). სალაროს მოხელეების არზა-მოხსენებებთან ერთად ვათავსებთ ფეშქაშნივისის შიპოშ თუმანიშვილის მოხსენებას და ერეკლე II 1791 წ. ფეშქაშნივისობის ბოძების სიგელს; ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ სახელის შესწავლისათვის (იხ. გვ. 23, საბ. 25).

„მასალებიდან“ ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ქარხნის რამდენიმე ნაზირი იყო: დავით მაყაშვილი და იოანე შალიკაშვილი „მოხსენებებში“

¹ ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმიკი“-ს მოამბე, ტ. XIII, 170.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 17.

თავიანთ თავს ქარხნის ნაზირებს უწოდებენ, ხოლო იოსებ ქავჭავაძისა და ბარამ გუჯრენიძის მიერ შედგენილ ნაზირების სარგოს მიხედვით, ესენიც ქარხნის ნაზირებად ჩანან (იხ. გვ. 24, საბ. 26; გვ. 25, საბ. 28; გვ. 27, საბ. 30, 31). გიორგი XII მიერ დავით მაყაშვილისადმი ქარხნის ნაზირობის ბოძების სიგელში კიდევ სხვა ქარხნის ნაზირიც მოიხსენიება: „Одним назырем должен быть ты, а другим Глаха Рочи́ков и всеми по должности вашей делами имеете править в месте“ (გვ. 25, საბ. 27). როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII ს. ბოლოს ოთხზე მეტი ქარხნის ნაზირი, სასახლის მეურნეობის დაწესებულებათა და საწყობების გამგებელი მოხელე, ყოფილა. „მასალები“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ სახლთაუცყის ხელქვეშეთ სხვა მოხელეთა შესახებაც. ყურადღებას იქცევს ქართლ-კახეთის სამეფოს მდივნების არზა-მიხსენებები.

ვ. ვაბაშვილი მაშენიშნა, რომ „დასტურლამალის“ მიხედვით „ქართლის სამეფოში ორი მთავარი მდივანი ყოფილა: „მეფის მდივანი“... და „დედოფლის მდივანი“¹. აქად. ვკლდენშტეტის ცნობით კი, მისი მოგზაურობის დროს, ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ექვსი მდივანი იყო². ამ უქანასკნელი ცნობიდანაც ჩანს სამეფოთა გაერთიანების შემდეგ მომხდარი ცვლილებები, მაგრამ ეს კიდევ უფრო ნათლად ჩვენი მასალების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. „მასალებში“ გამოქვეყნებულ „მდივანებეთა და მდივნების სიადან“ ჩანს, რომ თეიმურაზისა და ერეკლეს დროინდელ ქართლ-კახეთში 10 მდივანი ყოფილა. ამავე დოკუმენტში გაერთიანებულ სამეფოს მდივანთა შესახებ ნათქვამია: „მდივანნი ქართლ-კახეთისანი ზემოთქმულნივე, და გარდაცულებულთ მაგიერ დაადგინა მეფემ ირაკლიმ: მდივანი სულხან თუმანოვი... დავით ქობულოვი... იოსებ თუმანოვი... ეგნატი თუმანოვი... სვიმონ ქობულოვი... სოლომონ ბეგთაბეგოვი... დიმიტრი თუმანოვი... იოანე ქობულოვი... ბირთველ თუმანოვი... ბეგთაბეგ ბეგთაბეგოვი... ავეტიქ შალუბათოვი“ (გვ. 56, საბ. 71). როგორც ჩანს, ერეკლეს დროს თერთმეტზე მეტი მდივანი ყოფილა. მდივანთა რაოდენობა უცვლელი იყო გიორგის მეფობაშიც: „მეფის გიორგის დროს მდივან-ლამაშქარნივისნი ზემოთქმულნივე იყვენენ და გარდაცულებულთ მაგიერ ამან დაადგინა: მდივანი ელიაზარ ფალავანდოვი... ოთარ ქობულოვი... იოანე ბეგთაბეგოვი... არტემ მოძღვრისშვილი... მწერალი ზაზა გაბაშვილი“ (იქვე). აქ მოხსენიებულ მდივნებიდან „მასალებით“ ცნობილინი არიან: არტემ მოძღვრისშვილი, სიმ. ქობულაშვილი იოანე ბეგთაბეგოვი, ბირთველ თუმანიშვილი, ეგნატი თუმანიშვილი, სულხან მდივანი (თუმანიშვილი), დიმიტრი მდივანი (თუმანიშვილი) და იოანე ქობულაშვილი. სხვა მდივანთა მოხსენებებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ზემოხსენებულთ გარდა, ციციანოვისათვის მოხსენებები მიუერთმევიათ ნიკოლოზ ონიკოვსა და დიმიტრი საგინაშვილს, რომელნიც თავიანთ თავს „მწერლებს“ უწოდებენ (იხ. გვ. 38 საბ. 47; გვ. 39 საბ. 48) და დედოფლის მდივანს ერთეულ სიღამონოვს, მაგრამ ესენი რატომღაც „მდივანებეთა და

¹ ვ. ვაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი, 175.

² იხ. იქვე, 177.

მდივანთა სიაში“ არ მოიხსენებიან. როგორც ჩანს, „მასაღების“ მიხედვითაც დასტურდება, რომ ერთიან ქართლ-კახეთის სამეფოში ათზე მეტს პირს ჰქონდა მდივანობა მეფეთაგან ბოძებული. აქ ჩამოთვლილ მდივანთა გარდა სხვებიც ყოფილან; „მდივანბეთა და მდივანთა სიაში“ სხვათაშორის ნათქვამია: „ესენი (მდივნები, შ. მ.), იყვნენ რომელნიც სწერდნენ სიგელთა, განაჩენთა, გუჯართა, ოქმთა და ბრძანებათა და ამით გარდა სხვა-ნიც იყვნენ მრვალნი. რომელნიც სწერდნენ სიგელთა, განაჩენთა, ოქმთა და ბრძანებათა“ (გვ. 57, საბ. 71), მაგრამ მათ მდივანობა მეფეთაგან არ უნდა ჰქონოდათ ბოძებული.

მდივნების არზა—მოხსენებებთან ერთად ჩვენ ვაქვეყნებთ ლაშქარნივისების, სამხედრო კანცელარიის მოხელეთა, მოხსენებებსაც.

როგორც ცნობილია, ერეკლე II რეფორმები სამხედრო საქმესაც შეეხო. ერეკლეს მიერ ამ მხრივ ჩატარებული რეფორმები, ნაწილობრივ, „მასაღებშიაც“ არის ასახული. ეს კარგად ჩანს, როგორც სამხედრო უწყების წარმომადგენელთა—არტილერიის კაპიტნების, მაიორის თუ პოლკოვნიკის—ასევე ლაშქარნივისების მოხსენებებიდანაც. ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი სხვათაშორის სწერდა: „საქართველოს ჩვეულებრივ ჯარის გამოყვანას გარდა მეფემ ირაკლიმ თავის საბძანებლიდამ მოიწვია, ჯამაგირის აღთქმით, ნოქრათ და თოფჩად დასადგომნი კაცნი. მოვიდნენ და განწესდნენ; ჰქონდათ მიჩენილი მინბაში, ფონსაღბაში, უზბაში, თოფჩიბაში და დაჰბაში. იმათ ჰქონდათ განწესება წლის ულუფა და ჯამაგირა.. მასუჟან მეფემ ირაკლიმ ინება თავის საბრძანებლიდამ სულზე მორიგისი გამოყვანა, რომ უჯამაგირო იყო. ამათაც მიუჩინა ჯამაგირით მინბაში, ფონსაღბაში, უზბაში და დაჰბაში“ (გვ. 42, საბ. 52).

ერეკლე II სამხედრო რეფორმების შედეგი იყო, ჩვენი აზრით, XVIII ს. მეორე ნახევარში ახალი სამოხელეო თანამდებობების და კერძოდ, ლაშქარნივისის სახელოს შექმნა.

როგორც ცნობილია, ლაშქარნივისი არც „დასტურლამაღში“ და არც XVIII ს. პირველნახევრის საბუთებში არ მოიხსენიება. „მდივანბეთა და მდივანთა სიიდან“ ირკვევა, რომ ლაშქარნივისის სახელო არ ყოფილა თეიმურაზ-ერეკლეს დროინდელ ქართლისა და კახეთის სამეფოებში. ერეკლეს დროინდელ მდივანთა სიაში შეტანილია ლაშქარნივისებიც, ხოლო თეიმურაზ-ერეკლეს დროინდელ მდივანთა შორის ლაშქარნივისი არაა მოხსენებულნი (გვ. 55, საბ. 71).

ლაშქარნივისი, როგორც მათი გარიგების წიგნებიდან ჩანს, „საქართველოს სამხედრო კანცელარიის“ მოხელე და „იმათი (ერეკლეს მიერ შექმნილ ჯამაგირის ჯარისა და მორიგის ხელისუფალთა, შ. მ.) მწერალი და ანგარიშის შემნახველი.. იყო“ (გვ. 42, საბ. 52). აქედანაც ცხადია, რომ ლაშქარნივისის სახელო XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II მიერ ჩატარებული სამხედრო რეფორმების შედეგად წარმოიშვა.

„მასაღების“ მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII ს. ბოლოს ლაშქარნივისებად იყვნენ: ქაიხოსრო სუმბათაშვილი, იოსებ მელოქიშვილი,

იოანე ქობულაშვილი, აფრიაშვილი, აფრიაშვილი, რომელსაც კერძოდ „საქართველოში მყოფთ თათრების ლაშქარნივისობა“ ებარა, მანუჩარ თუმანიშვილი და ომან ხერხეულიძე, ხსენებულთაგან ორი უკანასკნელი მთავარი ლაშქარნივისობა უნდა ყოფილიყო: „ამათი(სამხედრო უწყების მოხელეთა, შ. მ.) მწერლობა და ანგარიშის შენახვა მე და ჩემს ამხანაგს, თავადს ომან ხერხეულიძეს ლაშქარნივისს მოგვიბოძა და ერთად ვმოქმედებდით ჩვენს სახელოს საქმეს“—სწერდა მანუჩარ თუმანიშვილი (იხ. იქვე).

ქართლ-კახეთის სამეფოში საერთოდ კი, ექვსი ლაშქარნივისი ყოფილა. „მდივანბეგთა და მდივანთა სიაში“ ერეკლესა და გიორგის დროისათვის ლაშქარნივისებად მოხსენებულნი არიან: ომან ხერხეულიძე, მანუჩარ თუმანიშვილი, სვ. გურგენიძე, ასლან ვაჩნაძე, სოლ. ქობულაშვილი და იოსებ მელიქიშვილი (გვ. 56, საბ. 71). ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით „სიაში“ არ მოხსენებია ჩაიხისრო სუმბათაშვილი და აფრიაშვილი ენიკოლოფოვი.

ლაშქარნივისის უფლება-მოვალეობისა და სარგოს გასათვალისწინებლად განსაკუთრებით საყურადღებოა მანუჩარ თუმანიშვილისა და ომან ხერხეულიძის „მოხსენებები“ (იხ. გვ. 42—43, საბ. 52, 54).

XVIII ს ქართლ-კახეთის სამეფოს მორდალთა გარიგების წიგნები აქამდე უცნობი იყო. ამდენად, ქვემოთ დაბეჭდილი „სამორო დალო განწყესებები“, სამოხელეო წყობილების შესასწავლად, მნიშვნელოვან დოკუმენტებად უნდა იქნენ მიჩნეულნი.

ვ. გაბაშვილი წერს: „ქართლის სამეფოში ორი მურდარი იყო: მეფის მურდარი და დედოფლის მურდარი“¹. ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანების შემდეგ კი, „მასალების“ მიხედვით, მეფის ორი მორდალი ყოფილა: ერთი—ზაალ ბარათაშვილი—„ქართლის მორდალად“ იწოდებოდა, მეორე—იროდიონ გურგენიძე,—კი „კახეთის მორდალად“ (იხ. გვ. 46, საბ. 58; გვ. 47, საბ. 60). საეარაუღებელია, რომ იყო დედოფლის მორდალიც, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალებით ასეთი უცნობია.

ი. ჯავახიშვილი, „დასტურლამლის“ მის მიერ აღგენილ ერთ ადგილს შემდეგნაირად განმარტავდა: „ირაკვევა, რომ სიგლების... დაბეჭვდაში... ორი მოხელე, სახლთუხუცესი და მდივანი; იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მდივანი მხოლოდ საბუთის მიმტანი იყო და პირადად დაბეჭვდაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა“². ეს მოსაზრება ძირითადად გაიზიარა ვ. გაბაშვილმა და თავის მხრივ დასძინა: „სიგლის დაბეჭვდაში სამი მოხელე იღებდა მონაწილეობას: სალთუხუცესი, როგორც ბეჭდის დამსმელი, მდივანი, როგორც სიგლის შემდგენელი და მომტანი, მორდალი ანუ მურდარი, როგორც ბეჭდის შემნახველი მოხელე“³. ამ სიკითხის გარკვევაში დახმარებას გვიწევს ზაალ ბარათაშვილისა და ირ. გურგენიძის მიერ შედგენილი „სამორდალო განწყესება“. ზაალ ბარათაშვილი სწერდა: „რაც მეფისაგან წყალობა ებოძებოდა... ჩვენი, მორდალების, თანამდებობა იყო, რომ ჩვენ უნდა დაგვებეჭვდინებინათ

¹ ვ. გაბაშვილი, *op. cit.*, 178.

² ი. ვ. ჯავახიშვილი, *ქართული დიპლომატიკა*, 77.

³ ვ. გაბაშვილი, *op. cit.*, 178.

და ის ჩვენგანვე მიეცემოდა თავიანთ პატრონებს წყალობის სივლები... რაც მეფესთან არხით საჩივარი მოვიდოდა და მიეცემოდა პასუხი და ოქმი თუ განაჩენი, ესეც ჩვენი თანამდებობა იყო, რომ ჩვენი უნდა დაგვებეჭდინებინა და თავისი პატრონებისათვის მიგვეცა“ (გვ. 48, საბ. 58; შედრ. საბ. 60). ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ მორღლის მონაწილეობა საბუთის დაბეჭდვაში ბეჭდის შენახვით კი არ ამოიწურებოდა, არამედ ის იყო საბუთის მიმტანი, მისი დამაბეჭდინებელი და დანიშნულებისამებრ ვადამცემიც.

ვ. გაბაშვილის აზრით, „XVII ს. და XVIII ს. პირველ ნახევარში ქართლის სამეფოში მხოლოდ ერთი მდივანბეგი „სამართლობა“ და ყველა ქვეშემრდომის, „სახელმწიფოს და საბრძანებლის მორჩილი“-ს საჩივარი და საჩივლი მას უნდა გაერჩია“¹.

თეიმურაზ-ერეკლეს დროს და, განსაკუთრებით, ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანების შემდეგ, ამ მხრივაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა: „ასევე ახალი იყო, სწერს ნ. ბერძენიშვილი, მსაჯულთ შეკრებულობის დაწესებულება, ვრცელდებოდა რომ შემოიღო 1778 წელს: ამიერიდან „ყოველი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიდეს“². ამგვარ ბრძანებას სამართლის მოქმედ ხელისუფალთა რაოდენობასა და უფლება-მოვალეობაში რადიკალური ცვლილებები უნდა შეეტანა. ეს ცვლილებები კარგად ჩანს „მაღალებიდანაც“.

ჯერ კიდევ თეიმურაზ-ერეკლეს დროს, როგორც „მდივანბეგთა და მდივანთა სიდიდან“ ჩანს, შვიდი მდივანბეგი ყოფილა, —იონანე ორბელიანი, რევაზ ორბელიანი, სარიდან ერისთვისშვილი, პაპუნა ორბელიანი, ფარსადან ციციშვილი, რამაზ ანდრონიკაშვილი და ზაალ ჯანდიერი (გვ. 55, საბ. 71). ერეკლე II დროს კი, ამავე „სიის“ მიხედვით ცამეტზე მეტი მდივანბეგი იყო: „მეფის ირაკლის დროს იყვნენ მდივანბეგნი ზოგნი ზემოთქმულნივე და გარდაცვალებულთ მაგიერ დაადგინნა: მდივანბეგი იესე ამილახვაროვი... ქაიხოსრო ენდრონიკოვი... ნიკოლოზ აბაშიძე... ბეჟან ერისთავ-სიდიამონოვი... მზეკაბუჯ ორბელიანი... ოტია ენდრონიკოვი... ზაალ ბარათოვი... მეთოდი ერისთავი... დავით ჩოლაყოვი... თეიმურაზ ციციანოვი... ვახუშტი ჯავახივი... იესე ოსეს ძე [და] სოლომონ ლიონოვი“ (იქვე). გიორგი XII დროს ამ მხრივ რამე ცვლილება არ მომხდარა; საბუთის სიტყვით: „რომელნიც ზემოდაწერილნი მდივანბეგნი არიან, ისინი იყვნენ და გარდაცვალებულთ მაგიერ, ამ მეფემ გიორგიმ, დაადგინა:... იონანე ჩოლაყოვი... ნიკოლოზ ციციანოვი [და] ადამ ენდრონიკოვი“ (იქვე).

მდივანბეგთა რიცხვის ზრდა ერეკლე II მიერ ჩატარებული რეფორმის ერთი შედეგია. ამას გარდა, როგორც მასალებიდან ჩანს, ერეკლემ მდივანბეგებს თავიანთი სამოსამართლო უბნებიც განუსაზღვრა. ირკვევა, რომ ერეკლეს დროინდელ ცამეტზე მეტ მდივანბეგიდან ორი მაინც ქალაქში (თბილისში) „სამართლობა“ იონანე ჩოლაყაშვილი „მოსხენბაში“ მიუთითებდა: „მაქუნდა

¹ ვ. გაბაშვილი, *op. cit.*, 181.

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ., 400.

მეტფილისსა შინა მდივანბეგობა რწმუნებული... და რაც აქუნდა ულუფა და ჯამაგირი, განსვენებულს უწინარეს მოადგილესა ჩემსა, თავადს ციციშვილს მდივანბეგს თემურაზს“ (გვ. 51, საბ. 65). იოანე ჩოლოყაშვილის მიერ მოხსენებული სხვა საბუთითაც დასტურდება: „Пожаловали тебя, Ивана Чолокаева, в мдиванбеги, определяя тебе к месту, которое занимал мдиванбег Теймураз“ — ნათქვამია გიორგი XII 1798 წ. სიგელში (გვ. 52, საბ. 67).

თბილისში მეორე მდივანბეგიც მოსამართლეობდა: „მეფის გიორგისაგან გახლდი ქალაქში მდივანბეგათ და დგინებული“ — სწერდა ნიკ. ციციშვილი (გვ. 49, საბ. 61).

„ქალაქის მდივანბეგობა“ ჯერ კიდევ შაჰნავაზ I დროს არის მოხსენებული, მაგრამ 1676 წ. სიგლით შაჰნავაზმა ვახტანგ ორბელიშვილს არა მარტო ქალაქის მდივანბეგობა უბოძა, არამედ მასთან ერთად, „ქართლისა, საბარათა-შვილოსა, სომხითისა და თათრისა“¹. „დასტურლამალის“ მიხედვითაც ირკვევა, რომ ქალაქში მდივანბეგიც სამართლობდა, მაგრამ „ქალაქის მდივანბეგთა“ ცალკე გამოყოფა ერეკლე II მიერ ჩატარებული რეფორმის შედეგი უნდა იყოს. ამით აიხსნება, რომ ერეკლეს დროს თბილისში, მოურავთან ერთად, „ბატონის ბრძანებით... მდივანბეგები... სამართალში დასდებიან“². ი. ჩოლოყაშვილის და ნ. ციციშვილის „მოხსენებები“ კი საესებით ადასტურებენ, რომ ერეკლესა და გიორგის დროს, მხოლოდ თბილისში, ორი მდივანბეგი იყო.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს სასამართლოს“ ანუ „სამდივანბეგოს“ თავის თავილდარი ჰყავდა, რომელიც „საქართველოს სასამართლოს ხაზინადრად“ ან კიდევ „სამდივანბეგოს თავილდრად“ იწოდებოდა. „სამდივანბეგოს თავილდარის“ მოვალეობა საესებით ისეთივე ყოფილა როგორც იყო, „დასტურლიმალის“ მიხედვით, ეშიკაღასბაშის სახელისუფლოს თავილდარის მოვალეობა; ფარსადან ყორღანაშვილი ციციანოვს მოახსენებდა: „შკონდა მე საქართველოს სასამართლოს ხაზინადრობა კურთხეულის მეფის თეიმურაზიდან, მეფის ერეკლედამ ვიდრე უკანასკნელს ჟამამდე მეფის გიორგისა... რაც სასამართლოს სარგო-შემოსავალი იქნებოდა, იმისი ხაზინადარი ვიყავ... ამ სასამართლოს შემოსავალს მდივანბეგებს და მდივნებს, მორღლებს, და ეშკაღადბაშებს(!) მე გაუყოფდი და თავ-თავიანთს განწესებულს წილს მე მიეცემდი“ (გვ. 54, საბ. 70). ეგევე დასტურდება „მდივანბეგთა სისის“ მიხედვითაც: „სამდივანბეგოს შემოსავლის თავილდრათ იყო ფარსადან ყორღანოვი, რომ ეძლეოდა იმათის შემოსავლიდამ ათის თავი“ (გვ. 57, საბ. 71)³.

„მასალები“ შესაძლებლობას გვაძლევს ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობილებაში მომხდარი სხვა ცვლილებანიც გავითვალისწინოთ.

„დასტურლამალის“ დამოწმებით, ვ. გაბაშვილი წერს, XVIII ს. პირველნახევრის „ქართლის სამეფოში ორი სამეფო ეშიკაღასბაშის

¹ საქ. სიძველენი, II, 137—138.

² იხ. ქალაქის მოურავის სარგო, საქ. სიგ., II, 523, § 3.

³ შტრ. „დასტურლამალი“, 17; ვ. გაბაშვილი, იქ. cit., 194.

ქელი ყოფილა¹. XVIII ს. მეორე ნახევარში კი ქართლ-კახეთის სამეფოში² ხუთი ეშიკაღასბაში იყო: ასლან ორბელიანი ქართლის სამეფოს ეშიკაღასბაში ყოფილა (გვ. 58, საბ. 73); დანარჩენები კი ან არმის, ან კიდევ, ხალვათხანის ეშიკაღასბაშებდა იყვნენ. აიდემურ ვაჩნაძე, როგორც ჩანს, კახეთის ხალვათხანის ეშიკაღასბაში იყო, გიორგი ციციშვილი კი ქართლის ხალვათხანის ეშიკაღასბაშს უწოდებს თავის თავს (გვ. 59, საბ. 74; გვ. 60, საბ. 76); გიორგი ხერხეულიძე ქართლის არმის ეშიკაღასბაში, ხოლო ალ. მყავშილი კახეთის სალთხუცესი და არმის ეშიკაღასბაში ყოფილა (გვ. 10, საბ. 10; გვ. 9, საბ. 9). ამრიგად, „მასალებს“ მიხედვით, სამეფო ეშიკაღასბაშს გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოში ორი ხალვათხანისა და ორი არმის ეშიკაღასბაში იყო.

ხალვათხანისა და არმის ეშიკაღასბაშების სახელო „დასტურლამალისა“-თვის უცნობია; თეიმურაზ II დროს კი ხალვათხანის ეშიკაღასბაშის კელის არსებობა გიორგი XII 1800 წ. სიგლით დასტურდება (იხ. გვ. 61, საბ. 77). ჩვენ ამჟამად ვერაფერს ვიტყვი. ამ ახალი სახელოების—ხალვათხანისა და არმის ეშიკაღასბაშის—შექმნის მიზეზების შესახებ.

„მასალებში“ ქვეყნდება აგრეთვე ეშიკაღასბაშის ხელქვეშით მოხელეთა და დარბაზის რიგის სხვა ხელისუფალთა არზა—მოხსენებები, შავრამ მათზე ჩვენ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ. მხოლოდ, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ შენიშვნის გაკეთება:

ა) როგორც ვ. გაბაშვილმა გაარკვია, XVIII ს. პირველ ნახევარში ქართლის სამეფოში ყორიასაულბაშის სახელო არ არსებობდა და „დასტურლამალში“ მოხსენებული ყორიასაულბები ეშიკაღასბაშების სახელისუფლო უნდა ყოფილიყვნენ³. ერეკლე II დროს კი, „მასალებს“ მიხედვით, ყორიასაულბები ყორიასაულბაშს დაუქვემდებარდა. ყორიასაულბაშად, როგორც 1783 წ. სიგლიდან ჩანს, ჯერ სამ ბარათაშვილი ყოფილა, ხოლო შემდეგ მისი შვილი ზაალი (გვ. 62, საბ. 80). ყორიასაულბაშს თავისი ნაიბიც ჰყავდა. ეს სახელო XVIII ს. ბოლოს თაყა არლუთაშვილს ჰქონია (გვ. 63, საბ. 81).

ბ) ვ. გაბაშვილმა სათანადო მასალების შესწავლის საფუძველზე გამოსთქვა მოსაზრება, რომ „XVII—XVIII სს., როსტომ ხანიდან მოყოლებული ქართლის სამეფოში ვეზირებად მუსულმანური წარმოშობის პირები ყოფილან... ეს მნიშვნელოვანი ფაქტი... იმას უნდა მოწმობდეს, რომ ერთზე დამოკიდებულ ქართლის მეფის ვეზირი ერანის „რწმუნებული“ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობასთან მეთვალყურედ და მრჩევლად დანიშნული“⁴. ეს მოსაზრება საესებით დასტურდება გიორგი ვეზირიშვილის „მოხსენებითაც“: „მაშა ჩემი, ვეზირი ნადირ-ყეენისაგან წარმოგზავნილა საქართველოდ მეფეს თეიმურაზთან ვეზირად და ამ წარისხთა და მოადგილობით ემსახურებოდა მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლს“ (გვ. 70, საბ. 94). როგორც ჩანს, თეიმურაზისა და ერეკლეს დროსაც ქართლ-კახეთის მეფეთა ვეზირი (მრჩეველი) და „მოადგილე“ მუსლიმანური წარმოშობის პირი იყო.

¹ ვ. გაბაშვილი, *op. cit.*, 185.

² ვ. გაბაშვილი, *op. cit.*, 189—190.

³ იქვე, 196.

აღსანიშნავია, რომ მცირეწლოვანი გიორგი ვეზირიშვილი ერეკლეს მოუ-
ნათლავს, ამის შემდეგ, ცხადია, ის მამის სახელოს, ვეზირობას ვერ მიიღებდა,
და ამის გამო, ერეკლემ, „სისხლით სამსახურის“ საუქუფოდ, ნასახნიბაშის ნაი-
ბობა უბოძა. ვეზირად კი, ჩვენი საბუთების მიხედვით, სხვა—მირზა რაბი ჩანს;
იოსებ მელიქიშვილის არხას, სხვათაშორის, მიწერილი აქვს: „მე ვეზირ-მუს-
ტოფი მირზა რაბი ამ წერილის მოწამე ვარ და ასე იყო“ (გვ. 18, საბ. 20).
აღსანიშნავია—ვეზირი მირზა რაბი საბუთს ქართულად აწერს ხელს.

* * *

„მასალების“ მეორე ნაწილში, მცირე გამონაკლისს გარდა, საქვეყნოდ
გამარიცხვე მოხელეთა არხა-მოხსენებები და მათ მიერ წარდგენილი დოკუ-
მენტებია თავმოყრილი. ყველა მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართლ-
კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესწავლის საქმეში; მაგრამ, „მასალების“
ეს ნაწილი განსაკუთრებით საყურადღებოა XVIII ს. ქართლ-კახეთის სამეფოს
საქალაქო ცხოვრების შესასწავლად.

ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ „ქალაქის მოურავის გარიგების“
წიგნებს¹ შეემატა ევსტ. ციციშვილის მიერ შედგენილი „ქალაქის მოურავის
სარგო“. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი დოკუმენტი ძირითადად იმეორებს
„ქალაქის მოურავის გარიგების“ ცნობილ ვარიანტებს. მაგრამ, ზოგ შემთხვე-
ვაში შეაქვს მნიშვნელოვანი შესწორებაც. ასე მაგ., ქალაქის მოურავის, ე. თა-
ყაიშვილის მიერ დაბეჭდილ გარიგების წიგნში ნათქვამია: „ნავროზხედ ზარ-
ბაზნები რომ გაცვივდება, სამი დღე ქალაქის მოურავისა არის ბაჟი,
ქალაქის ექვსის კარისავე შემოსავალი“². როგორც ჩანს, სამი დღის ბაჟი
ექვსივე კარიდან (XVIII ს. თბილისის მეტი კარი არც ჰქონია) მთლიანად,
„გარიგების“ ამ ვარიანტის მიხედვით, ქალაქის მოურავს ეკუთვნოდა. ევსტ.
ციციშვილი კი მიუთითებდა: „პირველი იანვარი რომ დადგებოდა, სამი დღე
ქალაქის კარები მე მეჭირა; რაც ბაჟი შემოვიდოდა ნახევარს მე
ავიღებდი და ნახევარი სამეფო იყო“ (გვ. 91, საბ. 131). ეს შესწორება
ჩვენ ნიშანდობლივად მიგვანჩნა და მეფის ყოფილ მოხელეთა ციციანოვისადმი
მართმეულ არხა—მოხსენებების ობიექტურობაშიც აგვარწმუნებს.

თბილისის მეორე ხელისუფალის—მელიქ-მამასახლისის წელის ისტორიისა
და უფლება-მოვალეობის გასათვალისწინებლად საყურადღებო მასალებია დარ-
ჩია ბებუთოვის მოხსენებებსა და მის მიერვე შედგენილ „ტფილისის მელიქ-
მამასახლისის სარგოში“ (გვ. 93—95, საბ. 133, 134). თუ არ ვცდებით, დარჩია ბე-
ბუთოვის მიერ შედგენილი „მელიქ-მამასახლისის სარგო“, დღემდე ცნობილი, მელი-
მამასახლისის გარიგების ერთადერთი წიგნი უნდა იყოს და ამდენად პირველი
წყარო მელიქ-მამასახლისის წელის შესასწავლად. აღსანიშნავია რომ „სარგოს“
ქართული ტექსტი საგრძნობლად განსხვავდება „Акты“-ს პირველ ტომში და-
ბეჭდილ რუსული ვარიანტისა თუ თარგმანისაგან.

¹ იხ. საქ. სიძველენი, II, 523—531.

² საქ. სიძველენი, II, 523, § 4.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა თავის დროზე გვეჩვენებინა, რომ დარჩი ბებუთოვის მიერ მელიქ-შამასხლისის უფლება-მოვალეობის შესახებ მოხსენებუ-ლი საესკებით დასტურდება გვიან ფეოდალური ხანის სხვა დოკუმენტებითაც¹. „ქალაქის ნაცვლის“ ანუ თბილისში „ბატონის ნაცვლის“ საქმიანობისა და სამსახურის შესასწავლად ჩვენ ამჟამად მოგვებოება არა მარტო „ქალაქის მოურავის გარიგება“, არამედ თბილისის ნაცვლის, მიკირტუმ სურგუნოვის მიერ შედგენილი „ნაცვლობის სარგო“ (გვ. 97-98, სახ. 138), ესეც, ჩვენთვის ცნობილ წყაროთა შორის, ერთადერთი უნდა იყოს, რომელიც სპეციალურად თბილისის ნაცვლის უფლება-მოვალეობასა და სარგოს გვიფაჩისწინებს.

გვიანყოფაღალური ხანის საქალაქო წესწყობილების შესასწავლად, ამგვარადვე, მნიშვნელოვანია ოთარ ამილახორის მიერ შედგენილი „გორის მოურავის სარგო“ (გვ. 86, სახ. 124)² და იროდიონ გურგენიძის „თელავის მოურავის განწესება“ (იგვ. 48, სახ. 60).

„მასალებში“ გამოქვეყნებული საქალაქო წესწყობილების შესახები დოკუმენტები ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ თუ როგორ მტკიცედ განსაზღვრა ერეკლე II ქალაქის მოხელეების მოურავის, მელიქ-შამასხლისის, ნაცვლის და სხვ. უფლებება მოვალეობანი.

XIX ს. რუსულ ლიტერატურაში გამოითქვა ყალბი აზრი, რომ ქართველი მეფეები, რომელნიც უფრო სიგარეო საქმეებით იყვნენ გართულნი, ქვეყნის შინაგან ცხოვრების, კერძოდ საქალაქო წესწყობილების მოწესრიგებაზე არც კი ზრუნავდნენ. ამგვარი მოსაზრების საფუძველს, ი. ახვერდოვისათვის, ვახტანგ VI სამართლის წიგნი იძლეოდა, სადაც თურმე სიტყვა არაა ნათქვამი ვახტანგის დროს არსებულ ამქრებზე. მისივე სიტყვით, საქართველოს ქალაქებში ამქრები არსებობდნენ და თვითმართველობდნენ სამეფო-ადმინისტრაციული ხელისუფლების ყოველგვარი დახმარებისა და ჩარევის გარეშე³. ამ უსაფუძვლო მოსაზრების წინააღმდეგ, ვახტანგ VI „დასტურლამალისა“ და სხვა არა ერთ დოკუმენტა გარდა, ლაბარაკობს ზემოხსენებული მასალებიც.

სწორედ იმის დასამტკიცებლად, რომ ხელოსანთა თუ ვაჭართა ამქრებს სამეფო ხელისუფლება გარკვეულ ორგანიზაციულ სახეს აძლევდა და მათს ცხოვრებაში აქტიურად ერეოდა, ჩვენ საჭიროდ ვცანით გამოგვექვეყნებინა გიორგი XII ბრძანებები უსტაბაშთა დანიშვნის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართულ წყაროებს გაუტყობელ მკვლევართა (ს. ეგიაზაროვი) და აღმწერელთა (პაქსტ-ჰაუზენი, ახვედროვი და სხვ.) გავლენით გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ თბილისში ამქრის უსტაბაშს „ამქრის წვერთა სასოვადო კრება“ (გ. გამყრელიძე),⁴ ან კიდევ, „ამქრის სრულუფლებიანი წვერების საერთო კრება

¹ იხ. ჩემი—„საქალაქო წესწყობილება გვიანყოფაღალურ საქართველოში“, მოახსენდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილებაში.

² „გორის მოურავის სარგო“, ჩვენ მიერ გადაცემული, გამოქვეყნა დ. გვრიტიშვილი-მა. იხ. მის „გორის ისტორიიდან“, გვ. 30-32.

³ Ю. А х в е р д о в, Записка о н Амкарех, 10.

⁴ „ხელოსნობა თბილისში“, 1926 წ. 96.

(ალ. ფირცხალაშვილი)¹ ირჩევდა. ამ მოსაზრებათა წინააღმდეგ ლაპარაკობს „მასალებში“ გამოქვეყნებული გიორგი XII 1799 წ. და 1800 წ. ბრძანებები ბახაზბაშისა და მეწვრილმანეების უსტაბაშის დანიშვნის შესახებ (იხ. გვ. 101—102, საბ. 143—145), რითაც დასტურდება, რომ ამქრის თავები (უსტაბაშები), თბილისში მიიწვი, მეფეთა მიერ ინიშნებოდა.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მეორე არა სწორი მოსაზრებაც, რომ „თბილისის ამქრებს არ გააჩნდათ არავითარი დაწერილი სტატუტები“². ამ საკითხთან დაკავშირებით გ. ვამყრელიძე წერს: „ქანონმდებლობის მიერ ხელოსნობის მოწესრიგების პირველ ცდას ჩვენში ვახტანგ მეფის სამართალში ვპოულობთ, თუმცა ამქრული წყობილების მოწესრიგების შესახებ არც აქ და არც სხვა ძველ წყაროებში არა არის რა მოხსენებულნი, — ყოველშემთხვევაში ჩვენ ვერა ვპოუვთ რა“³.

რაკი სამეფო ხელისუფლების მიერ ამქრული ორგანიზაციების მოწესრიგებისა და ამქართა სტატუტების არსებობის შესახებ ჩამოგავდეთ ლაპარაკი, ზემოხსენებულ მოსაზრებათა უსაფუძვლოდის დასამტკიცებლად, საქორდ მიგვაჩინია, ჩვენთვის ცნობილ ქართულ ამქართა სტატუტებიდან, შესაჯალ წერილში მაინც დაუთმოთ ერთ-ერთ სტატუტს ადგლი:

„ჩვენ ერთობ მეწვრილმანე(ებ)მა ესე პირობის წიგნი დავდევით:

1. ჩვენში დიდი დიდათ უნდა იყოს და პატარა პატარათ და ერთმანერთის წინააღმდეგი არ უნდა ვიყუნეთ.
2. რაც საწვრილმანო მოვიდეს, ცოტა ითუ ბევრი, საერთო(დ) უნდა ვიყილოთ. ვინც თავი წილი აიღოს, თავი ხარჯი მისცეს; ვინც ნახევარი წილი აიღოს, ნახევარი ხარჯი მისცეს; ვინც ჩარევი წილი აიღოს, ჩარევი ხარჯი მისცეს.
3. ვინც მალვით საქონელი იყიდოს, საბუთი უყოთ. იმ საქონლისა ნახევარი ჰამქრის მასრაფში მისცეს.
4. ვინც ახალი დუქანი გააღოს, ჰამქრის იოლი გასწიოს.
5. ვინც(ც) კვირა ვასტეხოს, ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში მისცეს.
6. ვინც მეკდარზედ დააკლდეს აბაზი იოლი აქვს.
7. თუ ჰამქრის საქმე რამ იყოს, იგიღბამა შეტყობინოს და არ მოვიდეს ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში უნდა მისცეს.
8. ვინც რომ იცოდეს თავის ჰამქრის საქონელი მიუყიდნია და ის საქონელი უკან მა(ა)ცემინოს და თითონ მიყიდოს, იმისი ნახევარი ფასი წაერთოს და ჰამქრის გასაღებში და მასრაფში მისცეს.
9. ვინც რომ ამ ზემოწერილის ძალით თავისი რასათი ხარჯ(ი)ს და ბეგარას მიცემა არ მოინდომოს, ჩვენის ძმობილამ გავიდეს, არცა ჩვენთან საქონლის წილი მიეცეს, არც იმასთან პური ეჭამოთ, არც იმის მეუღლარზედ მივიდეთ.

¹ „თბილისის ამქრების 1865 წ. გამოსვლის ისტორიისათვის“, თ. ს. უ. შრომები. XI, ნაკვ. პირველი, 1940, გვ. 40.

² ალ. ფირცხალაშვილი, იქვე, 37 შფ. 3.

³ „ხელოსნობა თბილისში“, 102.

10. რომელმაც სოფდაგარმა თავის მახანდით საქონელი ჩვენ არ მოგვიცოდოს, თითონ წ(ვ)რილად ყიდვა მოინდომოს, ერთობ ყველამ უნდა ველაპარაკოთ.

11. რომელიც ჩვენას ხელობის საქონელს ყიდდეს, იმასაც ერთობით ველაპარაკოთ.

12. თუ ბატონთან წასვლა იყოს, თუ მოხელესთან, თუ საქონლის სყიდვაზედ, ოსტატი¹ ასლანა და წილზედ ერთი კაცი წვაიდეს. რაც ამათ გააბრიგონ, ჩვენი ყაზული არის.

ამ წიგნის ერთი სხუა იყო, ბატონის და მოხელისგან დამტკიცებული და ჩვენგან გელმოწერილის (sic!), ისევე ჩვენ ჰამქარში დაიკარგა და ეს ახალი დავწერეთ, ენკენისთვის კვ (26) გასულს, ქკს უზზ (1799 წ.).

იმ დაკარგულს წიგნში, რომ ჩემი საოსტატო რომ თუმაზედ აბაზი იყო დაწერილი, ახლა ორ შაურს დამაჯერეს და მეც ვიყაბულე. უსტაბაში ასლანა მე სტეფანე ზოპრაბოვი ასლანა.

ეს წერილი ქვემოდ ხსენებულის კაცებს ეყაბულენით და მეც თავიანთის ყაბულობის მოწმობა დამწერინეს. დავწერე ამათის ყაბულობით და მოწამეცა ვარ. ციხის-დიდის ეკლესის დეკანოზი ტერ-მელქისეთოვი, გიორგობის ვ(ნ)ა ქკს უზზ (1800 წ.) ბეჩეა. მისდევს ამქრის 17 წევრის ხელმოწერა (ფ. 227, № 324)².

როგორც ვხედავთ, ამ თითქო მშრალ სტატუტში მოკლედ აღნუსხულია ამქრის, როგორც ეკონომიური, ასევე უფლებრივი და შინა-საყოფაცხოვრებო ინტერესებიც. ვაკვირთ მითითებულია ზოგი მოხელის უფლება-მოვალეობაზედაც. რაც მთავარია „პირობის წიგნს“, როგორც აქედან ჩანს, „ბატონი“ ე. ი. მეფე და მისი მოხელე ამტკიცებდნენ. სტატუტის დამამტკიცებელი, მეფის მოხელეებიდან, როგორც სხვა დოკუმენტიდან დასტურდება, ქალაქის მელიქი იყო.

მოტანილ მასალიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ერეოდა სამეფო ადმინისტრაციული ხელისუფლება ამქრული ორგანიზაციების ცხოვრებაში, თუ როგორ ცდილობდა მეფის ხელისუფლება ამქრული წყობილების მოწესრიგებას და თუ როგორ დგებოდა, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს, ქართულ ამქართა სტატუტები.

ამრიგად, „მასალებში“ გამოქვეყნებული დოკუმენტები გვიდასტურებს, რომ ქართველ მეფეთა მიერ, განსაკუთრებით ერეკლე II დროს, მტკიცედ განისაზღვრა არა მარტო ქალაქის მოხელეთა, არამედ სამეფო ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ამქრების უსტაბაში და საქუთრიც „ამქრების უფლება-მოვალეობანი“ (ნ. ბერძენიშვილი)³.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვემოთგამოქვეყნებულ მასალებს ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიის შესასწავლად. ხოლო, ამ დოკუმენტთა სპეციალური შესწავლა

¹ დედანში შეცდომით — „ოსტატის“.

² საივალაგები ღზსმულია ჩვენს მიერ.

³ საქართველოს ისტორია, 400.

კი, ჩვენი აზრით, კიდევ ბევრს ახალს შეგვძენს და თითქმის უნაკლოდ წარმოგვიდგენს XVIII ს. დასასრულის ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წესწყობილებას.

* * *

ორიოდე სიტყვა საბუთთა გამოცემის დროს მიღებული წესის შესახებ.

ჩვენ შევეცადეთ საბუთები დაგველაგებინა სამოხელეო რიგის მიხედვით. პირველ ნაწილში დარბაზის რიგის მოხელეთა არზა-მოხსენებები და დოკუმენტები მოვაქციეთ, მეორეში კი საქვეყნოდ გამრიგეთა. მაგრამ, ყოველთვის ამ წესის დაცვა ზუსტად ვერ ხერხდებოდა, რამდენადაც ზოგი მოხელე დარბაზის კარისაც იყო და საქვეყნოდ გამრიგეც; ამგვარ შემთხვევაში, რომ საბუთი მე-ქხეიჯურად არ გავგვეყო, ერთ რომელიმე ნაწილში მოვაქციეთ მოხელის განცხადება სათანადო დოკუმენტებითურთ.

„კარის მოხელეთა“ საბუთებიც, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სათანადო რიგის მიხედვით დავალაგეთ: სალთუხუცესების არზა-მოხსენებებს, მათ ხელქვეშეთ მოხელეთა (სალაროს მოხელეთა, ქარხნის მოხელეთა, მდივნების, მორღლების და სხვ.) არზა-მოხსენებები და დოკუმენტები მოვაყოლეთ; შემდეგ კი მდივანბეგთა, ეშიკაღასბაშთა და მათ სახელისუფლოთა და დარბაზის რიგის ქხევა მოხელეთა (ნასახიბაშის ნაიბის, მილახვარის, მიშკარბაშის, ფარეშთუსუცესის და სხვ.) შესახები მასალები. პირველი ნაწილის დასასრულს სამხედრო ხელისუფალთა—არტილერიის მაიორისა და კაპიტნების—მოხსენებებია თავმოყრილი.

ამგვარივე რიგია დაცული საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა საბუთების დალაგებისას: სარდალ-მოურავის ოთარ ამილახორის მოხსენებებს, კახეთ-ქიზიყის სარდალ-მოურავის მოხსენება მისდევს, შემდეგ ქალაქის მოხელეთა, ადგილთა სხვა მოურავებისა, მინბაშებისა და სხვ. ზეღისუფალთა. დასასრულ, საჭიროდ ვცანით თელავის კარის ეკლესიის დეკანოზის მოხსენებაც დაგვეერთო.

საბუთების ენა უცვლელადაა დაცული. რუსულ საბუთებში ოდნავ შეცვლილია ძველი რუსული მართლწერა, როგორც ქართულს; ასევე რუსულ საბუთებში ვასწორებულია აშკარა შეცდომები. შეტანილი შესწორებანი ყოველთვის მოქცეულია ჩვეულებრივ ფრჩხილებში; ხოლო ის, რაც ტექსტს, დაზიანების ან სხვა მიზეზის გამო, აკლდა და ჩვენს მიერ აღდგენილია, ან კიდევ ჩამატებულია, მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. ჩვეულებრივ ფრჩხილებშია მოთავსებული აგრეთვე, ფულის-ერთეულის, ან რიცხვის აღმნიშვნელ ასოთა ჩვენმიერ ახსნილი მნიშვნელობა.¹

არ არის დაცული დედნისეული განკვეთილობის ნიშნები. თუ რომელიმე საბუთში, განკვეთილობის თვალსაზრისით საყურადღებო შემთხვევასთან გვეკონდა საქმე, საამისოდ შეინიშნულია სქოლიოში.

საბუთებში დაქარაგმებული სიტყვები იშვიათად გვხვდება, რაც შეგვხვდა (სულ 12 სახის), გახსნილია შემდეგნაირად:

¹ ტექნაურ დაბრკოლებათა გამო თქმუების აღსანიშნავად გამოყენებულია ქარაგმის ნიშანი.

ღრისათა—ღრუთისათა.
 ღრთიურ—ღრუთიურ.
 ღრთნ—ღრმერთმან.
 ღრისა—ღრუთისა.

პდ—პირუელად.
 კწ—კათალიკოზ.
 წყრ—წინაშე.
 ბბრა—ბრძანება.

ჩვენ საჭიროდ არ მივიჩნიეთ საბუთებისათვის ლეგენდები დაგვეერთო, რადგან თითქმის ყოველთვის XIX ს. დამდეგს შედგენილ, დათარიღებულ, ან კიდევ, XIX ს. დამდეგს გადაწერილ თუ თარგმნილ საბუთებთან გვეკონდა საქმე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სათანადო შენიშვნა ამა თუ იმ საბუთზე შეტანილია სქოლიოში. დავკმაყოფილდით მხოლოდ იმ ფონდისა და საქმის მითითებით, საიდანაც ესა თუ ის საბუთია ამოღებული და საბუთთა სარჩევის დართვით. ამას გარდა საჭიროდ მივიჩნიეთ საბუთებისათვის, მათ მიერ დაკავებული ადგილების მიხედვით, რიგითი ნომრები დაგვესვა.

საბუთებში რთული სიტყვები ყოველთვის ერთნაირად არაა წარმოდგენილი. საჭიროდ ჩავთვალეთ ამ მხრივ საბუთების მართლწერა დაგვერღვია და შედგენილი სიტყვები შემდეგი, ერთიანი, წესის მიხედვით დაგვებჟღა.

ხ უ ლ ნ ა წ ე რ ი თ :

ლომის ციხელი
 ბაზახ ბაში
 მელიქ მამასახლისი
 სახლთ უხუცესი
 ყორ იასაულ ბაში
 ჯელ და ჯელ
 ბატონის შვილი
 Лашкар-нивис
 Эшик-агабаш
 Моларет хучес
 ფეშქაშ ნივისი

ღ ა ბ ე ქ დ ი ლ ი ა :

ლომის-ციხელი
 ბაზახბაში.
 მელიქ-მამასახლისი.
 სახლთუხუცესი
 ყორიასაულბაში
 ჯელდაჯელ.
 ბატონისშვილი.
 Лашкарнивис.
 Эшик-агабаш
 Моларетхучес
 ფეშქაშნივისი
 და სხვა.

„მასალებს“ ერთვის პირთა სახელების, ტერმინებისა და გეოგრაფიული სახელების საძიებლები. პირთა სახელების საძიებელი გვარების მიხედვითაა გაწყობილი, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამ წესის დარღვევაც მოგვხვდა. ტერმინების საძიებლის შედგენისას მთავარი ყურადღება მიქცეულია ქართულ სამოხელეო ტერმინებისადმი. საძიებლებში, საერთოდ, გვერდების მაგიერ, მითითებულია საბუთთა ჩვენ მიერ დასმული რიგითი ნომრები.

მოხელეთა არზა-მოხსენებები თავის დროზე თარგმნილი იყო რუსულად. მათი რუსული თარგმანები უმთავრესად ფ. 2, № 49 საქმეშია თავმოყრილი. შესაძლებელ შემთხვევაში „მოხსენებათა“ თარგმანების შესახებ მითითებულია სქოლიოში. ასევე, სქოლიოშია შეტანილი ამა თუ იმ საბუთთან დაკავშირებით სხვა საჭირო შენიშვნაც.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მაღლობა გადაუხადო საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ნ. ბერძენიშვილს და პატივით მ. ბერძენიშვილს საბუთთა დასაბეჭდად მომზადებაში სათანადო რჩევადარიგებისა და დახმარების აღმოჩენისათვის და საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტს დ. მეგრელაძეს, რომელმაც ჩვენთან ერთად გაიზიარა საბუთთა გადმოწერის მძიმე შრომა.

შოთა მესხია

10. II. 1948 წ.

მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქართლ-კახეთის სამეფოს სსამონადირო წყობის
ინსპრინინსათვის

მათს მაღალს ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატესს მთავარს და მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიჩს ციციანოვს, მოწყალეს ჯელმწიფეს.

ვინადგან თქვენი მაღალბრწყინვალეობა ცხად ჰყოფს საქართველოს ზედან კეთილმოქმედებისა მზრუნველობასა თქვენსა, ამისთვის მეცა შეუპოვობილად წარმოგიდგენ ჰაზრსა და თხოვასა ჩემსა.

უპირატესი და მეწინავე სარდლობა, გინა თუ სპასალარობა, ძველადგანვე, შთამამავლობით სამკვიდროდ სახლსა შინა ჩემსა არს და ეგრეთცა მქონიან დროშა მობოძებულ ჯელმწიფეთა საქართველოსათა და მეფეთაგან.

აწ ვინაჲდგან მათის იმპერატორების დიდებულებამან, ყოვლად უაღუეს-ტინგმან მონარხმან, მაღალ მონარხული მოწყალეობა გარდმოჰფინა უბედურებისა მიმართ მიწვენილთა ჩვენ ამით ურთა ზედან საქართველოსათა, და სურსცა ჯელმწიფობრივითა მოწყალეობითა, უბედურებისა კერძოთ, ბედნიერებისა მიმართ მიწვენა ჩვენი,—

ამად გთხოვ, ჯელმწიფეო ჩემო, მაღალ მთავრობითისა წყალობითა, ინებოთ შეწევნა ჩემი და ნიჲებულ მყოთ ამით უმაღლესისა კარიდამ, ესრეთ რომელ სარდლობისა სახელი ჩემი შეიცვალოს, ამავე ღირსებით, რუსულს სახელად, და ეგრეთვე მეფეთა მიერ მობოძებულის დროშისა ჩემისა ნაცვლად მეზოძის სხვა დროშა რუსული და აუ ოდესმე უძლეველთა რუსეთისა მხედრობათა თანა საქართველოს ჯარიცა შეიკრიბებოდეს, თანამდებობითავე ჩემითა ჩვეულებისამებრ შეეჭკვრებდე მეცა სასარდლოთა კაცთა ჩემთა, უძღვებოდე დროშითა მით ყოვლად უდიდებულესისა ჯელმწიფისა მიერ მობოძებულთა და ეპოეობოდე ამით სამსახურსა შინა ყოვლად უდიდებულესის ჯელმწიფისასა, რომლითაცა აღიდებთ საუკუნოდ სახელსა თქვენისა ბრწყინვალეობისასა; და მე დაეშთები ნიადგა უმოწინავესა მორჩილებასა და სამსახურსა შინა თქვენის მაღალ ბრწყინვალეობისასა.

მაღალ ბრწყინვალეო თავადო, ჩემო მოწყალევე ჯელმწიფევე, თქვენის მაღალბრწყინვალეობის, ჩემის მოწყალის ჯელმწიფის უმორჩილესი მოსამსახურე თავადი იოანე ორბელიანი*

1803 წელსა, 28 აპრილს,

ტფილისს.

* ივ. ორბელიანის 28/IV დათარიღებულ განცხადების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2 № 49; ფურც. 248.

საზ. 2

ფ. 226, ს. № 8968*

მთლად ქართლისა, ქალაქისა, სომხით-საბარათიანოსი, ლორე-ფამბაკისა, შამშადილისა, ყაზახისა, ბორჩალოსი, ხიდ ზეთი ელებისა, მადნებისა, შორაგლისა და ერევნისა რაც სამეფო შემოსავალი იყენენ, იქილამ რაც სალთხუცეს სარგებლობა და შემოსავალი აქუს, ზოგილამ გარდაკვეთით, ზოგილამ თერთმეტის თავი და ზოგილამ საკუთარი:

მთჳ (ორმოცდაცხრა თუმანი და ცხრა მინალთუნი) ჩელიექის იჯარილამ (რომელ არს დამოყნა), შეერთებულ არს ამასთანად იჯარაცა მარილისა. საკუთრად ამ მარილის იჯარილამ აქეს გარდაკვეთით იბჳ (თორმეტი თუმანი); მომატებულად ამ აქეს გარდაკვეთით იბჳ (თორმეტი თუმანი); ყადიმის ბაყილამ განწესებულ არს თერთმეტის თავი;—რომ იქნება ჩელიექილამ სულ ორმოცდაცხრა თუმანი და ცხრა მინალთუნი. რადგანაც იჯარასა ამას შინა არს სხვა და სხვადამ მნიშვნელობა, როგორც აქ განცხადებულის, ამისთვის აქედამ განწესებული სარგებლობა დაიწერა რამ[დენი] იქნება სულ.

კბჳ (ოცდაორი თუმანი და შვიდი მინალთუნი) ბურნიოთის იჯარილამ.

კაფ (ოცდაერთი თუმანი და ათი შაური) ხამხალათის იჯარილამ.

იეჳ (თხუთმეტი თუმანი და ცხრა მინალთუნი) ყასადხანლამ და დაბახანლამ.

ვზფ (ექვსი თუმანი, ექვსი მინალთუნი და ათი შაური) თევზის იჯარილამ.

ვძფ (ექვსი თუმანი, სამი მინალთუნი და ათი შაური) ღვინისა და არაყის იჯარილამ.

ვძფ (ექვსი თუმანი, სამი მინალთუნი და ათი შაური) ყაფნის იჯარილამ.

ჳ (ცხრა მინალთუნი) თვის შაურისა (sic) და ქოხების ქირილამ.

ცსნ (ორი მინალთუნი და ხუთი შაური) საპნის ქვაბის იჯარილამ.

ცსნ (ორი მინალთუნი და ხუთი შაური) სალბაშის იჯარილამ.

შცფ (რვა თუმანი, ორი მინალთუნი და ათი შაური) გორის იჯარილამ.

[იზ]წ (ჩვიდმეტი თუმანი და ოთხი მინალთუნი) ტფილისის მახტილამ, როდესაც შემოვიდოდა.

ზ (ორი თუმანი) ტფილისის დაჰნიმილამ, როდესაც შემოვიდოდა.

[ა]ც (თუმანი და ორი მინალთუნი) ტფილისის მალილამ.

ც (ორი მინალთუნი) გორის მალილამ.

[კზ]ჳ (ოცდაშვიდი თუმანი და ხუთი მინალთუნი) ყაზახის მახტილამ.

გარდაკვეთით თეთრი იბჳ (თორმეტი თუმანი და ხუთი მინალთუნი). პურის მახტილამ გარდაკვეთით ხალვარი იე (15), ამისი ა (1) ხალვარი ა (თუმანი). იქნებოდა სულ [ოცდაშვიდი თუმანი და ხუთი მინალთუნი].

[კბ]ჳ (ოცდაორი თუმანი და შვიდი მინალთუნი) შამშადილის მახტილამ, როდესაც აიღებოდა თეთრი და პური.

* საბუთი უთარილო და ხელმოუწერელია, მაგრამ ამ საბუთის შინაარსიდან და მისი რუსული თარგმანიდან ირკვევა, რომ ის შედგენილია სარდალ-სალთხუცის ივანე ორბელიანის მიერ 1803 წ., საბუთის დაზიანებული ადგილები, კერძოდ, შემოსავლის რაოდენობის აღწერაზე ნელი ასოები, აღდგენილია ჩვენს მიერ რუსული თარგმანის მიხედვით (იხ. ფ. 2(8) ს. № 49, ფურც. 235—236).

[იზ] (ჩვიდმეტი თუმანი) საზოგადოთ საქართველოში მცხოვრებლთ, ქრისტიანეთ და თათართ მეკომურთ, დებულება კომლზედ სამი კოდი პური და ქერი რომ აძევთ სურსათი, აქედამ ჰქონდა.

კბჯ (ოცდაორი თუმანი და შვიდი მინალთუნი) სახასო სოფლებს ქრისტიანეთ და თათართ სალ(ა)დგომო და საშობოვო ეთხოვობდათ, აქედამ ჰქონდა. იე(თხუთმეტი თუმანი) სჯულის გარდამავალთაგან, რომელს ჯარიმა, აქედამ ჰქონდა.

ით (ცხრამეტი თუმანი) ფანჯიეკი, ესე იგი ხუთზედ ერთი; როდესაც საქართველოს ჯარი მტრის ქვეყანაში მივიდოდა და იქიდა საშოვარს მოიტანდნენ, ხუთის თავს სამეფოთ აიღებდნენ და რაც მეფეს ერგებოდა, იქიდა თერთმეტის თავი ჰქონდა, როდესაც აიღებ(ო)და.

მწ (სამოცდარვა თუმანი),—რაც საქართველოს მეფის სამფლობელოში, ქრისტიანეთ თუ თათართ, დებულებას გარდა, რაც დროს შეხვედრით შესწერდებოდათ, პური, ქერი, ღვინო, არაყი, ძროხა, ცხვარი, ერბო, ყველი, მარლი, სამარხო, შეშა და სხვა რამ ნივთი, რაც შესწერდებოდათ; რომ შენაწერი იქნებოდა ჩფ (ათას ხუთასი თუმანი) ამდენი, აქედამ თერთმეტის თავი ჰქონდა.

რაც სამეფო სახნავის მიწებიდამ ღალა აღებოდა და ან ბრინჯის მოსავალი იქნებოდა, ან ვენახის მოსავალი, ან ბალისა, ამების შემოსავლისა ჰქონდა ოცის თავი.

კ (ოცი თუმანი) ვერცხლის მადნიდამ რაც სამეფო ვერცხლი შემოვიდოდა, ოქროს გარდა, აქედამ ჰქონდა.

თძტლო (სამოცდაცხრა თუმანი, სამი მინალთუნი, ექვსი შაური და ექვსი ფულახეგარი) სპილენძის მადნიდამ ჰქონდა თერთმეტის თავი.

ქე (ოცდახუთი თუმანი) ზარაფხანის შემოსავლიდამ გარდაკვეთით ჰქონდა წელიწადში.

ნ (ორმოცდაათი თუმანი) ერეგნის მახთიდამ, ოდეს შემოვიდოდა სამეფოს ხაზინაში აქედამ გარდაკვეთით განწესებული ჰქონდა.

ზძ (შვიდი თუმანი და სამი მინალთუნი) ღვინის იჯარიდამ სამას სამოცდა ხუთი თუნგი ღვინო, ამისი ა (1) თუნგი ს (აბაზი) იქნება.

მეფეს როდესაც ეყოლებოდა ძროხის ნახირი და ფარა ცხვრისა; აქედამ ჰქონდა ოცის თავი.

მეფე როდესაც ყმას თუ მამულს გასცემდა, და სიგელს უბოძებდა, იმ სიგელის ზურგზედ სალთხუცესს უნდა დაებეჭდა და აქედამ სარგებლობა ჰქონდა.

იჯარებს რომ აიღებდნენ და შართლამა დაიწერებოდა და მეფე დაბეჭდამდა, იმ იჯარადარიდამ იჯარის შესაფერს ფეშქაშს მიაართმევდნენ, ამაში სარგებლობა ჰქონდა.

საბ. 3

[პირი]

ფ. 227, ს. № 1094

წყალობითა დოტუისათა ჩტუნ იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრა-ტოვანან მეფეებან საქართულოდსა, კახეთისა და სხუთამან გიორგი მეთათსა-მეტეებან და თანამეცხედრებან ჩტუნმან ბატონის ციციშვილის ასულმან დედო-ფალმან მარიამ, სასურტულომან და მეგვიდრემან ძემან ჩტუნმან დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრეილ, ილია, ოქროპირმან და ირაკლიმ, ძის ძეთა ჩტუნთა გრიგოლ და სფირიდონ, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩტუნს დისწულს ორბელიანს სარდალს იოანეს და შვილსა შენსა ლუარსაბს და მომავალთ სახლისა შენისათა, ასე რომ ქართლის სახლთუხუცესობა ჩტუნს შთამომავალთაგან თქტუნს წინაპართ ერთგულობისა და სრულს სამსახურისა გამო წყალობად ჰსჭირებოდათ და ამისთვის კურთხეულმა ბატონმა მამა ჩტუნმა ქართლის სახლთუხუცესობა მამა შენს დავითს სარდალს ჟბოძა და ეს საველო კარგა ხანს ეჭირა. მერმე რომლისამე მიზეზით ეს საველო ჩამოერთვა და მას უკან კიდევ კურთხეულმა ბატონმა მამაჩტუნმა შუა გაყო და მამა შენს უკან ეს სახლთუხუცესობა საველოდ შენ მოგცა და ჩტუნს მეფობაშიაც შენვე გეჭირა. შემდგომად, ჩტუნს მოსახმარისად ვინებეთ, შენც ჩტუნის ერთგულობი-სათვს დაგვიბოძე, და მცირეს ხანს ეს შენი საველო სხუას მივეციით. ახლა რად-განაც შენს ყოვლის შენის შეძლებით ჩტუნის ერთგულებისათვს თავდადებული იყავ და მამის შენისა და თქტუნის წინაპართ მრავალ სახსოვარ ჩტუნის ოჯახის სამსახური ვეახსოვად, წყალობა გიყავით და გიბოძეთ მთლად ქართლის სახლთუხუცესობა ყოვლის თავის განწესებულთ სარგოთი. გჰონდეს და გიბედ-ნიეროს ჩტუნს ერთგულად სამსახურში და არ მოგეშალოს ჩტუნგან, არცა შემდგომთა ჩტუნთა მეპატრონეთაგან. აღიწერა წყალობა ესე ჩტუნი თქტუსა ოკლომბერსა იგ (13), წელსა ჩყ (1800), ხოლო ქართულსა ქკს უპშ (448).

ნამდვილსა ზედა დამსულ-არიან ბეჭედნი:

მეფისა გიორგისა,

დედოფლისა მარიამისა,

მეფის ძეთა დავითისი და იოანესი.

სხვა ხელით: „ამისი ასლი ღრამოტა თავადმა იოანე ორბელიანოვმა მიიღო. რადგანაც იმას წერა არ შეეძლო, იმის თხოვნით ველს ვაწერ თავადი:“...“

საბ. 4

ფ. 226, ს. № 9001

მისს ბრწყინვალეობას, უფალს საქართველოს უპირატესს მთავარს და მმარ-თებელს, თავადს პავლე დიმიტრიჩს ციციანოვს თავადის იოანე ორბელიანისაგან უმდაბლესად მოჰსენება.

რომელიც წინას დღეებში წარმოუდგინე ბრწყინვალეობასა თქვენსა განცხადებ-ბა შევიდრთა სახელოთა ჩემთა, და ეგრეთვე, სარგებლობანიცა ამა საველოთა ჩემ-თანნი და ვინადგან ორივე საველო ესე ჩემი არს, საქართველოსა შინა უპირველესი ყოვლისა სხვისა საველომასა, ამაღ მბედველ ვიქმენ განცხადებად წინაშე კეთილ მნებებელობითისა მზრუნველობისა თქვენისად, რათა ყოვლად უდიდებულესისა იმპერატორისაგან ამისთანა ჩინი მებოდოს, რააცა შეესაბამებოდეს წარისხთა ამა ჩემთათა და არა ესრეთ იყო თხოვა ჩემი, რომელ უმეტ-ნაკლებოდ შეიც-ვალოს წარისხი და საველო ჩემი რუსეთისა საველოდ.

აწ უმდაბლესი თხოვა ჩემი ესე არს, როგორც ვიყავ საქართველოსა შინა უპირველესი მოველე და პირველ წარისხოვანი, ეგრეთვე, შემწეობითა თქვენის ბრწყინვალეობისათა, მათის იმპერატორების დიდებულებისაგან; ჩინოვნიკთა ერთა ზედა უპირველესივე ჩინი მივილო, და ეგრეთვე, ნაცვლად დროშისა ჩე-მისა, მებოდოს სხვა დროშა რუსული, რომელიცა ღირსად იჩინოს უმაღლესმან კარმან. და თუ ოდრისმე ყოვლად უდიდებულესის ჯელმწიფის უძლეველის მგერობით რუსის შეფი გადაგებოდეს სადმე და საქართველოს ჯარიც მასთან იმყოფებოდეს, მეც მასთან ჩემის წარისხით და ჩემის სათანამდებოს ჯარით, იმ შეფის კანონს ქვეშე ვიპოებოდე. და რადგანაც საქართველოს მეფეთათვის ამ თანამდებობით მიმსახურნია, აწიღვანაცა მსურს, რათა მათის იმპერატორების დიდებულებისაც ამავე თანამდებობით ვემსახურო.

მოწყალევე ჯელმწიფევე, უმდაბლესად გთხოვ ამახედა კეთილ მოქმედებითი შემწეობა მაჩვენოთ საუკუნოდ სახელისა თქვენისა სადიდებლად და სარგებ-ლობანი ჩემნი, რომელიცა განმცხადებია თქვენის ბრწყინვალეობისათვის, თუ-მცა მეფეების წყალობით სარგებლობანი იგი მქონდა, მაგრამ ახლა ნება მათის იმპერატორების დიდებულების ყოვლად უმოწყალესის ჯელმწიფისა აღსრულდეს. ბრწყინვალეო თავადო, მოწყალეო ჯელმწიფევე, თქვენის ბრწყინვალეობის, ჩემის მოწყალის ჯელმწიფის უმდაბლესი მოსამსახურე თავადი იოანე ორბელიანი. წელსა ჩყგ (1803), მაისის იე (15)*.

საბ. 5

[პირი]

ფ. 226, ს. № 9012

მათს ბრწყინვალეობას, უფალს ღენერალ-ლეიტენანტს, საქართველოს უპირ-რატეს მმართველს და სხვათა ორდენთ კავალერს, თავადს პავლე დიმიტრის-ძეს ციციანოვს

თავადის იოანე ორბელიანოვის მიერ.

ინება რა თქვენმა ბრწყინვალეობამან, უმაღლესისა ბრძანებისა ძლით; მოთხოვნა ჩემგან ჩემის სახელოებისა და სარგებლობათა გამოცხადებისა, მაქვს პატივი წარმოადგენად თქვენის ბრწყინვალეობისადმი, რომელ ვიყავ მე საქართ-

* ივ. ორბელიანის 15/V დათარიღებული „მოცხენების“ რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 247.

ველოს მეფეთა უპირველესი მეწინავე სპასპეტი, მკონებელი დროშისა, და გარდა ამისა, ვიყავ სახლთუხუცესიცა (ესე იგი, განმგე სამეფოდასა სახელოსა და სამეფო შემოსავალ-გასავალთა) და ამა ორთა პირველ სახელოთა ძლით რააცა შექნებოდა წლითი წლად სარგებლობანი, წარმოდგენილ გაქვსთ ჩემ მიერ აღწერთა. რომლისათვისცა მოვენდობი თქვენს მოწყალებას კეთილ წარდგენისათვის წინაშე მათის იმპერატორების დიდებულებისა, რათა მართლ-მსაჯულ ერთა მთავრულთა მოწყალებითა არა ვიქმნა დაგდებულ დაუკარგველობითა პატივთა და სარგებლობათა, ვითარცა ვიყავ მე დროსა შინა რუსეთისადმი საქართველოს შეერთებისასა პირველ და უმეტეს სხვათაშორის ღირს-ქმნილი პატივითა და სარგებლობითა, რომლისათვისაც მივიანდობ ყოველთა პატივთა და გზათა ცხოვრებისა ჩემისათა, მამობრივად მზრუნველსა საქართველოსასა, მათის იმპერატორების დიდებულების უმაღლესსა ნებასა.

ნამდვილსა-ზედა აწერია თავადი იოანე ორბელიანი*.

მაისის ით (19), წელსა ჩყვ (1803).

საბ. 6.

ფ. 226, № 9000

ბრწყინვალეო თავადო, მოწყალე ხელმწიფე!

ბრწყინვალეობისაგან დარიგებით და ბრძანებით მოვართვებ ბრწყინვალეობასა თქვენსა ჩემის სარდლობისა და სალთუხუცობისა სარგებლობისა წერილი, რომელიც ჩემთვის უკუმოგიბრუნებიათვე. ჩემი სახელო სპარსულის წოდებით სარდლობა, ქართულის სახელით სპასპეტობით დაწვერე და ორივე ერთ არს. ვითარცა წინაპართა ჩემთა შთამომავლობათათვის ნაბოძები მეფეთა მიერ დროშა, რომელიც აწ მე მაქვს ჩემად პატივად, მსხედაც სპასპეტად გამოწერილ არს სახელო ჩემი. გარნა სპარსთა მონებასა ქვეშე ყოფა სპასპეტობა ესე იქმნა ჩვეულ წოდებად სარდლობისა, ვითარცა ჩემდა ბოძებულს წიგნსა მეფის გიორგისასა წერილ არს სარდლობით.

* როგორც ფ. 2(მ), საქმე № 49-დან ირკვევა, იოანე ორბელიანის ამ მოხსენების დედანზე ციციანოვს წაუწერია: „რადგანც წყალობისა წიგნსა შინა მეფისა გიორგის მეთცამეტისასა თქვენი ბრწყინვალეობა არა სახელდებული ხართ სპასპეტად, ამისთვის წერილსა ამას, ვითარცა საბუთისა წადილითა თქვენთასა, არცა მოღებად და არცა წარგზავნად ვერა შემძლებელი, უკუმე გიქცევ თქვენს. ივნისის 21, თავადი ციციანოვი“.

აღბარ, ასეთი რეზოლუციის შედეგი არის იოანე ორბელიანის მომდევნო მოხსენება (იხ. აქვე, საბ. № 9000).

19/VI-ის „მოხსენების“ რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 277.

ვითხოვ თქვენმა ბრწყინვალეებამაც ინებოს, ძალისა დაწერილობისაებრ გიორგი მეფის წიგნისა, წარდგინებად უმაღლესის ტახტისადმი. სხებერ ვიმყოფები ნიადგ მზა მონებისადმი თქვენის ბრწყინვალეებისა.

თქვენის ბრწყინვალეების, მოწყალის ხელმწიფის, უმაღლესი მოსამსახურე თავადი იოანე ორბელიანი.

1803 წელსა
ივნისის [25] *.

საბ. 7

ფ. 226, ხ. № 8995

მათ მაღალს ბრწყინვალეებს, უფალს, საქართველოს [უპირა]ტეს მთავარს და მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიის ციციანოვს თავადის ქაიხოსრო ჩოლაყოვისაგან უმაღლესად მოხსენება.

თქუენის მაღალბრწყინვალეებისა მიერ გამოცემულისა უწყებითა წარმოუდგენ მაღალ მთავრობასა თქვენსა სიგელსა და დამტკიცებულსა მეფის გიორგისაგან ჩემისა სახელსსა და აღვსწერ სარგებლობასა ჩემსა ამავე ქაღალდის ფურცელსა ზედა.

ვიყავ სალთხუცესი კახეთისა პირველი და მქონდა სარგებლობა ამ სახელოდამ ესე, რომელიც ამას ქვეით სწერია:

ნ^მ 3^ვ ფ. ქ. კახეთის სურსათილამ და კოდის პურილამ ორმოცდა თორმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ათი შაური.

კ^მ 3^ვ ქ. კახეთის იჯარებილამ ოცდაორი თუმან ნახევარი.

ი^მ 3^ვ ქ. კულუხილამ და სხუას განწესებულის ღვინის შემოსავლებილამ თხუთმეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ათი შაური.

დ^მ 3^ვ ქ. თუშისა, ფშავისა და კახეთის სახასო სოფლების მთის საბალახოდამ ოთხი თუმან ნახევარი.

ღ^მ 3^ვ ქ. განწესებულის კახეთის შეწერილის ძროხისა და ცხვილდამ ოთხი თუმან ნახევარი.

ზ^მ 3^ვ ქ. კახეთის ფანჯიეჟილამ და ჯარიმილამ [შვიდ თუმან ნახევარი].

გ^მ 3^ვ ქ. ქრისტეანეთ შენაწერის სამარხოლამ და ნიგვილდამ და ეგრეთვე კახეთის ელის თათრების სააღდგომოს და საშობაოს საკლავილამ სამი თუმანი.

ი^მ 3^ვ ქ. ერეგნის მახტილამ თვრამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ათი შაური.

ზ^მ 3^ვ ქ. ყაზახის სურსათილამ შვიდ თუმან ნახევარი, როდესაც ქართლისა და კახეთის ჯარი ერთად შეყრილ იქნებოდა.

ქ. ვიყავ კახეთილამ მილახვარი.

ი^მ 3^ვ ქ. ჯამაგირი მქონდა თვრამეტი თუმანი.

* აღდგენილია ამ განცხადების რუსული თარგმანის მიხედვით, იხ. ფ. 2, № 49 ფურც. 233.

ლბ ქ. ულუფა წელიწადში მეძლეოდა ოცდათორმეტი თუმანი.

იჭ ქ. ქალაქს გარემეო ვიღებდი ფარას ცხვარზედ ერთს ბატკანს, ერთს ჯერს ყველს, აქედამ მქონდა შემოსავალი თეთრი ათი თუმან ნახევარი.

რეზუფ ქ. იქნა სრული ჯამი ამ ჩემის ორის სახელოსი სარგებლობისა ასოთხმოცდაჩვიდმეტი თუმანი, ოთხი მინალთუნი და ათი შაური *.

რომელიც ამ სიით სახელოთა ჩემთა სარგებლობანი დამიწერია, ამას ყოველსავე გარდაცვალეზადმდე მეფის გიორგის და გახსნადმდე საქართველოში ლუბერნისა, ნების მოცემითა მეფისათა, ჩემის ბართით დავხარჯევი ყოველს წელიწადში ასრე.

აპრილის კთ(29), ქკს უფა(491), წელსა ჩყგ(1803).

თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაევი**.

სხვა ხელით: „ვემოწმები თავადი ალექსანდრე მაყაოევი“ (sic).

საბ. 8

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 219

Перевод с грузинского

Его сиятельство салтхуцес-Каи خسро Чолокаев да известится: Ты, по сие время находясь в России, не был определен в службу нашу. А как ты, ныне возвратился, то как прежде, при блаженном родителей нашем, отец твой и ты были определены кахетинскими салтхуцесами и управляли такуюю должностию, по сему и мы определили тебя салтхуцесом, и повелеваем управлять делами к должности сей касающимися. Какия же определено нам получать доходы и какия прежде ты получал, оныя и теперь справедливым образом имеешь получать, а при том ведайте, что ежели будете брать выше оных, то будет с вас взяскано. Доходов же нам из Кахетии следующих ни кому не отдавать без нашего повеления. Сию должностию управлять порядочно и в чине сем служить следует тебе и племяннику твоему.

Декабря 11-го дня, 1799-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексий Петриев.

* დედანში შეცდომით სწერია „ორას თხუთმეტი თუმანი, ხუთი მინალთუნი და ათი შაური“, რაც არ უდგება დედნის ფულის აღმნიშვნელ ასოების მნიშვნელობას და არც სახელოთა სარგებლობის საერთო ანგარიშს.

** კახეთის სალთხუცის სარგო ნაჩვენები აქვს აგრეთვე მეფის ასულ ეკატერინას, სალთხუცის გიორგი ჩოლაყაშვილის მეუღლეს (იხ. Акты, I, 210), მაგრამ ის საგრძნობლად განსხვავდება კახეთის სალთხუცესთა მიერ წარდგენილ შემოსავლის ნუსხათაგან.

ქაიხოსრო ჩოლაყაშვილის მოხსენება თარგმნილია რუსულად, იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 218.

საბ. 9

ფ. 226, ს. № 9011

მათს მაღალს ბრწყინვალეებას, უფალს, საქართველოს მთავარსა და მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიძეს ციციანოვს

თავადის აღექვსანდრე მაყაოვისაგან უმდაბლესად მოჭყენება.

თქვენის მაღალ ბრწყინვალეებისა მიერ გამოცემულისა უწყებითა წარმოუდგენ მაღალ მთავრობასა თქვენსა სიგელსა უკანასკნელსა მეფისა გიორგი ირაკლის ძისასა და აღესწერცა სარგებლობასა ჩემსა ამავე ქალაქის ფურცელსა ზედან.

ვიყავ სახლთუხუცესი კახეთისა მეორე* და მქონდა სარგებლობა ამ სახელოდამ ესე, რომელიც ამას ქვევით სწერია:

ნ^ბჭ^ვქ. კახეთის სურსათიდან და კოდის პურიდან ორმოცდა თორმეტი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ათი შაური.

ბ^ტქ. კახეთის იჯარებიდან ოცდაორი თუმანი ნახევარი.

იე^ვქ. კულუხიდან და სხუას განწესებულის ღვინის შემოსავლებიდან თხუთმეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ათი შაური.

დ^წქ. თუშისა, ფშავისა და კახეთის სახასო სოფლების მთის საბალახოდამ ოთხი თუმანი ნახევარი.

დ^წქ. განწესებულის კახეთის შეწერილის ძროხისა და ცხვრიდან ოთხი თუმანი ნახევარი.

ზ^წქ. კახეთის ფანჯიეჭიდან და ჯარიმიდან [შვიდი თუმანი ნახევარი].

გ^წქ. ქრისტეანეთ შენაწერის სამარხოვად და ნიგვზიდან და ეგრეთვე კახეთის ელის თათრების სააღდგომოს და საშობაოს საკლავიდან სამი თუმანი.

ი^წქ. ერევნის მახტიდან თვრამეტი თუმანი, შვიდი მინალთუნი და ათი შაური.

ზ^წქ. ვაზახის სურსათიდან შვიდი თუმანი ნახევარი, როდესაც ქართლისა და კახეთის ჯარი ერთად შეყრილ იქნებოდა.

ვიყავ არმის ეშვალასაში და აქედამ მქონდა სარგებლობა:

ლ^წქ. ჯამაგირი წელიწადში, ოცდაათი თუმანი.

მ^წქ. ულუფა წელიწადში ორმოცის თუმნისა.

ქ^წქ. ვიყავი კახეთის ხევისთავი და აქედამ მქონდა წელიწადში ოცი თუმანი.

ს^წქ. იქნა სრული ჯამი ამ ჩემის სამის სახელოს სარგებლობისა ორას ოცდაექვსი თუმანი, ცხრა მინალთუნი და ათი შაური.

რომელიც ამ სიით სახელოთა ჩემთა სარგებლობანი დამიწერია, ამას ყოველსავე გარდაცვალებადმდე მეფის გიორგის და გახსნადმდე საქართველოში ლუბერნისა, ნების მოცემითა მეფისათა, ჩემის ბარათით დავხარჯევი ყოველს წელიწადში ასრე.

აპრილის კთ(29), ქკ^ს უჟა(491), წელსა ჩყგ(1803).

თავადი ალექსანდრე მაყაშვილი**.

სხვა ხელით: ვემოწმები ქაიხოსრო ჩოლაყევი.

* „მეორე“ დაწერილია სტრიქონს ზევით, იმავე ხელით.

** ალ. მაყაშვილის მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 275.

ს. 10

ვ. 2(8), ს. № 49, ფურც. 271—272

Перевод с грузинского

Божиею милостию мы от поколения Есея, Давыда, Соломона и Панакрата, сын царя Ираклия 2-го, Грузии, Кахетии и прочих царь Георгий 13-й и супруга наша урожденная княжна Цицианова царица Мария, перворожденный наш сын Давыд, Иоан, Баграт, Теймураз, Михаил, Жебран, Окропир, Эрекле, внук наш Григорий сию милостивую грамоту жалуем тебе, нашему верно-усердному крестнику нашему князю Александру Макаеву, сыну твоему Симону, Георгию и брату твоему Давыду, Дмитрию и преемникам дома твоего в том, что предки твой двору и предкам нашим верно и усердно кровию * своею жертвовали, о чем от предместников наших в данных грамотах явствует. Наконец, блаженной памяти дед и отец наши почтенного отца твоего эшикагабаша Семена к высочайшем российскому двору посланником отправили, а потом к персидскому двору, откуда по возвращении показал усердные услуги, и труды его клонилась к разпространению предела нашего царства, подвиги коего по сие время прославляют в обоих государствах; после чего отец твой служил нам эшикагабашом в бытность нашу еще наследником и при нашем дворе окончил свою жизнь. А ты, Александр, при нашем же дворе вырос, всегда верным и усердным себя представляя, и когда персидский государь Ага-магмад-хан Тифлис разорил, тогда мы в Кизике были, царица наша Мария с детьми и придворными свонми в Телаве была изоставлена. А когда Кахетия от страха Агамадхана (sic) укрепилась, то ты бесдрственно собрал силы свои и царц[у] нашу со всеми нашими придворными препровождал в Матане и ты пред нея шел пешком, а когда мы вас достигли и с нами вместе в Магани досехали и там, не разлучаясь с на[ми], служил нам верно и усердно; потом, по приезде царя отца нашего в Телав, мы в доме твоем в Руиспире остановились и во время пребывания нашего истощивал свои силы к угощению нас. До[д] вст[у]пления нашего на престол царский так служил нам, и теперь старания твои, рвение и верно-подданническое довольно доказывает усердие. Теперь пришел ты к нам и просил кахетинское, на сию сторону селения, салтхуццество, и мы прозбу твою во уверение приняли и произвели тебя начиная от Авчалы на сию сторону Кахетии, Кизика, Савачнадзо до Карданаха салтхуццесом. А что от них потребовано будет по положению, ты с мдиванами потребуешь из доходов с их

* დედაბნის შვიტლობით — „кровию“.

селений, и по сию сторону что качующие Кехетинские Эли * находяг. да и от них принадлежащую салтхуцесу долю ты возьмешь. А в сих местах посленного для казенного збора с [м]диванами вместе отчета ты потребуешь, и от казенных волостей, как положено гофмаршалу служителей иметь, ты в состоянии; сверх сего, от стороны Карталинни нашим арагвис ** эшикагабашом состоит Херхеулидзе Георгий, а из Кахетии армис эшикагабашом себя произвели, и жалуем тебе положенное оному чин[у] жалованье, с промисано и все доходы, принадлежащие эшикагабашом. Да утвердится счастливо в нашем усердии и службе сей новый чин, да не будет отменен ни сг нас, ни от преемников наших.

Теперь повелеваем двора нашего векил-везирам сей знак нашей милости и вы утвердите, и никто да не коснется препятствовать. Писана придворным нашим секретарем князем Элазаром Палавандовым. Генваря 12-го дня, по грузинскому счислению 488-и, что будет 1800 года.

На подлинной печати так:



С подлинным верно священник Алексей Петриев.

საბ. 11

ფ. 226, ხ. № 9093

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიძეს ციციანოვს

თავადი სალთხუცესი ნოდარიშვილის გიორგის მოხსენება.

ჩემის სახელოს სიგელი ხომ მოგართვი და თქვენს ბრწყინვალეობას ახლავს და თქვენგან გვებძანა-- შენი შემოსავალი არზით მომასხენო.

სადედოფლოს სამღებროდამ წელიწადში რვა თუმანი გვებოძებოდა. ამას გარდა, კოდის პურიდამ შვიდი ურემი მებოძებოდა და კულუხიდანაც ერთი ურემი, აბრეშუმიდამ ერთი ლიტრა. საკომლოს ფული, საკლავის ფასათ, ორ-ორი აბაზი, ის ბატონისა იყო, აქედამ ათის თავი მერგებოდა--ერთი თუმანი. გვედრებით, ეს იყო ჩემი შემოსავალი, არც თქვენგან მოგვეშალოს.

მაისის ივ(16), ქკს უჟა(1803 წ.)***.

* ხაზგანმუხლა მთარგმნელის მიერ.

** აქ მთარგმნელის შეცდომასთან უნდა გვეზღვეს საქმე და „aragvis“ მაგიერ უნდა ყოფილიყო „aragvis“.

*** გ. ნოდარიშვილის მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 486.

სსს. 12

ვ, 2(8), ს. № 49, ვუბც. 487

Перевод с грузинского подлинника

Божиею милостию мы, всея Грузии царица Дария, Дадианова дщерь, дали сию жалованную грамоту тебе, верно и усердно от самых предков нам служившему Георгию Надирову, сыну твоему Ростому, Ивану и Антону и потомкам дому твоего так, что вы из древних времен от достойно-блаженных цариц имели чин кахетинского салтхуцеса по уделу царицы. Почему и мы оной чин тебе утвердили на таком положении, чтоб тебе из всех доходов от наших кахетинских селений и красилен получать десятую часть, и иметь тебе старание о приращении доходов наших. Сия же милость наша да неизменна будет тебе ни нами, ни последствующими по нас царицами. Повелеваем убо двора нашего чиновникам и правителям утвердить сию грамоту. Написано повеление сие и вид двора нашего мдиваном Семеном Фабуловым. Июля 1-го дня, 1770-го года.

Приложена печать царицы Дарии.

Мы, всея Грузии царь Ираклий второй утверждаем грамоту сию. Июля 4-го 1770-го года.

Приложена печать царя Ираклия.

Мы, всея Грузии царевич Георгий, свидетельствуем сию грамоту. Июля 5-го, 1770-го года.

Приложена печать его.

Мы, всея Грузия царевич Лсон, свидетельствуем сию грамоту. Августа 1-го, 1770.

Приложена печать его.

Мы, царевич Иулон, свидетельствуем сию грамоту. Июля 5, 1770.

Приложена печать его.

Мы, царевич Вахтанг, свидетельствуем сию грамоту. Июля 5-го, 1770.

Приложена печать его.

Мы, всея Карталинии, Кахетии и протчих царь Георгий, сию, ея вышесочества царицы матери нашей, жалованную грамоту утверждаем. Генваря 1799-го.

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексей Петриев.

საბ. 13

ფ. 226, ხ. № 9097

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს [უპ]ირატეს მთავარს, კნიაზ პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს

თავადის სუმბათოვის ქაიხოსროსა და იოანეს მოხსენება.

ბრწყინვალეობისა თქვენისა მიერ ჩვენდა გამოცხადებულისა ბრძანებისა ძლით წარმოუდგენ მოხსენებასა ამას, რომელ ჩვენ ვიყავით მოღარეთხუცესი და ლაშქარნივისი მეფის გიორგისა და გვქონდა წელიწადში* განწესებული ულუფა, ჯამაგირი და სარგო ესრეთ, ვითარცა წერილ არს ქვემოთ:

[ი]ბ* ქ. ჯამაგირი მქონდა სამოღარეთხუცო წელიწადში თუმანი თორმეტი.

ზ*მ ქ. პური და ქერი კოდი სამოცდაცამეტი, იქნება ამის ფასი თუმანი (შვიდი და ორი ბისტი).

დ*ქქ ქ. ხორცი ლიტრა ასოთხმოცდაორი და ნახევარი, ამისა ფასი იქნება (ოთხ თუმან ნახევარი და სამი აბაზი).

ე*წლნ ქ. ღვინო თუნგი ორასსამოცდაცამეტი, იქნება ამისი ფასი (ხუთი თუმანი, ოთხი მინალთუნი და თხუთმეტი შაური).

კ*ქ ქ. სანთელი ქონისა (შვიდი მინალთუნი და ერთი ბისტი).

ბ* ქ. სამარხო და თევზი წლისა (ორი თუმანი).

[ლ] ქ. რაც მეფის სარქარში ფარჩა დაიხარჯებოდა და მთის კაცზედ, თუ საქართველოს ხალხზედ, იჯარებიდამ თუ გარეშე ხალხისაგან სყიდვით, იქიდან თუმანზედ ორი აბაზი გვერგებოდა და ამ ორის აბაზიდა(მ) ორი შაური ჩემი იყო და ექვსი შაური სხვა მოხელეებისა. ჩემს წილად მერგებოდა წელიწადში ოცდაათი თუმანი.

ო* ქ. მთის კაცთ, ლექსა თუ სხვათ, რაც ფარჩა მიეცემოდათ, ამათგან ათის თავს ავიღებდი და ჩემს წილად მერგებოდა წელიწადში ათი თუმანი.

ე* ქ. საღაროდამ თუ იჯარებიდამ სტუმრებს საჩუქარი რომ მიეცემოდათ, იმათგან დუშალიკი მოგვეცემოდა, ამ დუშალიკში ნახევარი ჩემი იყო, საიდამაც მერგებოდა წელიწადში ხუთი თუმანი.

ო* ქ. ვინც იჯარებს აიღებდნენ და იმათ მომეტებულის იჯარის ხალათები მიეცემოდათ, იმათგან თუმანზედ ხუთი აბაზი საკუთრად ჩემი იყო, რომლიდამაც მერგებოდა წელიწადში ათი თუმანი.

იბ* ქ. ლაშქარნივისობის ჯამაგირი მქონდა წელიწადში თორმეტი თუმანი.

მეფის გიორგის წყალობა უკანასკნელს ჟამამდის ჩვენის წლის შემოსავალი ეს იყო და ღრამატაც ეს** არის, რომელიც მოგვირთმევია და თუ ინებებ ჰკითხეთ საზოგადოებას და ეს მოხსენება იმათგან დაიმტკიცეთ.

ბრწყინვალეობისა თქვენისა უმდაბლესი მოსამსახურე თავადი სუმბატოვი ქაიხოსრო.

თავადი სუმბატოვი იოანე.

ტფილისს; მაისის 5(7) დღეს, 1803 წელს ***.

* დედანშია—„წელიწადში“.

** სწორია: ესენი

*** სუმბათაშვილების მოხსენების რუსული თარგმანი ის. ფ. 2, № 49, ფურც. 515

საბ. 14

ფ. 2(8) ს. № 49 ფურც. 516

Перевод с грузинского подлинника

Даем повеление вам моларетхуцесу Каихосру и моларе/Папе в том, что вы все надлежащие и следуемые вам доходы от кого следует вместе получать по обыкновенному учреждению: никто удерживать вам его не может, да и вы лишнего желать не должны. Июня 17-го дня, 1799-го года.

А грековых денег 150 ру(6) отпустим мы, с него уже вам требовать не следует.

Приложена печать царя Георгия *.

Переводил священник Алексий Петриев.

საბ. 15

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 548

მისს ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატეს მმართველს თაქვადს პავლე დიმიტრიძე ციციანოვს

მოხსენება თავადის შარვაშიძის ნიკოლოზ მოლარეთხუცისაგან.

მამა ჩემმა სანატრელს მეფეს თეიმურაზს, მეფეს ირაკლის მრავალს ალაგს მსახურა და იმ სამსახურის გამო უბოძა თავის სალაროს ხაზინადრობა და მქონდა (!)

მეფემ გიორგიმაც მძიმეს ნიეთის გამორთმევით მიმსახურა და მამის სახელო მტკიცის სიგლით მიბოძა და, იმ სახელოს გარდა, მეორეს სიგლით თორმეტი თუმანი ჯამაგირი თეთრი გამიწესა და ეს ორივე სიგლები ივან ივანიჩ კოვალესკის აქეს. ვთხოვთ მიიროთ და მეფის გიორგის სიგლისამებრ შემისრულოთ და ქართლის ხაზინადრობა მიბოძოთ, რომ მეც ამ ქვეყანაში დავრჩე.

იენისის გ(ე), ქქს უჭა (1803 წ.) **

ამ არხის პატრონის ნებითა ვწერ იოანე პენტელოვი.

* ამავე ფურცელზე მთარგმნელს მითითებული აქვს, რომ ქაიხოსროსა და პაპას მიერ, წარმოდგენილი იყო ზემო მოტანილის მსგავსი შინაარსის, გორგი XII სხვა ბრძანება სარდალ-სალოხუცის იოანეს, მელიქ დარჩის და სხვ. მიხედვითა სახელზე.

** მოხსენების რუსული თარგმანი იხ. იქვე, ფურც. 547.

საბ. 16

ფ. 226, ს. № 9099

მისს ბრწყინვალეებას, უფალს, საქართუმლოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიის ცაცხაიანოვს

შარვაშიძე მოლარედხუცის ნიკოლოზის მოხსენება.

მეფის გიორგისგან წყალობა მჭირდა, მოლარედხუცობის სიგელი მქონდა და კიდევ ჯამაგირისა, თორმეტი თუმანი ჯამაგირი მქონდა წელიწადში, სახელადამა ცოცი და ოცდაათი თუმანი შემოსავალი მქონდა. წერილებიც მანდ გახლავს. გვედრებთ ეს წყალობა თქვენგანაც მეგობოს და არ მომეშალოს. იენისის იზ(17), ქკს უჟა (1803 წ.)*

საბ. 17

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 524

Перевод с грузинского

(1). Божию милостию мы, Иессеев, Давыдов, Соломонов, Багратион, царь Карталинский, Кахетинский и протчих Георгий 13-й, супруга наша Цицианова дщерь царица Мария, перворожденный сын наш Давыд, Иоан, Баграт, Теймураз, Михаил, Джибраил, Илия, Окропир и Ираклиш сию малованную грамоту дали тебе, моларетхуцесу Николаю Шарвашидзе, брату твоему Ивану и племяннику твоему Михаилу, — так как покойноблагенным родителем нашим отцу твоему за службы, им оказанные, пожалован был чин моларетхуцеса, то и мы утверждаем тебе оной чин, и по чину сему все следуемые доходы получать тебе ежегодно. Имейте и да ошастливит вас тем бог в верной нашей службе, и да неизменится милость сия никогда ни нам, ни же последующим по нас царями. Написана сия генваря 15-го, 1799-го года **). Как отец твой имел чин сей, так имей и тебе.

На подлинном, приложена печать царя Георгия.

(2). Мы, царь всяя Грузии, Карталинии, Кахетии и протчих Георгий 13-й, дали тебе моларетхуцесу Николаю Шарвашидзе сию милостивую грамоту, по которой за усердную твою службу назначили мы в год денежного жалованья 120-руб[л], которые и получать тебе ежегодно из откупов наших по баратам наших чиновников. Генваря 15-го дня, 1799-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексѣй Петриев.

* ნიკ. შარვაშიძის მოხსენების რუსული თარგმანი, იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 526.

** რუსულ თარგმანში შეცდომით სწერია: „Генваря 15-го, 1797-го года“; როგორც აქვე მოტანილ მგორე საბუთიდან ჩანს, პირველიც 1799 წ. 15 იანვარს უნდა იყოს შედგენილი.

საბ. 18

ფ. 226, ხ. № 9067

მის ბრწყინვალებას, უფალს, საქართველოს უპირატესს მმართველს და მთავარს, თავადს პავლე დიმიტრიის ციციანოვს თავადის ეგვენ აბაშიძისაგან მოხსენება.

თქმუნის ბრწყინვალებისა მიერ გამოცემულისა ბრძანებისა უწყებითა წარმოუდგენ ბრწყინვალებასა მაღალ მთავრობასა თქუშნსა არზასა ამას ჩემის სახელოს და სარგებლობისასა.

ვიყავ სალაროს ნაზირი და სარგებლობა მქონდა ესე:

კ (ოცი თუმანი) ქ. ჯამაგირი წელიწადში თეთრი, თუმანი (sic!).

თ^ვ (ცხრა თუმანი და ორი მინალთუნი) ქ. წლის პური კოდი: ჟა (91):

შ^ვ (რვა თუმანი და ორი მინალთუნი) ქ. ქერი კოდი: კბ (82).

იღ^ვ (თოთხმეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი) ქ. ღვინო თუნგი: ღლ (730).

ა^ვ (თორმეტი მინალთუნი) ქ. სანთელი ლიტრა: იბ (12).

თ^ქ (ცხრა თუმანი და ხუთი მინალთუნი) ქ. ჯორცი ლიტრა: ტგე (365).

ღ^ვ (ოთხი თუმანი) ქ. მარხვით-სამარხო თევზი, ხიზილალა.

ლ^ვ (ოცდაათი თუმანი) ქ. რაც მეფეების სარქარში ჯინში დაიხარჯებოდა, ხან იქნებოდა ხუთი ათასი თუმნისა, ხან ოთხი ათასის თუმნისა და ხან სამის ათასის * თუმნისა, და ამაზედ კი ნაკლები აღარ იქნებოდა, და აქედამ ორი ამაზი თუმანზედ სალაროს მოხელეებისა იყო და ამას ასრე გავიყოფდით განწყებისაებრ: ორი შაური მუსტოფი მირზა რაბაისი** იყო, ერთი შაური სალაროს მუშრობისა იოსებ მელიქოვისა, ორი შაური მოლარეთხუტებისა, ერთი შაური სხვა მოხელისა და ორი შაური ჩემი იყო და ჩემს წილად მერგებოდა.

ლ^ვ (ოცდაათი თუმანი) ქ. ლეკებს, თუ სხვათ მთის კაცთ წელიწადში სამ ათასს თუმანზედ მეტი, და არა ნაკლები, ფარჩა მიეცემოდათ და ვისგანაც სარქარი იყიდდა, იქიდანაც თუმანზედ ორი ამაზი სალაროს მოხელეებისა იყო და ამასაც ასრე გავიყოფდით, როგორც ზევით მსწერია და ჩემს წილად მერგებოდა.

იზ^ვ (ჩვიდმეტი თუმანი) ქ. ქალაქში, ქართლსა და კახეთში რაც იჯარები გაციემოდა, თუმანზედ ორი ბისტი საკუთრად ჩემი იყო, წელიწადში მერგებოდა აქედამ.

ქ. და ამას გარდა ვარ მოურავი სურამისა, ხეფინის-ხევისა, ალის სოფლისა და თათრის სოფლის თაქლას მოურავი, რომლისაცა მეფეთაგან მოძებულნი მაქუნნ სიგელინი.

იქნა ჯამი ამისი თეთრი რმგ^ვ (ასორმოცდასამი თუმანი და შვიდი მინალთუნი).

სხვა ხელით: „დავშთები უმდაბლესად მსახურებასა თქვენსა ტრფიალი აბაშიძე პატა. რადგან მამა ჩემი აქ არ გახლდათ მე წარმოუვლინე პრწყინვალებასა თქვენსა წერილი ესე“.

მაისის 25, წელსა 1803 ***.

* დღანში შეცდომით — „სამასის ათასის თუმნისა“...

** სწორია: არაბიასი

*** ეგვ. აბაშიძის განცხადების რუსული თარგმანი, იბ. ფ. 2, № 49, ფურც. 425.

საბ. 19

ფ. 226, ს. № 8996

მათს ბრწყინვალეობას, უფალს საქართველოს უპირატესს მთავარს და მმართველს, თავადს პაველ დიმიტრიის ციციანოვს

თავადის იოსებ მელიქოვისაგან უმდაბლესად მოვსენება.

თქვენის ბრწყინვალეობისა მიერ გამოცემული ბრძანებთა და კეთილ მოქმედებითი მზრუნველობთა თქვენი ვისმინენ და ამაღ წარმოუდგენ ბრწყინვალეობისა თქვენსა, უპირატესსა მთავრობასა, სამკვიდროთა სახელოთა ჩემთა, უკანასკნელსა სიგელსა მეფისა გიორგი ირაკლის ძისასა და ეგრეთვე, ამასთანავე, მკვიდრად განწესებულსა სარგებლობისა ჩემისა ნუსხასა, თვითუღლად დაწერილსა, კარის მოჭელეთა თავადთაგან ველ მოწერილსა. თუმცა მეფეთა წყალობითა გსცხოვრებდი სარგებლობითა და პა ზივთა ამით და, გარდაცვალებადმდე მეფის გიორგისა და განხნამდე საქართველოს შინა ღებურნიისა, არა მოვჭკლებივარ სარგებლობასა ამას, მაგრამ აწ ვინადგან გვევარავს ყოვლად უდიდებულესი მეფე და გელმწიფე ცხოვრებისა მომცემდაც იმისის უდიდებულესობას ვსასოებ და ნება მათის იმპერატორების დიდებულეობისა აღსრულდეს.

თავადი იოსებ მელიქოვი.

წელსა ჩყგ(1803), მაისის ა(1).*

ტფილისს.

საბ. 20

ფ. 226, ს. № 8997

თავადს იოსებს მელიქოვს, ძესა ლაშქარნივისისა და სალაროს მუშრების პაპასა, ჰქონდა მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისაგან სახელო და შესავალი ესე, რომელიც ამას ქვევით სწერია:

იშ ქ. ლაშქარნივისობა და ამის ჯამაგირი, თვრამეტი თუმანი.

იბ ქ. სალაროს მუშრისობა და ამის ჯამაგირი, თორმეტი თუმანი.

ქ. ამ ორსავე საწელოს ულუფა წელიწადში:

იგზ (ცამეტი თუმანი და ექვსი მინალთუნი) ქ. პური და ქერი წარვალი ცამეტი და კოდი ექვსი.

ბჯქ (ორი თუმანი, რვა მინალთუნი და სამი აბაზი) ქ. სახაბაზოდამ წმინდა პური დღეში დ(4), ამისი ა(1) ერთ ბისჩათ იქნება.

ღქქ (ოთხი თუმანი, ხუთი მინალთუნი და სამი აბაზი) ქ. ცხვრის ხორცი ლიტრა ას ოთხმოცდა ორ ნანევარი, ა(1) ლიტრა სნ (ხუთი შაური) იქნება,

* ი. მელიქიშვილის მოხსენების რუსული თარგმანი იხ. 2, № 49, ფურც. 221.

ზ^დ (შვიდი თუმანი და სამი მინალთუნი) ქ. ღვინო თუნგი სამას სამოცდა-
ხუთი, ა(1) თუნგი ს(აბაზი) იქნება.

ხ ქ. ქონი ლიტრა თორმეტი, ა(1) ლიტრა ფ(ათი შაური), იქნება ექვსი
მინალთუნი.

ჩუ ქ. მარილი ლიტრა თვრამეტი, ა(1) ლიტრა რ(ორი შაური), იქნება
ცხრა აბაზი.

ჭ ქ. სამარხო ლიტრა ოცდახუთი, თავისის ნიგვზით, შვიდი მინალთუნი,
ც ქ. ხუთს ყველიერს დღეში ორ-ორის აბაზის თევზი და ხიზილალა, ორი
მინალთუნი.

იე^რ ქ. რაც მეფეების სარქარში ჯინში დაიხარჯებოდა, თუმანზედ ორი
აბაზი აღდგებოდა, აქედამ ორი შაური მუსტოფისა იყო, ორი შაური სალაროს
ნაზირისა, ორი შაური მოლარეთხუცისა, ერთი შაური სხვა მოველისა და ერთი
შაურიც ამისი. წელიწადში ხან იხარჯებოდა ხუთი ათასის თუმნისა, ხან ოთხის
ათასის თუმნისა და სამ ათას თუმანზედ ნაკლებისა კი აღარ დაიხარჯებოდა
და ამას მიეცემოდა თხუთმეტი თუმანი.

იე^ვ ქ. რასაც ლეკებსა და სხვათ მთის კაცთ ფარჩას აძლევდნენ, რომლი-
საგანაც სარქარი ფარჩას იყიდდა, იქიდანაც ორი აბაზი ამავე მოველებისა იყო
და ამასაც ესრეთ გაიყოფდნენ. წელიწადში სამ ათას თუმანზედ მეტი დაიხარ-
ჯებოდა და არა ნაკლები და აქედამაც ამას თავის წილად ერგებოდა თხუთმე-
ტი თუმანი.

ლ ქ. სტუმართ თუ სხვათ საქართველოს კაცთ საჩუქარი ებოძებოდათ
მეფეებისგან, იმას მოლარეები მიუტანდნენ და იმათგან დუშალიგი მიეცემო-
დათ, რომელიცა არის სარგო, და იქიდანაც მეხუთედი ამისი იყო და სულ
ცოტა რგებოდა, წელიწადში ოთხი თუმანი მაინც ერგებოდა.

ვ ქ. მთის კაცთ ჯამაგირებისა და საჩუქრების ათის თავიდან, ეგ[რევე],
იჯარადრების .ხალათების ათის თავიდან, სულ ცოტა რომ რგებოდა, თავის
წილად ექვსი თუმანი მაინც ერგებოდა.

რ ქ. იქნა ამ მკვიდრად განწესებულის ჯამაგირისა, ულუფისა და სარგო-
ში ასი თუმანი.

ქ. მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისაგან საიღუმლოს მდივნობ[აში]
დიდათ სანდოთ მიღებული და პატივცემული იყო და რომელ[ს] ამას ზევით
მკვიდრად განწესებული სარგოები უწერია, ამას გარდა სხვასაც მრავალს
იშოვნია.

ქვემოთ სხვადასხვა ხელით მიწერილია:

„მე ვენი ასე ვიცი და ასეც იყო და თვით ჩემის ბეჭდით ეძლეოდა
ხოლმე ყოველთვის ულუფა და ჯამაგირი, რაჟც ასე ერგებოდა. თავადი სარ-
დარ-სალოთხუცესი იოანე ორბელიანი“.

„თავადი მდივანბეგი ბარათოვი [ზაალ?]“

„ქ. მე, ვეზირ-მუსტოფი, მირზა რაბი ამ წერილის მოწამე ვარ და ასე
იყო“.

„თავადი აღექსანდრე მაყაოვი, სალთხუცესი „აღექსანდრე“.
 „თავადი სულხან თუმანოვი“. „თავადი დიმიტრი თუმანოვი“.
 „თავადი ეგნატი თუმანოვი“. „თავადი სუმბატოვი ქაიხოსრო“.
 „თავადი დარჩია ბეჰბუდოვი“.
 „თავადი ნახირი დავით მაყოვი“.

„ქ. კეთილშობილი ყორღანოვი მუშრები დავით“.

მარცხენა კიდეზე:

„თავადი სარდალი გიორგი ციციშვილი“; „თავადი სალაროს ნახირი აბაშიძე ევგენ“*.

საბ. 21

[პირი]

ფ. 227, ხ. № 1085

ქ. ნებითა და შეწვევითა ლუთისათა ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლომო-ნიან, ბაგრატიოვანმან მეფემან ყოვლისა საქართველოსა, ქართლისა, კახეთისა, სხვათა და სხვათა გიორგიმან(!) და თანა-მეცხედრემან ჩვენმან ბატონის-ციცის-შვილის ასულმან დედოფალმან მარიამმან(!), ქემან ჩვენმან უფლის-წულმან მემკვიდრე დავითმან, იოანემ, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბრეილ, ილიამ, ოქროპირმან და ირაკლიმ და ძის ძემან ჩვენმა გრიგოლმა, წყალობის წიგნი ესე შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და წესისაგერ მრავალ რიგად ერთგულობით ნამსახურს, სომხეთის მელოქის შვილს, მათის უმაღ-ლესობის კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ლაშქარნივის სალაროს მუშ-რების პაპას შვილს, სალაროს მუშრებს იოსებს,—ასე რომ მათს უმაღლესობას კურთხეულს ბატონს მამა ჩვენს ახლდი და მათის უმაღლესობისაგან სალაროს მუშრებობისა და მულარლად მწერლობის წყალობა გჰირდა და ახლა მოხველ კარსა დარბაზისა ჩვენისასა სახელოსა და ჩვენთან მწერლობის წყალობას დაგ-ვეაჯე. ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და მოვიგონეთცა ერთგულობით მამის შენის სამსახური და შენი სამსახური და წყალობა გიყავით და გიბოძეთ ქალა-ქისა და სომხით-საბარათაშვილოს** ლაშქარნივისობაც და ჩვენს კარზედ მწე-როლობაც და რაც სხვათ ლაშქარნივისებს ჯამაგირი და ულუფა ჰქონდესთ, ის ჯამაგირიც და ულუფაც ჩვენის კარიდამ უკლებრად უნდა მოგეცემოდეს.

გქონდეს და გიბედნიეროს, ღმერთმან მოგახმაროს ჩვენს ერთგულობასა შინა. არ მოგეშალოს წყალობა ესე ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფე-თა და მებატონოვთაგან. გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირნო და სხვანო მოკვლენო, წყალობა ესე ჩვენი თქვენც ესრეთ დაუმტკიცეთ და ნურავინ შლად ჰელპყოფთ. აღიწერა წყალობა და ნიშანი ესე [ხელითა] კარისა ჩვენის მდივნის თუმანისშვილის ბირთველისათა.

* საბუთის რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 225.

** დედანი შეცდომით სწერია—„სომხეთ-საბარათიშვილო“.

მარტის ია(11), ქკს უპმ (1800 წ.)

ბეჰელი	მეფე გიორგი	ბეჰელი	დედოფალი მარიამ
ბეჰელი	მეფის ძე იოანე	ბეჰელი	მეფის ძე ბაგრატ
ბეჰელი	სარდალ- სალთუცესი იოანე		

კიდევ იმავე ხელით: „ქ. ჩვენ საქართველოს მეფის ძე, მემკვიდრე, რუსეთის ლენერალ ლეიტენანტი და კავალერი დავით ვამტკიცებთ, მისის კე(25) ქკს უპმ(1800).

ბეჰელი	მეფის ძე დავით	“
--------	-------------------	---

საბ. 22

[პირი]

ფ. 227, ს. № 475

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანტკრა-ტოვანმან, სრულიად საქართველოჲსა, კახეთისა და სხვათა მეფის გიორგის მეთაქმეტისა ძემან უფლის-წულმან და მემკვიდრემან, უდიდებულესის რუსეთის ხელმწიფის ლენერალ-ლეიტენანტმან და კავალერმან დავით, წყალობისა და სიმტკიცის წერილი და ნიშანი ესე გიწყალობეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთ-გულს და თავდადებით ჩვენის ერთგულობის მტკიცეს და მრავალ რიგათ ნამ-სახურს თავადს სომხეთის მელიქის შვილს იოსებს და შვილთა შენთა იოანეს, სოლომონს, დავითს და მომავალთა სახლისა შენისათა. ასე რომ, მამა შენი პაპა, ნეტარად ხსენებულს ბატონს პაპა ჩვენს, მეფეს ირაკლის სიყრმითვანვე თან შეზრდოდა უერთგულესის სამსახურების გამოჩენით და მისის მეფობის უმაღ-ლესობისაგან მიეღო წყალობად სახელოები ესე: ლაშქარნივისობა კახეთისა და სალაროს მუშრბობა მრჩობლ სამეფოსი, თუმცა სხვასა და სხვას დიდრო საქმებშიაც სანდოთ მიღებული და მიჩნეული იყო, მეტადრე უსაიდუმლოეს საქმებში. მაგრამ გამოცხადებით სახელოები ეს ორი ეჭირა. და მამამან შენ-მან რომ პაპის ჩვენისა და ჩვენის ოჯახისა სამსახურსა და ერთგულებასა შინა აღსასრული მიიღო, შენ პატარა დარჩომოდი და იმ ჟამად შენ თანამდებობის

სრულ ყოფა არ შეგძლებოდა. კახეთის ლაშქარნივისობა კახთ თავადებს ეშოგნათ და სალაროს მუშრიბობა ბეჭბუდოვს აშხარბეგს მიელო და როდესაც სამსახურები შეიძელ, სალაროს მუშრიბობა შენვე გიწყალობა, მდიენობის საქმეში ახლდი და სიიღუმლოს მწერლობით გიმსახურებდა, მაგრამ განწესებული ჯამაგირი, ულუფა და რუსუმი სალაროს მუშრიბობისა გქონდა; და როდესაც ნეტარად ხსენებულის პაპის ჩვენის სიცოცხლის ხე ამ სოფლის ბაღიჩიდან აღმოგვდა და საუკუნოს სასუფეველს წალკოტში დაერგო და უმაღლესი მეფე ბატონი მამა ჩვენი მრჩობლ სამეფოს ტახტზედ დაბრძანდა, შენ რამდენსამე წელს იმათის მეფობის უმაღლესობის წყალობასა და მოწყალებისაგან შეუწყურებელი დარჩი და თანამდებობისამებრ ერთგულობის შენისა ჩვენს ღიღებულ კარზე დაეგდე და შიშვილ მწყურვალისაგან სიტყვლით და უპატიურობით მრავალ რიგათ მწყუხარება მოითმინე და ამისთანა მწყუხარებით ცხოვრება არა სასიამოვნოდ. და როდესაც უმაღლესმა მეფემ ბატონმა მამა ჩვენმა სცნა აზრი(!) ესე შენი და მრავალგვარ ერთგულობა შენი ცხად იქმნა, წყალობა გიყოთ და გიბოძათ ქალაქისა და სომხით-საბარათაშვილოს* ქართველთა** და თათრის ლაშქარნივისობა თავის განწესებულის ჯამაგირით, ულუფით და სარგოებით და უსაიღუმლოეს საქმეებშიაც შეგიყვანა მწერლობით. აწ მოხველ კარსა პალატისა ჩვენისასა და ამ შენის სახელოების დამტკიცებას და წყალობას დაგვეაჯუვისმინით აჯა და მოხსენება შენი და გიბოძეთ ქალაქისა და სომხით-საბარათაშვილოს ქართველთა** და თათრის ლაშქარნივისობა. ასე რომე, ამ შენს სალაშქარნივისის ქვეყნებს, როდესაც ჯარსა ვსთხოვთ, შენ უნდა შეაწერდე და თუ ჯარში დაკლებისათვის დაირბია ვინმე, ძველი განწესებისამებრ, იმისი სარბევისა ათის თავიც შენი არის, სხვას მოხელეს და მდიენს საქმე არა აქვს. და ამის ჯამაგირიც უკლებრად უნდა მოგეცემოდეს, რაც განწესებული არის. და სალაროს მუშრიბობაც დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ ყოვლის თავის სამართლიანთ განწესებულის სარგოებით და ჯამაგირით. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენი ერთგულობასა სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს წყალობა ესე ჩვენი არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. გიბრძანებთ კარისა ჩვენისა მოხელენო, თქვენც ასრეთ დაუმტკიცეთ და ნურგინ შლად ხელს ჰყობთ(!) თვინიერ შეწვევისაგან კიდე. აღიწერა დეკემბერს. იზ(17), ქკს უპს[1800 წ.]

დავით.

* დედანში სწერია—„სომეხთ-საბარათაშვილო“

** სწერია: ქართველთა

საბ. 23

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 420

Его сиятельству, господину генерал-лейтенанту главно[управ]ляющему Грузнею и разных орденов кавалеру, князю Павлу Дмитриевичу Цицианову.

Князя Шиаша Туманова.

По высочайшей воле и по повелению Вашего сиятельства доношу, что блаженныя памяти при царе Ираклие находились два пешкашневисы, ис коих первой я, а второй князь Соломон Леонидзе, которого, по смерти царя Ираклия, царь Георгий сменил дворянином Алексеем Алексеевым и по силе пожалованной мне от царя грамоты, от кудова какие подарки приносили царю, деньгами и вещами, то из оных была определена мне одиннадцатая часть. Еще-ж имею повеления о получении в число оногo из царского откупа двух сот рублей. А по истечении года по счете приносимых к нему подарков и числа превосходящего оныя двесте (sic) рублей, которые повелении и существовали одни завсегда. В полученни-ж мною выписанного, мне определенного, я давал от себя тому, от кого и сколько получал, бараты, во уверении чего представляю присем царские грамоты. Доход-же мой был иногда больше, а иногда меньше, но не ниже четырех сот или пяти сот рублей.

Июля 11 дня
1803 года

შიაოშ თუმანოვი.

საბ. 24

ფ. 227, ს. № 1078 *

[პირი]

მ ჩელიექიღამ, რვა თუმანი.

ზ ბურნიოთის იჯარიღამ, შვიდი თუმანი.

ე ხამ-ხალათის ბექდის იჯარიღამ, ხუთი თუმანი.

კ იქნა სამის კალმის ჯამი, ოცი თუმანი.

რომელნიც ამ ბაჟების, ან იჯარადარნი იყვნეთ და ან ამანათქარნი იქნებოდეთ, როგორც ამ სიით დაგვიწერია წვლიწადში ოცს თუმანს სულხან მდიენიშვილს შიოშს ასე უნდა მისცემდეთ ყველანი, რომ საფეშქაშნივისო სარგოს ანგარიში გვიბოძებია და მუღამ წელს თქვენს ანგარიშ(შ)ი გაივლის. ამ ოცი თუმნის ოქმი ბურნიოთის იჯარადარზე ჰქონდა ჩვენგან ნაბოძები, ის დაჰკარგოდა და ახლა ესე გაუყავით.

იენისის იე(15), ქკს შუპე(1797 წ.)

* ეს ბრძანება წარმოუდგენია შიოშ თუმანიშვილს ციციანოვისათვის. ის ამ ბრძანების რუსული პირი, ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 422.

ერგულე

ჩვენ საქართველოსა და კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ სანატრელის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგან ბოძებულს საფეშქაშნივისო სარგოსა ამას ვამტკიცებთ.

მარტის 6(3), ქკს უპე(1798 წ.)

მეფე
გიორგი

ნამდვილისა თანასწორ არს მღვდელი ალექსი პეტრევი.

საბ. 25

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც.421

[Перевод с грузинского Еодлинника]

Божиею милостию мы, Карталинский и Кахетинский царь Ираклий 2-й, супруга наша Дадианова дочь царица Дария, перворожденный и любезный сын наш и всей Грузии наследник Георгий, Иулон, Вахтаंग, Мирриан, Александр, Фарнабз, внуки наши: Давыд, Иоанн, Баграт, Теймураз, Михана, Джибранд, Илия, Леон и Луарсаб сию нашу милостивую грамоту пожаловали вам нашему усердно верного человека сыну князю Туманову мдиван (sic!) Сулханову сыну мдивану Шиошу в том, что дел вац мдиван Коржаспи блаженно памятному отцу нашему и нам очень верным и усердным был, и также отец твой Сулхан мдиван от нас и нашу службу есть воспитан и по должности служи[л] с великим усердием для Грузии, очень старался — и ныне видна его служба, в которой находился для верности отечеству, что от нас послан в Россию ко двору всемилостивейшему государю, где и находится. Мы же для сей службы и верности пожаловали, кроме Кахетии, все карталинские и прочие наши владения в пешкешневиский чина так, что из Карталинии, кроме Кахетии, всем наши владения и чужий край, кроме из ханов, ден(ь)-ги, вещи или чем либо другим будет нам поднесено, тебе надобно иметь книгу, все по именован и местам писать, что кроме тебя никто писать не должен и всякий год твои писанные книги с нашим казноправителем должен зделать ращет. Что поднесено в том году будет нам все надобно оценить и какой будет стоит сумма, которая нам поднесена в год, из того

твой пешкешневский доход назначали мы одиннадцатую долю, чтоб сию долю наши правители из нашего дохода сполна должны давать тебе. Бог сию милость нашу тебе в щастие и в нашей верности дал вам иметь нерушимо ни от нас, ни от преемников наших, царей и владетелей. Приказываем нашему двору векилам и визирам и всех дел правителям так утвердить, как сию нашу пожалованную грамоту написали. Июля 1-го дня 1791-го года.

Однакоже учу быть осторожным, что сие пис(ь)мо основано на твоей справедливости, противного ничего не оказалосьбы, а что определено, тем быть довол(ь)ным, от вреда казне и убытке вес(ь)ма осторожну и чтоо как дающий, так и принимающий оба были довол(ь)ны.

Приложены печати:

царя Ирақлия	царицы Дарии	царевича Георгия	царевича Иулона
	царевича Вахтанга	царевича Александра	

საბ. 26

ფ. 226, ს. № 8980

მათს ბრწყინვალეხას, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს ცი-
ციანოეს პავლე დიმიტრიჩს
ქნაზი ნაზირი მაყაშვილის დავითისაგან უმდაბლესი მოხსენება და გან-
ცხადება.

ებ (თორმეტი თუმანი) ქ. მქონდა წელიწადში ჯამაგირი.

კდ (ოცდაოთხი თუმანი) ქ. ულუფა მეძლეოდა წელიწადში და იქნებოდა.

ი (ათი თუმანი) ქ. ასნაფიდან მქონდა რუსუმი, ესეც იქნებოდა ჩემ
წილად წელიწადში.

მვ (ორმოცდაექვსი თუმანი) ქ. შეიქმნა ჯამი.

ამაგებს გარდა სხვა რიგათაც მქონდა სარგებლობა და შემოსავალი, რად-
განაც კარის მოხელე ვიყავ.

სხვა ხელით: „თავადი დავით მაყას-შვილი“*.

წელსა 1803.

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 147.

საბ. 27

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 148

Перевод с грузинского.

Божиею милостию мы, Иесеев, Давыдов, Соломонов, Багатнион вся Грузии, Карталинии, Кахетии и прочих державный царь Георгий 13-ть (?) супруга наша урожденная княжна Цицианова царица Мария, перворожденный сын наш Давыд, Иоани, Багат, Теймураз, Михаил, Джибраил, Илия, Окропир и Ираклий и внук наш Григорий пожаловали сию милостивую грамоту тебе, усердно и ревнисто нам служившему назрию, Давыду Макаеву в том, что во время нашествия Агимамад-хана, оказал ты весьма великия и важныя услуги, и в вознаграждение оных пожаловали мы тебе чин кархчис назыри. Быть тебе на таком положений, как бывали прочие назыри, и какие чиновники и дехи находились в команде у назырей должны они быть послушны и покорны. Получать тебе жалованье и порцию по положению назырей. Иметь тебе сии и да ошаставить тем тебя бог в верной нашей службе, и да не изменится никогда ни нами ни же последующими по нас царями и владельцами. Повелеваем убо двору нашего чиновникам утвердить сию пожалованную нами грамоту.

Написана сия двора нашего мдиваном Игнатием Тумановым. Ноября 14-го дня 1799-го года.

Одним назырем должен быть ты, а другим Глаха Рочиков, и всеми по должности вашей делами имеете править вместе.

На подлинном приложены печати: царя Георгия, царицы Марии.

Переводил священник Алексей Петриев.

საბ. 28

ფ. 226, ს. № 8979

მისს ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატესს მმართველს, თავს პავლე დანიტორის ციციანოვს

თავადის იონე შალიკოვისაგან მოვსენება.

დიდი მეფის ირაკლის აქეთ, ვიდრე უკანასკნელს დრომდე მეფისა გიორგი ირაკლი მეორის ძისასა, ქართლის ნაზირობა სახლსა შინა ჩემსა ყოფილა, რომლისადა დასარწმუნებლად, თქვენის ბრწყინვალეობისა მიერ გამოცემული ბრძანებისა სმენითა, წარმოუდგენ მაღალ მთავრობასა თქვენსა სიგელსა, მეფის გიორგისაგან დამტკიცებულსა ამ ჩემის სამკვიდრდს სახელოსასა და ეგრეთვე აღდსწერ ამავ ფურცელსა ზედან სარგებლობასა ჩემსა.

იბ ქ. მქონდა ჯამაგირი წელიწადში თორმეტი თუმანი.

ია ქ. პური და ქერი წარვალი: ია (11), თერთმეტი თუმანი.

ე ქ. ცხვრის ხორცი ლიტრა: რპ:(180), ხუთი თუმანი.

ზ გ ქ. ღვინო თუნგი: ტყე:(365), შვიდი თუმანი და სამი მინალთუნი.

ბ ქ. სამარხო თევზი, ბრინჯი, ერბო და ყველი, ორის თუმნისა.

ვ ქ. სანთელი ლიტრა :იბ:(12), ერთი თუმანი.

ლშქ ქ. იქნა ჯამი ოცდა თვრამეტი თუმანი და სამი მინალთუნი.

ამას გარდა, ქარხნის შემოსავლების თაველიდრებთან, სადაც სასმელ საქმელის რუსულები იყო ასალები და ავილებდით, თუმანზედ სამი შაური იყო ნაზირებისა და ამას მე და კახი ნაზირები გავიყოფდით.

ქ. სამზარეულოდამ მქონდა განწესებული სადილ ვახშმათ მოხარული საქმელი, რაც მეფეების სუფრისათვის გაკეთებოდა, ყოვლისფრიდამვე.

გარდაცვალებიდამე მეფის გიორგისა და გაქსნადმედ საქართველოში ლებერნისა ესე ყოველივე სარგებლობა ასე მქონდა.

აპრილის ლ(30), ქკს უეა(1803 წ.).*

საბ. 29

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 145

Перевод с грузинского

Мы, государь, царь и владетель, Назаралихан дали сию твердую и неизменяемую на чины и на милости грамоту вам, усердно верному мдивану, назирю Эдишеру Шаликову с тем, что мы, за усердную вашу службу, пожаловали вам чин мдивана царныи и нашего кархის-назыря. Должностями сими имеешь ты управлять и при них получать вам следуемые выгоды. Сверх ** сего, по милости нашей, дали мы вам право собирать, с одним товарищем, хлебную подать Коди с-п-ური *** в Сомхитии и Сабарато, и назначили мы вам в год жалованья 120 ру(ბ), которые и получать вам из тифлиссских таможенных-пошлин ежегодно под свои росписки, кои будут принять в шот (!) чиновниками нашего двора.

1696-го года, марта 10-го дня.

На подлинном приложена печать царя Назаралихана.

Мы вся Грузии, Карталинии, Кахетии и прочих царь Георгии так как дедом нашим Ираклием зделана милость и пожалована сия грамота дяди твоему Эдишеру, то и мы сия милость утверждаем тебе Ивану Шаликову и по сему двора нашего чиновники должны выполнять.

Генваря 25-го дня, 1799-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексей Петриев.

* ი. შლითოვის მოხსენების რუსული თარგმანი იბ. ფ. 2, № 49, ფურც. 144.

** დედანში — სერვულა*, ამგვარადვე მეორედბა სხვაგანაც, და ყველგან ჩვენ მიერ შესწორებულია.

*** ხახგანმულია მთარგმნელის მიერ.

საბ. 30

ფ. 226, ს. № 9066

მის ბრწყინვალეობას, საქართველოს უპირატეს მთავარს, ციციანოვს დიმიტრის ძეს პავლეს.

საზოგადო ბრძანება რომ გვებრძანა, ვისაც მეფისაგან წყალობა გქონდეთ გამოაცხადეთო:

წელიწადში ჯამაგირი თუმანი თორმეტი, იბ^რ.

წელიწადში ცხვრის ხორცი ლიტრა ასოთხმოცდაორი, იქს სამ თუმან მინალთუნს და ორ ბისტს, გ^რმ^რ.*

წელიწადში ვამოცხვარი პური, იქს ხუთ თუმანს [აღა] ექვს მინალთუნს, ე^რწ წელიწადში ღვინო თუნგი სამას სამოცდა ხუთი, იქს შვიდ თუმანს და სამ მინალთუნს, ზ^რძ.

წელიწადში ქისიყის კოდის პურიდამ შვიდი ხარვალი პური მქონდა, იქს შვიდ თუმანსა, ზ^რ.

ექვს თვეს, ცხენისათვის, ქერი ხუთი ხარვალი და ათი კოდი, იქს სამ თუმანს, თორმეტ აბაზს, გ^რც^უ.

წელიწადში მერგებოდა რუსუმი ათი თუმანი, ი^რ.

ნაზირობის სარგო ეს გვექონდა, რომელიც წერილით მომიხსენებია. ორმოცი წელი იქნება მამა ჩემი და მე ამ სახელოს ვმსახურებთ უკანასკნელ მეფის გიორგიმდინ, ქართველთა და კახთ სალთხუცესთ და მდივნებს კითხეთ.

თენისის გ(3), ქკ^სს უჟა(1803 წ.).

თავადი ჰევაგაძე იოსებ^რ.*

საბ. 31

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 152

მის ბრწყინვალეობას, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს

უმდაბლესი მოხსენება თავადის ბარამ გურგენიძისაგან.

თქვენის ვამოცემულის ბრძანებისამებ წარმოუდგენ ბრწყინვალეობას თქვენსა წიგნსა წყალობისა სახელოთა და სარგებლობათა ჩემთასა სიით ამით ესრეთ: მე ვიყავ ნაზირი წინაშე მეფის ირაკლისა და მქონდა ჯამაგირი წელიწადში ას ოცი რუბლი, იბ^რ.

ულუფა მეძლეოდა წელიწადში სარქარდამ ორას ორმოცი რუბლი, კდ^რ. ასნაფებიდამ რუსუმი მქონდა ასი რუბლი, ი^რ.

ჩემი შვილი დავით იყო სუფრაჯი და ჰქონდა ჯამაგირი წელიწადში ას-ოთხმოცი რუბლი, იბ^რ. ორივესი იქნება ჯამი შვიდას სამოცი რუბლი, ოვ^რ.

სხვა ხელით: „ქ. გურგენოვი ბარამ

მაისის 25-ს დღესა, წელსა 1803.“***.

* დედანში—გ^რზუ, რაც შეცდომაა.

** განცხადების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 423.

*** მოხსენების რუსული თარგმანი ფ. 2, № 49, ფურც. 151.

საბ. 32

ფ. 226, ს. № 9065

მათს ბრწყინვალეობას, საქართველოს უპირატესს მმართველს, თავადს პაველ დიმიტრიის ციციანოვს

მოხსენება აზნაურის კალატოზოვის იოსებისაგან.

თქვენს ბრწყინვალეობას არსით ჩემი სახელო და მეფის გიორგისაგან ულუფა და ჯამაგირი მოვახსენე *. თქვენის ბრწყინვალეობისაგან მებრძანა მეფის გიორგის წერილი წარმომიდგინეო, და თქვენის ბრძანებისამებრ მეფის გიორგის წერილი ამ არზასთან მომიხსენებია და მომირთმევია. ვითხოვ თქვენის ბრწყინვალეობისა და მოწყალებისაგან, რომ შემეწიენეთ და მოწყალებით მომექცეთ და მეც თქვენის მოწყალებით შეწყალებულ ვიქმნე თქვენად სადიდებლად.

მაისის ია (11), წელსა ჩყვ (1803).

აზნაური კალატოზოვი იოსებ.

საბ. 33

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 418

Перевод с грузинского подлинника

По повелению сему пожаловали мы Иосифа Калатозова чином Карх-ни с Мушриба, ** которой имел дядя его Авел, и назначили ему жалование и порцию. В чине сем [д]олен он служить усерно и должность свою исправлять с верностию. Господин Салтхуцес Мухранской владелец Иоани и Александр, назыри и мушрибы! по сей жалованной грамоте должны выполнять и выгоды, ему следуемые, без изятия отпускать. Августа 28-го дня, 1800-го года.

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексей Петриев.

საბ. 34

ფ. 226, ს. № 9083

მის ბრწყინვალეობას, საქართველოდის (sic) უპირატეს მართველს, თავადს პაველ დიმიტროვიის ციციანოვს

მოხსენება ბიბილური გიორგისაგან.

* ქარხნის მუშრის იოსებ კალატოზოვს, როგორც ჩანს, ციციანოვისათვის სხვა არსითაც მოუხსენებია თავისი სახელო, ულუფა და ჯამაგირი. სამწუხაროდ, ჩვენ მის სხვა მოხსენებას ვერ მივაკვლიეთ.

** ხაზგასმულია მთარგმნელის მიერ.

მეფის თეიმურაზიანამ ვიღვე გიორგი მეფემდის ამბარდნობა გეკონია და რაც სარგო გეკონია; მეფის გიორგის ოქმში(!) მიცხადებს* და სხვათ მოხელეთა ციკონენ ჩემი სარგო.
მაისის ით(19), ქკს. უფა (1803 წ.).

საბ. 35

ფ. 226, ს. № 9082

მის ბრწყინვალეობას, უფალს საქართველოს უპირატესს მმართველს, თავადს პაეუ დიმიტრის ციციანოვს მოხსენება.

კამენდატს ერთი წიგნი გამოგზავნა ჩემთვის, რაც მეფის გიორგისაგან წყალობა გკირებოდეს, ან ულუფა, ან ჯამაგირი, ან სხვა შემოსავალი, ესენი სულ წერილით მის ბრწყინვალეობას უფალს კნიაზს გამოუტყუადეო.

ესე მოხსენდეს: ჩვენი წერილები სულ პროტოკოპს ალექსის აქეს. იმაში სწერია ოცდათორმეტი თუშანი ჯამაგირი და ოცი ხარვარი პური ულუფა. ამას გარდა, საქართველოს სურსათი სულ მე უნდა ამეკრიფა და ამბარდარისათვის მიმებარებინა მთისა და ბარისა. ნიდაგ წელიწადს ექვსასი ხარვარი დაიწერებოდა, აქედამ ჩემი სარგო-გლეხის კაცისაგან ათ ლიტრაზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო, საიასულო იყო, ის უნდა ამელო. რაც მოგახსენე, ეს იყო მეფის გიორგისაგან წყალობა ჩემი. ახლა ნება თქვენი, გელმწიფეო, არის.

სხვა ხელით: თავადი ორბელიანი [ზაალ]**.

საბ. 36

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 471

Перевод с грузинского

Божиею милостию мы, Иессев, Давыдов, Соломонов, Багратион царь всея Грузии, Картаинии и Кახетии Георгий 13-й, сию милостивую грамоту пожаловали тебе, Заал-бегу Орбелану в том, что блаженной памяти родителем нашим царем Ираклием назначен был ты провнантмейстером всея Картлинии, города Тифлиса и окрестностей его, а так же Сомхити*** и Сабарато, и определено было тебе ежегодно в жалованье 320 руб. Почему по прозьебе твоей сии выше помянутые милости и мы тебе утверди-

* ამბარდნის გიორგი ბიბილურის სარგოს ოქმს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ამ მოხსენების რუსული თარგმანი კი ფ. 2, № 49, საქმის 474 ფურცელზეა.

** ხელრთვიდან არ ჩანს ორბელიანის სახელი, მაგრამ ეს ირკვევა ამ „მოხსენების“ რუსული პირიდან (იხ. ფ. 2(8), ს. № 49 ფურც. 473) და მის მიერ წარდგენილ დოკუმენტების თარგმნიდან, რომელიც აქვე ქვეყნდება.

*** დედანში — „Сомхити“.

ли, в жалованье же получать тебе ежегодно триста двадцать рублей из казны от чиновников наших, и кроме тебя в вышепомянутых местах к збору провианта никто не может быть употреблен есаулом. Салтхуцесам и мдиванам должно ведать, что мы ему пожаловали сие право и никого другого к тому не употреблять. Июня 14-го дня, 1800-го года.

Приложена печать царя Георгия.

Мы, царевич Давыд, наследник, российской генерал-лейтенант и камералер, утверждаем.

Июля 15-го дня, 1800 года.

Печать его имени.

Царевич Иоанн утверждает грамоту сию. Август 3-го дня, 1800-го года.

Приложена печать его имени.

Переводил священник Алексей Петриев.

ԿՅՅ. 37

Յ. 2(8), Ե. № 49, ՅՅԵԸ. 472

К о п и я

(1). Божию милостию мы Исеево (!), Давыдов, Со[ло]монов, Багра-
тованов, всей Карталинии *) , Кахет[ини] и прочих державно-владеющий
царь тринадцатъ Георгий, сие милостивое списание дали тебе Орбелиа-
ну Залбегу, так что блаженной памяти, государь, отец наш, царь Иракий,
пожаловал тебе собрание провианту из всей Карталинии с нагорных и с
полевых, по ту сторону и по сию сторону, находящихся, равно также с го-
рода и с окружностей оного, да такожде Сомхит—баратовского **1 сурсат,
то есть провиант, и смотрение за собранием оного провианта и в год триста
двадцать рублей жалованья и всего, сего в милость у нас просили,—и мы
услыша доклад твой, пожаловали во всей Карталин с позаречно и с по сию
сторону на горных и с на полных, с города и с окружных оного деревень,
сомхит-Барата(ш)вилова, *** собрание провианта к есаульство или взыска-
ние оного, да так же в год 320-ть рублей жалованья каждый год. Наши
делавые служители, без всякого уменьшения, из нашей казны дадут и кро-
ме тебя за провиантом никто не может пойти. Салтхуцес и мдиван о сем дол-
жны тако ведать. Никакого другого написано да не будет и провианта ясо-
ул(!) есть сей Зал и сию милость тако тебе зделали и пожаловали

Июня 14. Хроник 486 (1798 г.).

Царь Георгий

* զԳՁԵՅԻՆ — «Карталик»

** զԳՁԵՅԻՆ — «армянско—баратовского»

*** զԳՁԵՅԻՆ — «армянско—бараташвилова»

Мы, царской сын Давыд наследник, российской генерал-лейтенант и кавалер, подтверждаем, июля 15, хроник 486 (1798 г.).

Давыд

Царской сын Исани утверждаем писание сие, августа 3-го, (х)роник 486 (1798 г.).

Исани

(2) Капханов сын Заал Орбелнани от доходов збираем тобой сурсата ты получиши по двадцати харваров, то есть, по двести кодов, который наши чиновники на щот возмут кроме есауловых доходов твоих.

Август 25 дня (х)роник 480 (1792 г.).

Ираклий

Переводил бывшей грузинской артиллерии капитан Иосиф Яковлев Г'от . . . (?).

სახ. 38

ფ. 226, ს. № 9070

მეფის გიორგის დროს მდივან-ლაშქარნივისი ზემოთქმულნივე იყვნენ და გარდაცულალებულთ მაგიერ ამან დაადგინნა:

- ქ. მდივანი ელიაზარ ფალავანდოვი,
- ქ. მდივანი ოთარ ქობულოვი,
- ქ. ლაშქარნივისი სოლომონ ქობულოვი,
- ქ. ლაშქარნივისი იოსებ მელიქოვი,
- ქ. მდივანი იოანე ბეგთაბეგოვი,
- ქ. მდივანი არტემ ქ. * ფეშქაშნივისი, თავის მოძღვრის შვილი,
- ქ. მწერალი ზაზა გაბაშვილი.

ესენი იყვნენ რომელნიც სწერდნენ სიგელთა, განაჩენთა, გუჯართა, ოქმთა და ბრძანებათა, და ამით გარდა სხვანიცა იყვნენ მრავალნი, რომელნიცა სწერდნენ სიგელთა, განაჩენთა, ოქმთა და ბრძანებათა.

სამდივანბეგოს შემოსავლის თავიღირათ იყო ფარსადან ყორღანოვი, რომ ეძლეოდა იმათის შემოსავლიდამ ათის თავი.

ასლიდამ თანასწორ გარდვიღე თ[ავად]ი ჯიმშერ თუმანოვი **
ასლთან თანასწორ არს, თავადი ჩიქოანი(?) ***

საბ. 72

ფ. 226, ს. № 9069

მისს ბრწყინებულების, საქართველოს უპირატესს მთავარს და მმართველს პავლე დამიტრის ციციანოვს, მოწყალეს ჯელმწიფეს უნდაბუღესად მოხსენება ასლან ორბელიანისაგან.

მოსთხოვთ რა საქართველოს თავადთა და აზნაურთა განსუტნებულისა მეფისა გიორგისაგან წყალობისა, სახელისა და სარგებლობისა წერილთა, ამისთვის წარმოვადგენ შე გრამათასა ეშოკალასაშობისასა და მქონდა ჯამაგირი წერილით მოძებული ოთხმოცი თუმანი და წერილი იგი ჯამაგირისა გავეზავნე,

* აქ ეს „ქანწილი“ ხელშეტი უნდა იყოს.

** აფანასეველი ექსი სიტყვა მიწერილია, ტექსტის ფელსი, პირველ სვეტზე.

*** მიწერილია სამივე სვეტის გასწვრივ სხვა, გაკრული ხელით.

წარსულსა წელიწადსა, მეფის ძეს მიხაილთან, წარსადგინებლად უმაღლესისადმი კარისა, და თუ ერწმუნებთ საქართველოს კეთილ შობილთა, აქვე ჰკითხეთ და ისე მიიღეთ. თუ არა, წერილით მეფის ძეს მიხაილს ჰკითხეთ და პირიცა მისი სთხოვეთ და იმით დაიმტკიცეთ ჩემი ესე მოხსენება.

ამას გარდა, რყო ჩემი შემოსავალი ხილს ზეთ ელებისა და ქალაქში და ქართლში სამეფოთ შენაწერის გამოსაღებისა, ნაღლისა თუ ვეჯისა, ყოვლისავე ათის თავი. და ეგრეთვე იყო ჩემი შემოსავალი რაც ქალაქის კარებზედ ზოგი ერთი ნივთი რომ შემოვიდოდა, იქილამ მქონდა სარგო. და რაც მოჩივართათვის ბრძანება დაიწერებოდა და საღმრეთო სამართლის მიცემისა და სამართლით საქმე გარდასწყდებოდა თეთრისა, იმისი ათის თავი ჩემი შემოსავალი იყო. და თუ ყმისა და მამულისა საქმე იქნებოდა სამართლით, ვისაც ყმა და რჩებოდა, რამდენიც კომლი ყმა იქნებოდა, იმდენს ხარს გამოვართმევდი. ამისათვის, შემოკლებულის რიცხვით, სამას თუმანზედ ავიდოდა ჩემი ჯამაგირი და შემოსავალი ქართლის ემიკალასაზობისა. ვითხოვ უმდაბლესად, რომ სხუათა თანა არც მე დამიტყო: ჯამაგირისა და სჯულიერისა მეფეთ განწესებულისა შემოსავლისაგან შიშულად.

თქვენის ბრწყინვალეების, ჩემი მოწყალის უკლმწიფის უმდაბლესი მონა

თავადი ორბელიანი ასლან *

1803 წელს, 26 ივნისს

ტფილისს.

საბ. 73

ფ. 2(8) ს. № 49, ფურც. 431

Перевод с грузинского

(1) Божию милостию мы Иссеев, Давыдов, Соломонов, Багратион, царь Карталинский, Кахетинский и прочих Георгий тринадцать, супруга наша уржденная княжна Цицианова, царица Мария, перворожденный сын наш Давыд, Ио(а)нн, Баграт, Теймураз, Михаил, Джибраил, Илия, Окропир и Ираклий и внук наш Григорий. сию милоствию грамоту и вид пожаловали тебе нам верному и по долгу многообразом служившему князю Аслану Орбелиану, того ради, что ты приносил ко двору нашему прошение по жалованию тебе двора нашего эшикагабашом, и мы, уважив оное пожаловали тебе двора нашего эшикагабашом по всей Карталинии. Какия только имеют воспоследовать приказы по Карталинии, на разныя требования и на прочия дела, все оныя должны быть на имя твое, а ты должен придворных наших служителей посылать и через них выполнять. Имейте чин сей ко щастию и к верной нашей службе, и да неизменится никогда ни нами.

* ა. ორბელიანის მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 430.

ниже последствующими по нас царями и владетелями. Попелеваем и так двора нашего правителям и чиновникам, сию нашу милость утвердить. Написана двора нашего мдиваном Элиазаром Палавандовым.

Мая 21-го дня, 1799-го года.

На подлинном приложены печати: царя Георгия, царевича Давида.

Переводил священник Алексей Петриев.

(2). Повелеваем сим нашим чиновникам карталинским и мдиванам, что каким будут требования по Карталинии и выше моста с кочевых наредов, все оное писать на имя эшикагабаша Аслана Орбелиана, и он, кого мы прикажем, будет посылать.

Сентября 2-го, 1800-го года.

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексей Петриев.

საბ. 74

ფ. 226, ხ. № 9075

მას ბრწყინვალეობას, საქართველოს უპირატესს მართებელს, თავადს პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს

თავადის აიდემურ ვანაძისაგან უმდაბლესი მოხსენება.

მერე, ჯამაგირისა და ულუფის წიგნი მამირთმეფია მეფის გიორგისა. თქვენგან ბრძანება იყო, ვისაც მეფეებთან ჯამაგირის წყალობის წიგნები გქონდესთ, მაჩვენეთო. მამირთმეფია და ნება თქვენის ბრწყინვალეობისა არის.

იენისის ია(11), ქქს უფა (1803 წ.)

თავადი ვანაძე აიდემურ*.

საბ. 75

ფ. 2(8), № 49, ფურც. 449

Перевод с грузинского подлинника

Божиею милостию мы, всяя Грузии, Карталинии, Кахетии и протчих царь Георгий, пожаловали чином халаватханис эшикагабаша тебе, нам усердно верного князя Адемур Вачнадзе и сына твоего Давида, которым чином был ты пожалован и от покойного родителя нашего, и мы оной тебе утвердя, назначили в год денежного жалования 200 ру(6) ., которые должны ты ежегодно получать от чиновников двора нашего, так равно и сле-

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 448.

дуюму порцню. Чем усерднее будеш(ь) ты нам служить, тем более можешь от нас ожидать милости.

Написанно декабря 5-го, 1799-го [года].

Приложена печать царя Гиоргия.

Мы, всея Грузии и протчих наследник и правитель Давыд утверждаем покойного родителя нашего сию жалованную грамоту. Марта 11-го, 1801-го года.

Приложена печать царевича Давыда.

Переводил священник Алексий Петриев.

საბ. 76

ფ. 226, ს. № 9076

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრაძეს ციციანოვს

მოსენება ციციშვილის პაატას შვილი გიორგისაგან.

მეფის ირაკლისაგან მქონდა სახელოდ ბოძებული გორის ციხის მინბაშობა და რუისის სახასოს მოურაობა და მომცა მამიდიშვილი თვისი მეფემ ირაკლიმ მეფულედ ვეზირის ქალი და განმიწესა ულუფა და ჯამაგირიც და ვცხოვრობდი იმის შემოსავლითა.

ოდეს მიიღო მეფობა გიორგიმა, მაშინ მიბოძა სახელოდ ხალავათხანის ეშიკაღბაშობა ქართლისა და განმიწესა ულუფად და ჯამაგირად წელიწადში სამას ორმოცდა ათი რუბლი. რომელ, ამ განწესებულის წყალობის სიგელიც ხელთ მიჭირავს და ახლა ამ ჩემის სახელოდამ და ეგრეთვე, ულუფისა და ჯამაგირიდან მოკლებული ვარ. ვთხოვ ბრწყინვალეობასა თქვენსა, რათა დამაყენოთ მეცა ერთს გზაზე და ვმსახურო ყოვლად მოწყალეს კელმწიფესა.

მაისის ივ (16), ქკს უჯა. (1803 წ.)*.

საბ. 77

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 451

Перевод с грузинского

Божиею милостию мы Иссеев, Давыдов, Соломонов, Баграгион, царя Ираклия 2-го сын, всея Грузии, Карталинни, Кахетии и протчих [д]ержавный царь Георгий 13-й, супруга наша Цицианова дщерь царица Мария, любезный наш сын первенец Давыд, Иоанн, Баграт, Теймураз, Михаил, Джибраил, Идия, Окропир и Ираклий и внуки наши Григорий и Спиридон, сия жалованное пис(ь)ма и грамоту пожаловали тебе верному и рев-

* მოხსენებას რუსული თარგმანი იმ. ფ. 2, № 49, ფურც. 452.

ნოტიო служившему нам Георгия Паатовичу Цицианову, брату твоему Канхосру и потомкам дому твоего в том, что от блаженной памяти деда нашего царя Теймураза отец твой Паата имел чин халватханис эшикагабаша.

По поводу сему, уважив прошение твое, пожаловали тебе, имевший отцом твоим чин, халватханис эшикагабаша, на тех правах и положениях коковыми и протчие халватханис эшикагабаша пользовались. А в жалованье назначили мы тебе сто пятьдесят рублей, каковую суму ежегодно должни отпускать чиновники наши. Да пользуйся сего нашею милостию и да не изменится сия ни нами, ни последующими по нас царями. И так, повелеваем вам, двора нашего чиновникам и правителям, утвердить сие наше повеление и вид. Намисано двора нашего мдиваном Игнатием Тумановым, 1800-го года, Июня 20-го дня.

Приложены печати: царя Георгия, царицы Марии.

Царевичей: Давыда, Иоанна, Баграта, Теймураза.

Переводил священник Алексей Петриев.

საბ. 78

ფ. 226, ს. № 9072

მათს ბრწყინვალედას, საქართველოს უპირატეს მთავარს პავლე დიმიტრიის ციციანოეს

მოსხენება თავადის არმის ეშკალაბაშის ვიორგი ხერხეულიძისაგან.

მე მქონდა სახელოდ არმის ეშკალაბაშობა და აღესწერ ამავ ფურცელსა ზედა ჩემსა სარგებლობასა.

მეფე ვიორგი მძლევდა წელიწადში ულუფათ და ჯამაგირათ სამას რუმლს და ამას გარდა, ეშკალაბაშობით და საიასაულოზედ ვაგზავნით, მამოვინებდა სამას რუმლამდინ.

თქვენის ბრწყინვალეობისაგან გვებძანა ვამოაცხადეთო მეფის ვიორგის დროს რა გქონდათ სარგებლობაო. ეს იყო ჩემი სარგებლობა და ნება თქვენის ბრწყინვალეობისა არის.

წელსა ჩუგ(1803), ივნისის ი(10) *.

საბ. 79

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 440

Божию милостию мы Есейн (!), Давыд[ов], Соломония, Панкратован, всяя Гр[узин] Карталинии, Кахетии и протчих царь Георгий 13-й, и супруга наша урожденная Цицианова царица Мария, первенствующей и

* ზონსეგების რუსული ოარგმანი იბ. დ. 2, № 49, ფურც. 441.

любезный царевич Давыд, Иван, Баграт, Теймураз, Михаил, Джибраил *, Илья, Окропир, Иракий и звук наш Григорий, сию жалованную грамоту и на вечные времена непрменяемую пожаловали тебе, нашему верному князю Георгию Херхеулидзе, сыну твоему Лварсабу, всем происходящим от тебя, в том, что с малолетства ты был при дворе нашем воспитан и должествующим предкам, нещадя себя, отправляя нашу службу и вознаграждение твоих услуг и верности, пожаловали тебе в Карталинии армис эшиагабашом, а в Кахетии эшигабаш имеется другой и как прочие эшагабаша были определены таким образом и ты должен быть поступать по установлению и какое эшагабаш получает жалованье и порцию, и ты должен от двора нашего получать, и ты в наших услуге и в подаваний при двора нашем порядка должен находится и придворным есуалам должен преподавать порядок и привести их в дол(ж)ное послушание, и какия только определен для твоей доходы, должен ты получить с полна. Имей и оцтаднвлен будь к верности и услугам нашим и да не уничтожится сия наша милость. Ныне же повелеваем двора нашего векилям, визирям и придворным чиновникам сию нами пожалованную грамоту и вид и вам так же утвердить и никто к уничтожению прикасается не должен кроме подавания спомоществования. Писана рукою двора нашего мдивана Игнатия Туманова в городе Тифлизе (!), 1799 года, августа 2-го дня.

Приложены печати: царя Георгия **, царицы Марии **, царевича: Давыда **, Иоанна и Теймураза **.

С подлинником верно, священник Алексий Петриев.

საბ. 80

ფ. 227, ს. № 1080

მეფის ირაკლისაგან ბოძებული ყორიასულბაშობის სიგლის პირი
ქ. წყალობითა ლუთისათა ჩვენ, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრა-
ტოვანიან მეფეზან ქართველთამან და მეფეზან კახთამან, განჯისა, ერევნისა,
ყაზახისა, ბორჩაღისა და შამშადილისა ფლობით მპყრობელ-მქონებელმან მეო-
რემან ირაკლიმ და თანამეცხედრემან ჩვენმან, პატონის დადიანის ასულმან,
დედუფალმან დარეჯან, პირშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, საქართველოს
უფლისწულმან, პატრონმან გიორგიმ, პატრონმან იულონ, პატრონმან ვახ-
ტანგ, პატრონმან მირიან, ალექსანდრემ და ფარნავაზ, ძის ძეთა ჩვენთა დავით,
იოანემ, ბაგრატ და თეიმურაზ, ესე წყალობის წიგნი და ფარმანი შეგიწყალეთ
და გიბოძეთ შენ, ჩვენს დიდად ერთგულს და წესისებრ მრავალრიგად თავ-
დადებით ნამსახურს ყმასა, საამის შვილს ზაალს, ასე რომელ, მოგვიდოდ კარსა

* დედანშია—„Гавриил“.

** ხაზგასმულია მთარგმნელის მიერ.

დარბაზისა ჩვენისასა და მამის შენის საჯელოს, ყორიასაულბაშის, წყალობას დაგვეაჯე. ვისმინეთ აჯა და მოქსენება შენი, შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენის კარის ყორიასაულბაშობა მისის სამართლიანის სარგოთი. ამ წესით რომ რიგიანად უნდა კარზედ იმსახურებდე. გავიჩინეთ ჯამაგირად წელიწადში თერამეტი თუმანი, რომ ეს უკლებლად ყოველს წელიწადს ჩვენის სარქვიდამ უკლებლად უნდა მოგვეცემოდეს. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჭილ-ვაზირიო და მდივანო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ წყალობა ესე ჩვენგან ქმნილი და ნურავინ შლად ჳელ ჰყოფთ თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე. აღიწერა ჳელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის სულხანისათა.

მთიბათვის ი(10), ქკს უოა(1783 წ.).

ბეჭედი
მეფის ირაკ-
ლისა

საზ. 81

ჭ. 226, ს. № 9081

მისს ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატესს მთავარსა და მმართველს, თავადს აველე დიმიტრიის ციციანოვს თავადის თაყა არღუთოვისაგან ჴმდაბლესად მოქსენება.

თქვენის ბრწყინვალეობისა მიერ გამოცემულისა ბრძანებისა უწყებითა წარმოუდგენ ბრწყინვალეობისა მაღალს მთავრობასა თქვენსა საბუთთა ჩემის სარგებლობისათვის უკანასკნელსა სიგელსა მეფის გიორგი ირაკლის ძისასა და წარვსწერ ამავე ფურცელსა ჴედან სარგებლობასა ჩემსა.

კლ ქ. ვიყავ ნაიბი ყორიასაულბაშისა და მქონდა ჯამაგირი და ულუფა წელიწადში ოცდაოთხი თუმანი.

ქ. მეფეებისაგან წელიწადში სამ-ოთხ გზობით წარგივზანებოდი ელჩად საქართველოს მეზობელს ქვეყნებში და ამით მქონდა სარგებლობა სამოცი თუმანი. თუმცა უფრო მეტსაც ვსარგებლობდი, მაგრამ მე ნაკლებს მოგახსენებთ და თუ ინებებს თქვენი ბრწყინვალეობა, ეკითხოს საქართველოს საზოგადოობათა და მათგან მოიხსენებთ ამ თანამდებობაში ყოფისა ჩემსა სიმართლესა.

გარდაცვალებამდე მეფის გიორგისა და ვაჟსნადმდე საქართველოსა შინა ლუბერნიისა ვსცხოვრებდი სარგებლობითა ამით.

წელსა ჩყვ (1803), მისის გ(3).

ტფილისს. *

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 468.

№ 82

ტ. 2(8), ს. № 49, ფურც. 469

Перевод с грузинского

Мы, всея Карталинии и Кахетии и прочих царь Георгий сию милостивную грамоту пожаловали тебе, нашему верному служителю Таке Аргутинскому в тсм, что пожаловали тебе двора нашего корясаулбаша * наибом, назначив в год 120 ру(6). жалованья и приличную порцию. Все сие должно тебе получать без из'ятия из казны от чиновников наших. Написано сентября 3-го, 1798-го года.

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексий Петриев.

№ 83

ტ. 2(8), ს. № 49, ფურც. 454

Его сиятельству, господину генерал-лейтенанту, главноуправляющему Грузиию и кавалеру князю Павлу Димитревичу Цицианову.

Находившегося при покойных грузинских царях боквеултхуцесом, первостатейного дворянина Павла Сагинова прошение.

По воле царей, Ираклия Теймуразовича и Георгия Ираклиевича, получал я выгод жалованья по сто рублей и сверх того ежедневную порцию простирающуюся на 150 р. С откупов с 10 р. по 2 коп., чего выходило 80 р., да из полученного есаулами дохода до 200 рублей, что составит в год 530 руб., каковое количество денег и провизии получал я по смерти царя Георгия Ираклиевича, во время бытности правителем Грузии царевича Давыда Георгиевича по 1801 год. А с того и по сие время я ни денег, ни провизии не получал, от чего в содержании себя терплю крайнюю нужду, имея дневное пропитание, с семейством безпомощным великого количества, получая жалованье по нахождению меня переводчиком в уголовной экспедиции. По чему вашего сиятельства покорнейше прошу о произвождении мне определенного жалованья и порции, учинить рассмотрение данный же царем Георгием Ираклиевичем на звание боквеултхуцеса указ и от знающих людей свидетельство, при сем по усмотрению вашего сиятельства с переводом представляю.

Апреля (?) дня, 1803-го года.

* დედაბნობა — „Корясаулбаш“

საბ. 84

ფ. 226, ს. № 9006

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიის ციციანოვს

თავადი მანუჩარ ციციშვილის მოსახსენებელი.

მეფეს ერეკლეს ვახლდი და ბოქაულთიხუცობა მქონდა იმისგან წყალობათ და ჯამაგირი თორმეტი თუმანი მეძლეოდა და რასაც საიასაულოს ვმოულობდი, იმას არ მოგახსენებ. კახთ და ქართველთ სულ იციან, რომ სახელოში ვიყავ განწესებული.

მაისის კგ(23), ქკ^ს უუა(1803 წ.).*

საბ. 85

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 455

Перевод с грузинского

По сему нашему поведению объявляется тебе боқдултхუцес Папуა! так как, от покойного отца нашего пользуясь ты милостию, имел чин боқоултхუцеса, то и мы жалует тебе тем же чином боқоултхუцеса, и в службе нашей должен ты быть верным и ревностным.

Декабря 29-го, 1798-го года.

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексий Петриев.

საბ. 86

ფ. 226, ს. № 9073

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოსა მმართველს პავლე დიმიტრიის ციციანოვს

უმდაბლესი არაზით მოხსენება ზურაბ თალავანდოვისაგან.

მეფის ირაკლიდამა და შემდგომად მეფის გიორგისაგან მქონდა უზბაშობა და ამ უზბაშობის ჯამაგირიც მქონდა წელიწადში თორმეტი თუმანი განწესებული, და მორიგიდამ ორს კაცს ჩემთვის ავიყვანდი. იმ ორის კაციდამ მომეცემოდა თვეში ექვსი მინალთუნი. რომ იქნებოდა წელიწადში შვიდი თუმანი და ორი მინალთუნი.

ამას გარდა კიდევ მეორე სახელო მქონდა—კარის ბოქულთიხუცობა (sic)-ოქმი დაწერებოდა და ჩემზედ და იასაულობით სარგებლობა მქონდა წელიწადში ხან ორმოცი თუმანი; ხან მეტი, ხან ნაკლები სარგებლობა მექნებოდა. რომ ორივეს მეფე(ე)ბი(ს) წყალობა ოქმები მქონდა, ისიც ხომ მანდ მოგართვით.

თავადი თალავანდოვი ზურაბ. **

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 250.

** მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 442.

წელს ჩყ(1803), იელისის ლ(30).

ქვემოთ სხვდასხვა ხელით მიწერილია:

„ქ. თავადის ზურაბ ფალავანდოვისა წერილისა ამის მოწამე ვარ, რომ მეფეთაგან სარგებლობა ჰქონდა. თავადი მღვიან-ძღვე ნბევი ეგნატი თუმანოვი“.

„ქ. მე, ბეგთაბეგოვი მღვიანი იოანე, ამ წერილის მოწამე ვარ, რომ ამ ფალავანდის-შვილს თავადს ზურაბს ეს სახელოები ჰქონდა მეფეთაგან წყალობით. „იოანე“.

„ქ. თავადი ბეგთაბეგოვი ბეგთაბეგ ვიწმომ ამასა, რომ მეფეებიდამ სარგებლობა ჰქონდა. „ბეგთაბეგ“.

„ქ. ვემოწმებ მე, ქვემო ჯელმომწერი, რომელ ამ ზურაბ ფალავანდოვს მეფეთაგან სარგებლობა ჰქონდა და მსახურებდა ორის სახელოთი. თავადი იოსებ თუმანოვი“.

მარცხენა კიდეზე:

„ქ. მე, თავადი ორბელიანი ზაალ, ამის მოწამე ვარ. „ორბელიანი ზაალ“.
„თავადი შალიკოვი იოვანე ვწერ, რომ ეს მოხსენებული ზურაბ ფალავანდის შვილისა ქიშმარიტ[ია]. „იოვანე“

„ქ. მე, თავადი ბარათოვი ნაზირი, ამ მოხსენების მოწამე ვარ“.

საბ. 87

ფ. 226, ს. № 9078

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატესს მთავარს კნიაზ პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს

უმდაბლესი მოხსენება თავადის აბაშისშვილისა დავითისაგან.

ბრწყინვალეობისა თქვენისა მიერ ჩვენდა გამოცხადებულისა ბრძანებისა ძალით წარმოუდგენ მოხსენებასა ამას, რომელ ვიყავ მე ქეშიქიზბაშის ნაიბი და მქონდა მეფის წყალობა, წელიწადში განწესებული, რომელ ქვემოთე წერილ არს:

ქ ქ. წელიწადში თეთრი ოცი თუმანი.

ქ ქ. პური, ღვინო, ქერი და ჯორცი, = ოცი თუმანი.

ქ ქ. ვიყავი განწესებული მოიჯარებზე. რაც ანგარიშები იყო გარდავა-წყვეტინებდი და იქიდანაც მქონდა სარგებლობა წელიწადში ოცი თუმანი.

მეფის გიორგის უკანასკნელს. ჟამამდის ჩემი წლის შემოსავალი ეს იყო და ღრამა ჭაც ეს*) არის, რომელიც მომირთმევია და ჰკითხეთ სასოვადობასა და იმათგანაც დაიმტკიცეთ.

ბრწყინვალეობისა თქვენისა უმდაბლესი მოსამსახურე თავადი დავით აბაშისშვილი.

„დავით“

წელსა 1803, თუშსა მათისი ი(10).**

*) სწორია: „ესენია“.

** მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 454.

საბ. 88

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 460

Перевод с грузинского

(1). Господа чиновники! как Давыду Абашева значит в грамоте блаженной памяти отцем нашим до кой, так и мы в ту же службу его определили, и какое имел он жалованья и порцию, должны вы ему без изытия отпущать ежегодно из надлежащих месть. (sic)

Марта 2-го дня, 1798-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

(2). По сему повелению нашему должно ведать вам кешикчибашиш наибу Давыду Абашеву и парештхуцесу Горжаспу, что, как по милости покойного отца нашего имели вы право наблюдать ращот откупами, так и мы вам онсе жаулем, и в должности сей должны поступать с верностию и попечением.

Декабря 28-го, 1798-го года.

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексий Петриев.

საბ. 89

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 121

მისს ბრწყინვალეხას, უფალს, საქართუქლოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიის ციციანოვს მეჰანდარი მიზხას მოხსენება.

შამახიდამ რვა წლისა დავიკარგე, ბელაქანში ჰლაჯ აბდულას(!) შვილათა ვყვანიდი. ხუთი წელიწადი იმასთან ვიყავი. ქრისტიანობა მამაგონდა, ოთხი ტყვე სხვა გამოვაპარე და მეფე ერეკლესთან მოველ. კარგათაც მიმიჩნია, ხალათიც ჩამაცო და ამ ქალაქშიაც დამასახლა. მთელმა ქალაქმა იცის, რომ ამ კაცობით ვიახელ. მემანდრათ გამანწესა, წელიწადში რვა თუმანი ულუფა მქონდა, რვა თუმანიც ჯამაგირი მეძლეოდა და მემანდრობის სარგოც სხვა მქონდა და ერთგულად ვემსახურებოდი. გიორგი მეფემაც ისევ მემანდრობის ულუფისა და ჯამაგირის ოქმი მიბოძა და სარქარიდამ მეძლეოდა მუყარლად.

ახლა თქვენს სასხახურში თავი დამიდყია. შარშან მაისს აქეთ სამჯერ დადისტანში გამგზავნეს, კიდევ ვავარიეე. ერთს გზობაზედ კიდევ გამცარცევს, ცხენი, იარაღი და ტანისამოსი იმათ დარჩათ, მე ტიტველა ვამოვედი.

გიორგი მეფის ოქმიც მოგართვი და იმედიც მიბძანეთ. წყალობას ვითხოვ, რაც ინებოთ ის ჯამაგირი გამინწესოთ.

მაისის ია(11), ქკს უქა(1803 წ.) *

* მირზა მემანდრის 11 V-ით დათარიღებული მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 120.

საბ. 90

ფ. 226, ს. № 9084

მისს ბრწყინვალებას, საქართველოს უპირატესს მმართველს, კნიახს პაულე დიმიტრიჩის ციციანოვს მოხსენება შემანდარი მირზასაგან.

მე მეფის ირაკლის და მეფის გიორგის დროს ლეკების შემანდარი გახლდი, მქონდა მეფის ირაკლისაგან განწესებული წელიწადში ჯამაგირი რვა თუმანი და ულუფაც მომიცემოდა ხოლმე რვა თუმნისა. ამ განწესების ოქმი მქონდა მეფის ირაკლისაგან და ქალაქის წახდენაში დამეკარგა და, ოდეს მიილა მეფემ გიორგიმ მეფობა, მიზოდა ოქმი მოხელეებზე — მიეცით ამას ყოველს წელს ულუფა და ჯამაგირი, როგორც ეძლეოდა მამის ჩვენის დროსაო. და მაძლევდნენ ვიდრე გარდაცვალებამდე მისა და ახლა უმაღლესისა ბჰანეზიითა მოგართვამ მე ბოძებულსა ოქმსა მეფის გიორგისსა სახელოსა ლეკების დილბანდობასასა(?) და სარგებლობისა ჩემისსა. და ეგრეთვე მქონდა, ამას გარდა, ლეკების საჩუქრიდამ, რომელ მერგებოდა რცი თუმანი, მეტი ათის თავი.

ივლისის გ(3), ქქს უჟა(1803 წ.).*

საბ. 91

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 460 **

Перевод с грузинского

От имени нашего да известятся салтхуцесы, мдиваны и назыри, что мы сего Мирзу определили опять к своей должности мемандаром и какую он прежде сего имел порцию и жалованье, имеете онья ему отпускать ежегодно из казны без удержки. Августа 3-го дня, 1798-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексей Петриев.

საბ. 92

ფ. 226, ს. № 8971

მათს ბრწყინვალებას, უფალს, ლენერალ-ლეიტენანტს, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს პაულე დიმიტრიჩის ციციანოვს მოხსენება თავადის პაპა არლუთოვისა.

ბრძანებისამებრ ბრწყინვალებისა თქვენისა, წარმომიდგენია წერილი წყალობისა მათის უმაღლესობის, ნეტარად სახსოვარის გიორგი მეფისა, რომელ-

* ამ მოხსენების თარგმანი კი იხ. იქვე, ფურც. 479.

** 460 ფურცლიდან ამ საქმის პაგინაცია არეწლია; ხელახლა მეორდება ფურცლები 460-დან 500-მდე ძველი პაგინაციით ეს საბუთი მოთავსებულია 629 ფურცელზე, რომელიც აქ შემთხვევით ჩანს, სხვა ფურცლებზე კი ძველი პაგინაციის კვალი მხოლოდ შერჩენილი.

საცა შინა მიცხადებს ერთგულებისა და სამსახურისა ჩემისა მოგებისათვის, რომელ ვატეხილ ზიდს რაც იასაული წამოვიდხადა რასაც სათხოვარზედ, აქედამ რაც საიასაული აიღებოდა, მეც ამათი ამხანაგი ვიყავ და ერთს წილს მე ავიღებდი. მე ამა სარგებლობასა ვარდაკვეთით რიცხვის წარმოღვენა არ ძალ მიცს და ოდესმე ორმოცა თუმანი [იქნებოდა].

აწ მე ყმობასა ქვეშე შესრული დიდისა იმპერატორისა, სარგებლობასა ჩემსა-უნესა მოწყალებასა მისსა და კეთილ მზრუნველობასკ მივიანღობ თქვენსა. თავადი პაპა არღუთოვი *.

იენისის კდ(24) დღესა, 1803 წელსა
თფილისის (sic).

საბ. 93

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 126

Перевод с грузинского

Божиею милостию мы вся Грузии, Карталинии, Кахетии и прочих владетельный царь Георгий 13-й сию милостивую грамоту пожаловал тебе верному нашему служителю Папе Такову сыну Аргутинскому с тем, что какие будут наряжаемы есаулы и посылаемы на разныя требования в места выше Гатехили-хиди ** лежащая и ты им должен быть сотоварищ и из доходов есаульских одну часть должно тебе получить. Сию нами оказанную тебе милость должны все ведать, которую и иметь тебе неизменно. Повелеваем убо двора нашего чиновникам утвердить сию нашу милость. 1799-го года, декабря 27-го дня.

На подлинном приложена печать царя Георгия.

Мы вся Грузии, Кахетии и прочих царица Мария утверждаем сию его высочеством пожалованную грамоту.

Генваря 11-го дня, 1801-го года.

Печать царицы Марии.

Мы вся Грузия наследник, российской генерал-майор и кавалер, царевич Давид утверждаем.

Генваря 12-го дня, 1800-го года.

Печать царевича Давыда.

Переводил священник Алексий Петриев.

* მოზსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 125.

** სწერა: „выше Гатехила—хиди“

საბ. 94

ფ. 226, № 90~4

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატესს მმართველს, თავადს პაულე დიმიტრის ციციანოვს

თავადის ვეზირის შვილის გიორგისაგან უმდაბლესი მოკვნიება.

მამა ჩემი ვეზირი ნადირი ყვენისაგან წარმოგზავნილა საქართველოდ მეფეს თეიმურაზთან ვეზირად, და ამ ჯარისხითა და მოადგილობით ემსახურებოდა მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის. და შემდგომად გარდაცვალებისა მამისა ჩემისა, მე პატარა დავრჩი და მეფემ ირაკლიმ მომნათლა და მართლმადიდებლობაში მომიყვანა და იმის წყალობით ვცხოვრობდი. და მეფეს ირაკლის და მეფეს გიორგის სისხლით ვემსახურე, რომლისაც სამსახურის ნაცვლად მიბოძეს სახელოდ ნასახიბოზის ნაიბობა და გამიჩინეს ჯამეიერი რომლისაც ღრამმატა წარმომიდგენია თქვენის ბრწყინვალეობისათვის. და ტრახტატშიაც ჩემი გვარი გამოცხადებული არის. და როდესაც ყოვლად უდიდებულესმან ჯელმწიფემ საქართველოს საფარველი დადვა და აქ მმართველობა გაიმართა, მაშინვე ერთი ჩემი შვილი ლაზაროვს მივეცი ჯელმწიფის სამსახურში, რომელიც ახლა თქვენს ბრწყინვალეობას ახლავს. და მეორე შვილიც მას უკან მივეცი სამსახურში, რომელიც სკოლაში აბარია და მეც მსურს რომ ჯელმწიფის სამსახურში აღესრულდე.

მაისის კვ(26) დღეს: ჩყგ(1803) წელს *

საბ. 95

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 446

Перевод с грузинского подлинника]

Милостно божию мы Иессеев, Давыдов, Соломонов, Багратови, всея Карталинии, Кахетни и протчих царь Георгий, супруга наша Цицианова дщерь царца Марня, сын наш первенец Давыд, Иоани, Баграт, Теймураз, Михана, Джибраил, Илия, Окропир и Ираклий и внук наш Григорий дали сию жалованную грамоту тебе, верно, ревностно и многообразно служившему нам Георгию Визирову, детям и потомкам дома твоего так, что когда турецкие и лезгинские войска пришла на Сабуртало по близости Тифлиса и мы на них напали с малым числом войска, тогда ты весьма отлично против их действовал и не жалел крови своей для излияния перед нами, и тогда при милости божией победили их и прогнали; да и после того как блаженной памяти родитель наш, царь Ираклий был с войсками под Эриваном и тогда ты поступил весьма отлично против неприятеля. За таковую твою верность в вознаграждение отличной твоей службы и в сходство от блажен-

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 445.

ного родителя нашего имеемой тобою милости, пожаловали и мы тебя чином насагчибашис наиба, назначив в год 100 ру(6) жалованья и приличную порцию, кои будут тебе ежегодно отпускаемы из казни нашей от наших чиновников. Имей к щастию в верной нашей службе и никогда да не изменится сия ни нами ни последсгвующими по нас царями и владетелями. Повелеваем двора нашего чиновникам сию нашу жалованную грамоту утвердить. Сентября 10-го дня, 1798-го года.

Приложены печати:—царя Георгия, царицы Марии, царевича Давыда, царевича Иоанна.

По воле его императорского величества, вся Грузия наследник и правитель царевич Давыд сию блаженного родителя нашего жалованную грамоту утверждаем. Февраля 13-го дня, 1801-го года.

Приложена печать царевича Давыда.

Переводил священник Алексий Петриев.

ხაბ. 96

ფ. 226, ს. № 9068

მათს ბრწყინვალეობას, უფალს, ლენერალ-ლეიტენანტს, საქართველოს უპირატეს მმართველს, სხვათა და სხვათა ორდენთ კავალერს პავლე დიმიტრიის ძეს ციციანოვს

თავადის ზურაბ ორბელიანის მოხსენება.

თქვენის ბრწყინვალეობისაგან გამოცემულის ბრძანებით წარმოვიდგენ(თ) თქვენს სიგელსა მეფის გიორგი ირაკლის ძისასა და წერითა (!) ჩემს სარგებლობისათა, რომელ ვიყავ მე მიღახვარი მეთვისა. მქონდა ჯამაგირად წელიწადში ოცი თუმანი და ულუჯად ოცდაათი თუმანი.

მაისის დ(4); ქკს უქა(1803 წ.)*

ხაბ. 97

ფ. 227, № 1064**

ქ. წყალობითა დუთისათა ჩვენ ყოვლისა საქართუშლოჲსა, ქართლისა, კახეთისა და სხუათა მპყრობელმა და მქონებელმან ბაგრატიონმან მეათსამეტემან მეფემან გიორგიმან და თანამეცხედრემან ჩუენმან, ბატონის ციციანის ასულმან, ბატონმა დედოფალმა მარიამ, პირმშობა და მეგვიდრემა ძემან ჩუენ(მან), საქართუშლოს უფლისწულმა დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, ჯიბ-

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 427.

** ზურაბ ორბელიანის მიერ წარდგენილ საბუთის პირი, რუსული თარგმანი იხ. ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 429.

რაილ, ილია, ოქროპირმა, ერეკლემ და ძის ძემან ჩუშნმა გრიგოლ, ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის სიგელი გიბოძეთ ჩუშნს ერთგულთა წამსახურთ ორბელიანს, ნიკოლოზის შვილს, ზურაბს, ასე რომ, მოხველ და ჩუშნის კარის მილახვრობას დაგვეაჯგ. რადგანაც ჩამომავლობით ჩვენი ოჯახს და ჩუშნი ერთგულნი იყავით, გიბოძეთ ქართლის მილახვრობა და მილახვრის რაც განწესება, ჯამაგირი და ულუფა არხს; გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, ჩუშნს ერთგულად სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს არცა ჩუშნგან და არც; შემდგომთა ჩუშითა მფლობელთა მეფეთა და მეპატრონეთაგან, გიბძანებთ კარისა ჩუშნისა მოხელენო და სხუათა საქმეთა გამგენო წყალობის სიგელი ესე ჩუშნი თქუშნც ასე დაუმტკიცეთ და შლად ნურავენი ჯელჰყოფთ.

ალიწურა ჯელითა მეითრის შვილის იოანესითა, თუშსა მარტს კ(28), ქკს უბს(1800 წ.).

ქ. მე, სურბინშნის ეკლესიის კრებულმა ღვთის წინაშე ამის ასლი ვნახე და პირი გადმოვწერე ყოვლად უკანასკნელი ტერ-ასატურ პაპაოვი.

ნამდვილსა თანასწორ არს მღუღელი ალექსი პეტრიანოვილი.

საბ. 98

ფ. 226, ს. № 9077

მათს ბრწყინვალეობას, უფალს, ღენერალ ლეიტენანტს, საქართველარს უბირატეს მმართველს და სხვათა ორდენთ კავალერს, თავადს პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს

თავადის იოსებ ბეჰბულდოვის მიერ.

მიშკარბაშობა, ესე იგი ობერეივერმეისტრობა, ოდესცა მიიღო მამამან ჩემმან სახელოდ, ამისთვის განწესებული ჰქონდა მას ბორჩაღის შემოსავლიდამ წელიწადში ასი თუმანი და ამას გარდა, დებულებით არის მიშკარბაშობის სარგებლობა ყარაიის შემოსავლის ნახევარი. სახელო ესე მიშკარბაშობა, შემდგომად მამის ჩემისა, მიიღო უჯროსმან ძემან ჩემმან იოანე, და გარდაცვალებითგან ძმისა მის ჩემისა ვიმყოფებოდი მე მიშკარბაშად, თუმცა არ ვიღებდი განწესებასა მას წელიწადში ასსა თუმანსა. გარნა, ნაცვლად ამასა, მეფეთა ირაკლი და გიორგის მიერ აქაურთა მესამძღვრეთ მფლობელთ კარზე დესპანად და საქმეთა შორის ქტევეითა და ეგრეთვე შინაგანითა საშოვრითა უმეტეს ასის თუმანისა ვსარგებლობდი შეთვისებულისა პატივითა, ვიდრე განსაღმდეგ მმართველობისა. და აწ საუკუნოდ ჰმად ქმნილი რუსეთის ჯემალდესი ტახტისა, მივიანდობ პატივსა და ცხოვრებასა ჩემსა, კეთილშობილურელობითა თქვენის ბრწყინვალეებისათა, ყოვლად მოწყალებასა მათის იმპერატორების დიდებულეებისასა.

თავადი იოსებ ბეჰბულდოვი.

იენისის კბ(22) დღეს, ჩყვ(1803) წელს.*

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, პ. 49, ფურც. 456.

საბ. 99

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 457

Перевод с грузинского

От имени нашего да известится его сиятельство сардал-салтхуцес Мухранской владелец Иоани и мдиваны, что так как в Байдаре моуравом есть Меликов сын Иосиф мишкарбаш, то какия будут требования от байдарских жителей, то делать наряды на имя его моурава Иосифа мишкарбаша, тот выполня оныя будет вносить в казну. В Байдар есаулов не посылать, а всякия требования выполнять за всегда Иосифу мишкарбашу.

Августа 13-го дня, 1800-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексий Петриев.

საბ. 100

ფ. 226, ს. № 9047

მათს პწყინვალებას(!), საქართველოს [უმალ]ლესს მმართველს, თავადს პავლე [დიმიტრის] ძეს ციციანოეს

კეთილშობილის გამყრელიძე, გიორგი მეფის ფარეშთხუცეს, შილდის მოურავი და დედოფლის სუფრაჯი, ანდუყაფარისაგან უმდაბლესი მოხსენება.

ლ ქ. გიორგი მეფის სიგლები მიჭირავს და სახელოების წყალობა მჭირდა. წელიწადში მქონდა ულუფა, ჯამაგირი და სარგო ოცდაათი თუმანი. თვესა ივნისის კე(25), ქკს უყ(491), წელსა 1803.

კეთილშობილი გამყრელიძე ფარეშთხუცეს-სუფრაჯი, მოურავი. „ანდუყაფარ“.

საბ. 101

ფ. 226, ს. № 9071

მის მაღალ პწყინვალებას (!), სრულიად საქართველ[ოს] მმარ]თებელს, თავადს პავლე დიმიტრის ციციანოეს

კეთილშობილი მეღვინეთხუციშვილი თომასაგან უმდაბლესი მოხსენება.

კ (ოცი თუმანი) ქ. განცხადება ჩემი სახელო მეღვინეთხუციშვილის სარგოსი. კახეთში, ქართლ-ქალაქში წელიწადში ხუთასი საპალნე ღვინო შესწერდებოდა და აქედამ, გიორგი მეფის წყალობის წიგნით, მქონდა ოცის თავი, = ოქნებოდა საპალნე ოცდა ხუთი.

კ ქ. ლეკების მემანდარბაში ვიყავი და იმათი მისაცემის ათის თავი მერგებოდა: ოცი თუმანი; ამას მეღვინეთხუციშვილის ჯამაგირში მიბარებდა (sic) გიორგი მეფე.

ი ქ. ულუფაც მქონდა—ფკვილი, ქერი, ღვინო, ხორცი—წელიწადში ათი თუმნისა.

ნ (ორმოცდაათი თუმანი) ქ. იქნა სულ ერთათ, ერთი წლის ჩემი სარგოს ჯამი.

კეთილშობილი, მეღვინეთხუცეს—მემანდარბაში
სხვა ხელით: „თომა მეღვინეთხუციშვილი.“ *

საბ. 102

ფ. 227, ს. № 878

[პირი]

ქ. ჩვენ სრულიად საქართველოსა და სხვათა და სხვათა მეფემან პატრონ-მან გიორგიმ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ. ჩვენს ერთგულსა და ერთგულის კაცის შვილსა და თვით დიდად ნამსახურსა, ჩვენს სახასოს აზნაურშვილს მეღვინეთხუცისშვილს თომას და სახლისა შენისა მომავალთა ასე რომ, ქართლისა და კახეთის მეღვინეთხუცობას დაგვეაჯე. რადგან ჩვენ სარქარში რავდენიმე წელიწადი არის გასული, რომ მეღვინეთხუცობა არავის ქონდა ნაბოძები, ჩვენ ახლა სარქრის შესამატად დავინახეთ და შენც სანატრელის მამის ჩვენის დიდად ერთგული და ნამსახური კაცი იყავ და ახლაც ჩვენი დიდათ ერთგულ(ი) ხარ და ცდილობ ჩვენს სიამოვნესა და სამსახურსა და ერთგულებასა; ჩვენც ამის მაგიერად ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ და ჩვენის სარქრის მეღვინეთხუცად განგაწესეთ და დაგადგინეთ. რომ ქართლისა და კახეთისა ჩვენის სარქრის ღვინისა და არყის შემოსავალი შენს ხელში უნდა გაივლიდეს და რაც დასტურლამაში მეღვინეთხუცის განწესება არის, სრულებით შენ სარგო მოგეცემოდეს და ვინც მეღვინე ჩვენის სარქრისა განწესებული იქნება, ესეც შენს კელში უნდა იყოს და შენი მორჩილი, და მუდამ წელს ჩვენს მოხელეთ ანგარიშს შენ უნდა მისცემდე მეღვინის თანადასწრებითა და ჩვენის მოხელეთ მუფაზას აიღებდე და ჩვენ დაგვაბეჭდინებდე მუდამ წელს. ამ გზითა და ამ ანგარიშით უნდა იმყოფებოდე ჩვენს ერთგულად სამსახურში. ეს ჩვენი წყალობა მეღვინეთხუცობა ღმერთმან ჩვენს სამსახურსა და ერთგულობაში მოგახმაროს. ვიბრძანებთ კარისა ჩვენისა მოხელენო, ეს ჩვენი ბრძანება თქვენცა ასე დაუმტკიცეთ.

ალიწერა სეკტემბრის კა(21), ქკს უპვ(1798 წ.)

მეფე გიორგი
ბექელი

* „მოსხენება“ დაუთარიღებელია, მაგრამ ცხადია, რომ ეკუთვნის 1803 წ., სხვა მსგავსი შინაარსის მოსხენებათა დაწერის წელს. იხ. მისი რუსული თარგმანი, ფ. 2, № 49, ფურც. 436.

დღეოვალი მარიამ, ბატონისშვილი დაეით, ბატონისშვილი იოანე და თეიმურაზ ბეჭდების დასხმით ამტკიცებენ. ექესი მოხელის ბეჭდები ზის *

საბ. 103

ფ. 227, ს. № 880

[პირი]

ქ. ჩვენი ბრძანება არის ჩვენო კარის მოხელენო, და ან რომელნიც საჩვენოს ღვინის მოკრეფის მოასილნი წარიგზავნებოდეთ, და ან რომელნიც ჩვენს მელვინეთ დადგინებულნი იქნებოდეთ. მერმე, ეს თომა მელვინეთხუცესი ჩვენგან მელვინეთხუცად დადგინებული არის და რაც ჩვენს სარქარში ღვინო ან მოიტანებოდეს და მელვინეს მიბარდებოდეს და ან დაიხარჯებოდეს, ყველა ამის შეტყობით და მარიფათით უნდა იყოს და არც მიბარება, არც დახარჯვა და არც თავის დროს ანგარიში უამისოდ არ უნდა იქნას, ესეც იცოდეთ.

სეკტემბრის ივ(16), ქკს უპზ(1799 წ.).

მეფე გიორგი
ბეჭედი

საბ. 104

ფ. 227, ს. № 875

[პირი]

ჩვენი ბძანება არის მოლარეთხუცესო შიოშ და მდივანო იოსებ! მერე ბილან რომ შემანდრებთან განგვიწყსებია, რაც იმათი სამემა(ნ)დრო წილი აღგებოდეს, ხუთი წილიდამ ერთი ნახევარი წილი თომას უნდა მიეცეს, ერთი წილი ბილანს და ორწილნახევარი ოთხს შემანდარს—ოსეფას, დიმიტრის, იოანეს და ღთისიას და რომელიც ამ ოთხას შემანდარას წილი იყოს, იმისი თუთხმეტზე ერთს წილის მეტს დიმიტრის უნდა მისცემდეთ. ეს ასე უნდა აღასრულოთ და რაც ახლა აღიხანთან გაყოლილს კაცებიდან და ან ფრაბუდალთან(?) გაყოლილის კაცებიდამ სათაო ამდგარიყოს, შემანდრების წილი ამ ბილანისა, როგორც გვებრძანებინოს, რაც ამ რიგით წილი ერგებოდეს, იმისი წილიც უნდა მიაკვირნოთ. ახლაც და ამას იქითაც ამ განწყსებით უნდა ამყოფოთ.

თიბათვის ქს(27), ქკს უპზ(1779 წ.).

მეფის ერეკლეს
ბეჭედი

* თომა მელვინეთხუცისშვილის მიერ ციციანოვისადმი წარდგენილი საბუთის პირის რუსული თარგმანი იხ. ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 437.

227 ფონდში, იმავე ფურცელზე, არის სხვა, მელვინეთხუცის სახელის შესახები, საბუთთა პირებიც, რომელთაც ჩვენ ქვემოთ ვაქვეყნებთ (იხ. № 880, 875, 876).

საბ. 105

[პირი]

ფ. 227, ს. № 876

ქ. ნაზირო ბარამ და მუშირო! მერე, ომმა მეღვინეთხუცისშვილს და ამის თაბუნის მეჰმანდრებს, როგორც ულუფა სძლეოდესთ ამათ, ნუ დაუქლებთ, ისევე ისე აძლიეთ. ღვინობისთვის კც(28), ქკს უოდ(1786 წ.)

მეფე ერეკლეს ბეჭედი

საბ. 106

ფ. 226, ს. № 9051

მათის ბრწყინვალეობისაგან რომ გამოგვეცხადა ბრძანება წინაპართ მეფეთაგან ვის რა გქონდათ მოწყალება გამოგვიცხადეთო:

თავადი სოლადოვი იოსებ ბატონიშვილს იულონს ვახლდი. ათი თუმანი ჯამაგირი მქონდა. ხან მეძლეოდა სალაროდამ, ხან მაძლევა ჯიბიდან. ულუფა მქონდა, ჩემთვის და ბიჭისთვის, დღეში ნახევარი ლიტრა პური, სახსნილო და სამარხო. ჩემის ცხენისა და ბიჭის ცხენისათვის ლიტრა ნახევარი ქერი მქონდა. აქათ-იქით მგზავნიდა, ვშოვობდი. მეფე, გიორგი რომ დაჯდა მას უკან იმან გამამიყვანა და უნამეტნავესათ ის მაცხოვრებდა. ახლა ნება თქვენი ბრწყინვალეობისა არის.

მაისის ია(11), ქკს უჟა(1803 წ.).

საბ. 107

ფ. 226, ს. № 9050

მათის ბრწყინვალეობისაგან რომ გამოგვეცხადა ბრძანება წინაპართ მეფეთაგან ვის რა გქონდათ მოწყალება გამოგვიცხადეთო:

თავადი სოლადოვი იოანე სანატრელს მეფეს ერეკლეს ვახლდი. ათი თუმანი ჯამაგირი მქონდა. ხან იჯარიდამ, ხან ჯიბიდან მაძლევა. ულუფა მქონდა, ჩემთვის და ბიჭისათვის, დღეში ნახევარი ლიტრა პური, სახსნილო და სამარხო; ჩემის ცხენისა და ბიჭის ცხენისათვის მქონდა ლიტრა ნახევარი ქერი. ქართლში და კახეთში გამგზავნიდა, ვშოვობდი და შემდგომად სანატრელმა მეფემ გიორგიმ თავის შვილს იოვანეს მა[ი]ხლო. აგრევე იმასთან ვცხოვრობდი. ახლა ნება თქვენის ბრწყინვალეობისა არის.

მაისის ია(11), ქკს უჟა(1803 წ.).

საბ. 108

ფ. 226, ს. № 9005

მათის ბრწყინვალეებისაგან რომ გამოგვეცხადა ბრძანება, წინაპართ მეფეთაგან ვის რა გქონდათ მოწყალება გამოგვიცხადეთო:—მე, ფრანგისტან თურქისტანოვი, ვიყავ სანატრელის მეფის ირაკლის ნათლული და შინაპალატაში მოწყალებით მზდიდა და შემდგომად მეფის ირაკლისა, მეფე გიორგიმ მიახლოდა მუღამ მოწყალებას მაძღვედა. რომ სანატრელთ მეფეთაგან ოც თუმნამდი მქონდა ბოძებული მუღამ წელს და ახლა ნება თქვენის შალალ ბრწყინვალეებისა არის.

მაისის ია(11), ქკს უჟა(1803 წ.).*

საბ. 109

ფ. 226, ს. № 5655

ქ. ჩვენ მეფემ ირაკიმ ეს ჯამაგირის წიგნი გიბოძეთ შენ თურქისტანი-შვილს ნიზის(?) წელიწადში შენტვის ხუთი თუმანი ჯამაგირი გაგვიჩენია. ყოველს წელიწადს ჩვენი სარქილამ უკლებლად მოგეცემა. თიბათვის იბ(12), ქკს უჟა(1778 წ.)

ქ. მომატებულ ბაჟილამ უნდა მოგეცემოდეს



საბ. 110

ფ. 226, ს. № 9096

ვის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიის ციცანოვს

კეთილშობილის თომა ჩიკოიძის მოხსენება.

გელმწიფის აზნაურშვილი გახლავარ. აღარ(ც) მამულზე გახლავარ. ეს ჯამაგირი და ულუფა მქონდა მეფის გიორგისაგან. ამას გარდა, სამსახურზე გამგზავნიდა და საშოვარი მეტი მქონდა. ახლა დავრჩენილვარ ასე. ახალა ვითხოვ უმდაბლესად, რაც შემეძლება, და ან ჩემგან სამსახური იქნება, იმგვარად ვინსახტორი და ყოვლად მოწყალის გელმწიფის მოწყალებისაგანაც სრულიად უნუტემო არ ვიყო.

მაისის კბ(22) დღესა, წელსა ჩყ(1803).*

* თურქისტანის განკუთვნილების რუსული პირი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 246.

** თომა ჩიკოიძის მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 498; ძველი პაგინაციით—608.

საბ. 111

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 499

Перевод с грузинского подлин[ника]

Предписываем сим салтхуцесам, мдива[н]ам, назирям и мушрибам, чтоб Фоме Чикоидзе производить ежегодно порцию и жалованье по списку сему непременно без удержания. Сентября 12-го дня, 1798-го года.

Хлеба 30 кодов,

Ячменя 6 кодов,

вина 80 тунгов,

мяся 60 литр,

свечь сальных 4 литра,

соли 8 литр,

денежного жалованья 30 р(6)-ей. *

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексий Петриев.

საბ. 112

ფ. 226, ს. № 9095

მისს ბრწყინებებს, უფალს, საქართველოს უპირატეს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიძე ციციანოვს]

მოხსენება დიმიტრი გარსევანოვსა.

ღმერთმან უმეტესად განაძლიეროს ყოვლად მოწყალე კელმწიფე, საქართველოს განუფინა მისი მოწყალეობა! აწ ჩემი მოხსენება ეს არის: რაც ქართველ მეფესათვის გემისახურნია და წყალობა გვჭირებოდა, მეფის ვახტანგის ნაბოძებს წყალობის წიგნში გვიწერია, რომ კელთ გვიჭირავს; თუ ენებებთ მიირთვით.

ქვეყნის შევიწროების მიზეზით მეფე ირაკლი და მეფე გიორგი მამლუგდა წელიწადში რვა თუმან თეთრსა, წელიწადში ოცდაათს კოდს პურსა, წელიწადში ორმოცდახუთ ლიტრს ცხვრის ხორცსა, ორმოცდახუთ ლიტრას ძროხის ხორცსა და ოთხ ცხვარსა. წელიწადში ათი ლიტრა ბრინჯი მქონდა თავის ერბოთი; წელიწადში ათი ლიტრა სამარხო მქონდა ნივზითა და ათი ლიტრა მარილი. რომ გიორგი მეფის ბოძებული უქაზი კელთ მიჭირავს და მოხელეთაც იციან, რასაც კელკელად მაშოვნინებდნენ. ცოტა ბევრი აღარ მასხომს და ნება თქვენია.

მაისის იბ(12), ქკს უეა(1803 წ.)**

ამ არზის პატრონის ნებთა ვწერ იოანე პენტელევი.

* ამავე სტრიქონზე, ხაზს ქვემოთ, მიწერილია: „90 რ(6)“.

** მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 493 ძველი პავინაციით—564.

საბ. 113

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 494

Перевод с грузинского подлинника.

Господин сардаал-саатухес мухранской владалец Иоани! повелеваем производить певчему Димитрию Гарсеванову жалованье и порцию непременно сколько было ему назначено во время блаженного родителя нашего.

Декабря 31-го дня, 1798-го года.

Приложена печать царя Георгия.

Переводил священник Алексий Петриев.

საბ. 114

ფ. 226, ს. № 9094.

მის ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირველეს მთავარს, კნიაზ პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს

აზნაურის ხეჩატურ ბებუროვის მოხსენება.

მე ვიყავ ჩემის ხელოვნებით მსახური მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისა და ვაკეთებდი იმათ საკადრისს იარაღებს, რომელსაც თითონ ხმარობდენ^{*} და ხანებსაც ფეშქაშებად უგზავნიდნენ. და მქონდა იმათგან ულუფა და ჯამაგირი განწესებული, რომელსაც ღრამატა მეფის გიორგისა არზისა ამის თანა მომირთმევია.

უმდაბლესი მონა ხეჩატურ ბებუროვი.*

იენისის ლ(30), წელსა 1803.

საბ. 115

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 491

Перевод с грузинского

Мы всяя Грузии, Карталинии, Кахетии и протчих царь Георгий 13-й оказали милость тебе нашему казенному дворянину Хечатуру, оружейных дел мастеру, поелику по художному твоему промыслу всегда к службе нашей был попечительный да и ныне когда от нас такая служба тебе приказывается по должности твоей, то всегда с усердием и ревностно отправляешь, и в воздеяние за твою службу сею милостивою грамотою определили тебе в год жалованье 60 ру(6). да пенсий 6 халваров хлебом. Сии жалованье и пенсию должен ты ежегодно получать из казны нашей.

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 490; ძველი პეგინაციით—661.

Салтухесы, мдиваны, назеры и казначей! как мы сею милостивою грамотою определили, таким образом от наших казенных откупов и от прочих таможенных мест должны вы ходатайствовать сию нашу милость выдавать сполна и никто уничтожить сие не должен. Написано июня 9-го дня, 1800-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

Волею его императорского величества, мы всяя Грузии наследник и правитель Давыд сию жалованную от покойного царя и отца нашего милостивую грамоту утверждаем.

Апреля 18-го дня, 1801-го года.

На подлинном приложена печать царевича Давыда.

С подлинным верно: священник Алексей Петриев.

საბ. 116

ფ. 226, ს. № 9092

მათს მალალ ბრწყინვალეობას, საქართველოს უპირატეს მართველს, თავადს პავლე დიმიტრიის ციციანოვს

მოსხენება კეთილშობილის მაიორის დავით ნაზაროვისაგან.

მეფის გიორგისაგან მე მქონდა სახელოდ არტელერიის მაიორობა და აღწერა ამავე ფურცელზედა ჩემსა სარგებლობასა: მქონდა წელიწადში ჯამაგირი, ვერცხლის ფული, სამასი რუბლი და თვეში ერთი კოდი ფქვილი, ერთი ჩარეკი მარილი, ორი თუნგი ღვინო და ორი ლიტრა ძროხის ხორცი. ამის მსგავსად ასევე მარხომი სამარხო. ამაგების ფასად თვეში მეძლეოდა რვა აბაზუხალთონი და ორს სასწაულ დღეს, ნათლის ღებას და აღდგომას, წმიდა სანთელი ერთი ჩარეკი. ეს იყო ჩემი სარგო.

აღწერა წელსა ჩყვ(1803), ივნისის იმ(18)*

ზემოთხსენებული არჯის პატრონის თხოვნით დავწერე—ტერ-ასატურ პაპაოვი.

საბ. 117

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 484

С копии копия.

Божию милостию мы, всяя Грузии, Карталинии и Кахетии и протчих царь Георгий 13-й, пожаловали тебя нашего артиллерийского капитана, во многих случаях усердного и по справедливости служащего, Давыда Назаро-

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 483.

ვა в нашей артиллерии майором. Когда первья служил капитаном и так же и прочими усердиями для того по твоей службе и по усердию на прочиво сей чин пожаловали которые бывшия имеющияся сим доходом твоим пользуйся так же, как пользуются прочие нашей артиллерии чиновники, и кро[ме] сего, во время наше от тебя показанная нам служба, усердие и поведение не останется без награды от службы нашей, пока находился в службе нашей и будь. Он объявлен в артиллерийской команде над командою командиром и над дальним и так же нашим князьям и дворянам Дальные чтобы принять майорским почтением, и как прочим майорам дается жалованье, так же тебе майору Давыду, должно даваться ежегодно от наших чиновников без малейших недостатков, о котором подписываем рукою нашей и прилагаем печать с царским гербом нашим.

Августа 30 дня, 1800-го года.

На подлинном подписано его высочества рукою тако: Георгий.

На подлинной грамоте приложены печати: Ивана царевича и Давыда царевича.

М. П.

На копии написано: с подлинного перевел 17-го егерского полка квартирмейстер поручик Сурков.

С подлинной копии переписал верно коллежский регистратор Василий Гудим.

საბ. 118

ფ. 226, ხ. № 9086

მათს ბრწყინვალეობას, საქართველოს უპირატეს მთავარს პავლე დიმიტრის ციციანოვს

მოხსენება სიმაართლით

თავადის კაპიტანის გიორგი თუმანოვისაგან.

მე მქონდა სახელოდ არტერელიისა კაპიტნობა და აღწერე აწივე ფურცელსა ზედა ჩემსა სარგებლობასა.

მქონდა წელიწადში ჯამავირი ვერცხლისა ფული ორასი რუბლი.

თვეში ერთი კოდი პური, ერთი ჩარეკი მარილი, ორი ლიტრა ღვინო, ორი ლიტრა ძროხის ხორცი; მარხოში თევზი, ხიზილა და სამარხო. ამებებს ფასათ გვეძლეოდა ერთი რუბლი და სამოცდა ათი კოპიკი.

ორს დღესასწაულს დღეს, ნათლის ღებას და აღდგომას, მქონდა ერთი ჩარეკი წმინდა სანთელი.*.

* „მოხსენება“ დაუთარიღებელია და წელმოწერელი. დაწერილი უნდა იყოს, სხვა საბუთთა მსგავსად, 1803 წ. მისი რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 466.

6. ფორმა. ჩას. ქართლ-კახეთის სამეფოს სამ. წყ. ისტორ.

საბ. 119

[პირი]

ფ. 227, ს. № 1113

წყალობითა ლუთისათა ჩვენ მეფემან ირაკლიმ მპყრობელმან სრულიად საქართველოსა და სხუათამან.

ცნობილ და განცხადებულ ქმნილ არს ჩვენთან თითოეულად თავადის გიორგი თუმანოვისაგან სამსახური, რომელმანცა არტილერიასა შინა ჩვენსა იმსახურა რაოდენთამე წელთა შინა, პირველად თოფჩად, მერმე კაპრალად და უნდერაფიცრად და შემდგომად სერჟანტად. და ამისთვის განვაცხადებთ ქეშ-მარიტითა განსჯითა ამის მიერ სამსახურსა ჩვენსა, რომლისაცა მიზეზისათს შესაბამად შრომისა თუსისა მიენიჭა არტირელიისა ჩვენისა აფიცრობა წელთა ჩლპთ, ათას შე-დას ოთხმოცდა ცხრასა. აქეს სამწედროთა ჩვენთა განსწავლილთა მწყობრთა შორის უხუცესი ხარისხი კაპიტნობისა და ამისთვის ბრძანებითა მოვალენთ არტილერისა ერთა და ყოველთა ჩტშნთა მკვდრთა ერთა ზედა, რათა მიიღოთ თანამდებობითთა პატივითა თავადი გიორგი თუმანოვი, აფიცარი არტილერისა ჩვენისა, რომლისადმიცა სარწმუნოდ რწმუნებულ ვართ კეთილსა ქრთვულებისა სამსახურსა, ვითაც ძალუქს კეთილ მდგომარეობითა თუსითა ერთგული სამსახური ჩვენი და ჩვენ ჯელითავე ჩვენითა ვაწერთ და ბეჭდითა ჩვენითა ვბეჭდავთ უცუალებელად და დავამტკიცებთ. თითქმისა აგსტოსა კზ (27), ქკს უოზ (1789)

სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს *.

პირველი გვერდის მარცხენა აშოზე:

ქ. ჩტშნ სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი მეათე-ცამეტე კუროხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგან ბოძებულს კაპიტნობის წყალობის წიგნსა ამას ვამტკიცებთ. დეკენბერს ე(5), ქკს უოზ(1798).

მეფე სრული-
ად ქართლისა
და კახეთისა
და სხვათა
გიორგი

მეორე გვერდზე:

ქ. ჩვენ საქართველოს მეფის ძე თოფჩიბაში იოანე მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის ნაბოძებს კაპიტნობას ვამტკიცებთ. დეკემბრის ვ(6) ქკს უოზ(1798)

[იოანე]

არტერელის პოლკოვნიკი იოანე ამისი თანა მოწამე ვარ [იოანე].

ჯელითა სენატორისა სოლომონ ლიონოვისათა. [დაიწერა?].

მე კარის საყდრის დავით მღუდლის შვილმა იესემ ამისი ასლი ვნახე და ისე გარდმოვსწერე.

* საბუთის დასასრულს ნოზახულია ერეკლე II ბეჭედი წარწერით: „მე ფერხთ განბანილთა მიერ ეკვლესია ვადიდე. ერეკლე“.

საბ. 120

ფ. 226, ს. № 9087

მისს ბრწყინვალეობას, უფალს, საქართველოს უპირატესს მმართველს, თავადს პავლე დიმიტრიის ციც-ანოვს

ითხოვს აზნაურიშვილი კაპიტანი ჭუმბურიძე გიორგი.

მისმა სიძალდემ, სანატრელმა მეფემ ირაკლიმ იმერეთიდან გადმოიყვანა პატარა და აქ თავის არტირელის სამსახურში განმაწესა და(!) ჯამაგირით და ჯლუფით. იმისის წყალობით მეცა ვცხოვრობდი და ცოლსა და შვილსაცა ვზრდდი და ჩემის ადგილს არტირელის სამსახურში გარჯით კაპიტნობის პატრივი მიბობა. რა სანატრელი მეფე ირაკლი გარდაიცვალა, დაერჩი ასე უნუ-ვემოდ, ჯამაგირ მოჭრილი და ულუფისაგან ცარიელი. შვიდი სული შესანახავი შეავს ვშიერ-მწყურვალი. სხვა საქმე და სასიცოცხლო არ იყო რა ჩემი მეფის ჯამაგირისა და ულუფის გარდა. ახლა რადგან მისის დიდებულებისა შეიქნა ეს ქვეყანა და ერიც, მეც ამ წყალობას ვითხოვ, რომელიც მეფის ირაკლისა-გან მქონდა ჯამაგირი და ულუფა ესენი არ მომეშალოს, რომ მეც აქ ვცხოვრო. რაც მეფის ირაკლის წინ და მეფის გიორგის წინ სისხლი მიღვრია იმას ნუ ჩამიდგებთ. ამას წინათ ომარხან რომ დამარცხდა, იქ რასაც თქვენს არტირე-ლიში ვავისარჯე ჩენის თოღხანით და მტერს პასუხი ვავეც, მოკითხეთ რუსთა და ქართველში და ისინი მოგახსენებენ. ყოველივე ღუთისა და დიდ-ბულის კელმწიფის ბედნიერობამ შემაძლებინა რასაც ვავისარჯე. უკანასკნელს ვედრებას ამას მოგახსენებენ, რადგან ყოველს აქ მყოფს კაცს ენუგეშა თქვენის მოწყალებითა, მეც ნუ დამადგებთ უმოწყალოთა და ამ მეფის ირაკლისაგან განწყებულს ჯამაგირსა და ულუფას ნუ მომიშლით.

მაისის ილ(18), წელსა ჩყ(1803)*.

საბ. 121

ფ. 226, ს. № 9088

მათს მსვლელობას უფალს დეისტვიტელნი სტატის სოვეტნიკს, საქართვე-ლოს მმართველს პეტრ ივანის კოვალენცკს

აზნაურის გიორგი ჭუმბურიძისაგან მოხსენება.

მათის იმპერატორების დიდებულების უმაღლესის ბრძანებისამებრ გამო-ცემულისა თქვენისა უწყებითა წარმოიგიღვენ (sic) თქვენ, მაღალმსვლელო უფალო, საბუთსა ჩემისა სახელოსასა, მეფის ირაკლის და მეფის გიორგის სი-ვლით; და ალწურ ამე ფურცელსა ზედა ჩემსა სარგებლობასა,

მე მქონდა სახელოდ არტირელისა კაპიტნობა და სარგებლობა იყო ჩემი ესე, რომელიც კარის მოხელეთა თავადთა მოწმობითურთ:

* „თოვნი“ რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 469—470; ძველი პაგინაციით 466—647.

კ-ზე მქონდა წელიწადში ჯამაგირი ვერცხლის ფული ოცი თუმანი.

ჩღ—თვეში ერთი კოდი პური, ერთი ჩარეჭი მარილი, ორი თუნგი ლვინო, ორი ლიტრა ძროხის ხორცი; აგრეთვე, ამის მსგავსათ მარხოში. ამაების ფასად გვეძლოდა, თვეში რვა აბაზ უხალთუნი. ორს დღესასწაული დღეს, ნათლის ღებას და აღდგომას, ერთი ჩარეჭი წმინდა სანთელი.

სხვადასხვა ხელით:	}	თავადი იოანე ორბელიანოვი
		ამაზედ ევმოწმები თავადი გიორგი [ამირეჯიბი(?)]
		თავადი სულხან თუმანოვი
		მეც მოწამე ვარ თავადი ალექსანდრე მაყაოვი
		თავადი სოლომონ თარხანოვი
		თავადი ეგნატი თუმანოვი
		თავადი დიმიტრი თუმანოვი
		თავადი არტყერელის კაპიტანი გიორგი თუმანოვი

ხაზ. 122

ფ. 2(8), ხ. № 37, ფურც. 56

მის ბრწყინვალეობას, თქაედი(?)¹, საქართველოს უპირატესს მართებელსა პავლეს ციციანოვს

იხზოვს ამილახვარი ოთარ

ჩემი მოხსენება ეს არის: წინაპართა ჩემთა ქონდათ ამილახვარობა, სარ-დლობა და გორის მოურაობა მეფის თეიმურაზისაგან ბოძებული და მეფე ერეკლესაგან ბოძებული და ეგრეთვე მეფის გიორგისაგან დამტკიცებული. და არც იმის სიცოცხლეში ეს სახელოები არ ჩამომრთმევია, იმის მიცვალეზას უკან ეს სახელოები ორი თვე კიდევ მეჭირა. მისუკან ჩემი მტრებმა ისე რიგათ დამაბეზღეს ბატონიშვილს დავითთან, რომ არას გლესს ისე არ მოეპყრობოდა, მე ის მომეპყრო, ამის თვის, რომ იულონ ბატონიშვილი ჩემი სიძე იყო, ერთ-მანეთს რომ მტერობდნენ, იმისათვის, გამომისია სამოცი ყაზახი, გორს, ჩემს სახლში ვიყავ, ჩამამომხდნენ(!) ლამე, მძინარე ამაყენეს და გარეთ გამართის ტირველა და იქ ერთის გლესის კაცის ტყაფი ჩამაცვეს, გამიკრეს მკლავები, ორი საბელიც წელზე მომაბეს და ისე წამომიყვანეს ქალაქისაკენ. წინ და უკან შუბებით მამიყვანეს ქალაქში და თათრის წიდიანში სალდათებს მიმბარეს. დამადგეს ერთს სახლში, არც კაცი მამიყენეს და არც საკმელი შემოუშვეს. თვინიერ სალდათის პურის მეტი. ღვინის თხოვნაზე ერთმა სალდათმა თავიც გამიტუნა. ვიყავ ამ მწუხარებაში სამი თვე, ამასაც არ დამაჯერეს. სახლში თუ რამ მეზადა ბატონიშვილს თეიმურაზს ამიკლებინეს. დავით ბატონიშვილის ბრძანებით შემოსსენებული სახელოებიც ჩამამართვეს, გიორგი ამილახვარი-შვილს მისცეს. დავრჩი დღევანდლამდინ ასე.

ვითხოვ დიდებულის ხელმწიფისაგან და ეგრეთვე თქვენგან, რომ სამართ-ლით მომხდლოთ და ჩემს მდგომარეობაზე დამაყნოთ. დაუნაშავებელი კაცი წამახდინეს.

თავადი ამილახვარი ოთარ

მართის კა(21), ჩებ(1802) წელსა.

საბ. 123

ფ. 226, ს. № 9003

მისს ბრწყინვალეებას საქართველოს უპირატესს მბრძანებელს პაეღე დი-
მიტრის ძეს ციციანოვს

თავადის ამილახვარის ოთარისაგან მოხსენება.

ძველად მეფეთაგან და აგრეთვე განსვენებულის მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისა მეფობაში, ჩვენის ოჯახისა და ჩვენის ყმის ბატონობა ჩემის მამა-პაპისა და ჩემი იყო ვიდრე მეფის გიორგის უკანას-
ქნელს ჟამამდე, რომ არც ერთის მეფისაგან არ ჩამომრთმევია. მეფის გიორგის გარდაცვალების შემდგომად, ჩემს საწინამდებრეთ, მეფის ძემ დავითმა მე ჩამომართვა და ჩემს სახლის კაცს გოგის მისცა. ვგონებ დავითისაგან გაცემუ-
ლი არ შეიწყნარებოდეს რა და არც ჩამოერთვას ვისმე მეფეთაგან ბოძებული, რომელიც მეფის გიორგისაგან არ ჩამომრთმევია.

უდაბლესად გთხოვთ, რომ მეფეთაგან ბოძებული ჩემის ოჯახისა და ყმის ბატონობა არ ჩამომერთვას და თქვენის ბრწყინვალეებისგანაც მებოძოს.

სხვა ხელით: „თავადი ამილახორი ოთარ“ *

[1803] წელსა, [ივნისის იბ(12)].

საბ. 124

ფ. 226, ს. № 9004

მისს ბრწყინვალეებას, საქართველოს უპირატეს მთავარსა და მბრძანებელს,
თავადს პაეღე დიმიტრის ძე ციციანოვს

თავადის ამილახვარის ოთარისაგან მოხსენება.

თქვენის ბრწყინვალეებისაგან გამოცემულის ბრძანებითა, რომლითაც მებრ-
ძანა ჩემის სახელის შემოსავლისა წარმოდგენა, ვიდრე განსვენებულის მეფის გიორგის უკანასქნელ ჟამამდე რაიცა მქონიეს შემოსავალი, ამასვე ფურცელზედ სიათ(!) აღწერილი წარმოვადგინე თქვენს ბრწყინვალეებასთან.

ა.—მქონდა ამილახვრობა, ესე იგი მეფის მემარჯვენე სარდლობა, და მქონდა შემოსავალი ამისი. როდესაც მტრის ქვეყნიდამ ჩემი სასარდლო ნაშო-
ვარს მოიტანდა, იმ ნაშოვრიდამ სამეფოთ უანჯიეკი აიღებოდა, ესე იგი ხუთ-
ზედ ერთი, და რაც სამეფოთ დადგებოდა ოთხი მეფისა იყო და მეხუთე ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

ბ.—როდესაც ქვეყანა მეფის ბრძანებით აიწერებოდა და ჩემის სასარდ-
ლოც დაიწერებოდა, სამწერლო კომლზედ აბაზი იყო. იმ ჩემის სასარდლოსი რაც სამწერლოდ დადგებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა, ამაში მქონდა სარგებლობა.

გ.—ჩემს სასარდლოში თავადნი თუ აზნაურნი რომ გაიყრებოდნენ და ამითი ყმა თუ მამული რომ აიწერებოდა მდივნისაგან, რამდენიც საკომლო

* მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49. ფურც. 241.

დადგებოდა და ან გლეხი კომლათ, კომლზედ თოთხმეტი შაური აიღებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა, ამაში სარგებლობა მქონდა.

დ.—გლეხი კაცი ერთი მეორეს რომ თავს გაუტეხდა ხარი და მარჩილი წაერთმეოდა ჩემთვის და ამაში მქონდა სარგებლობა.

ე.—როდესაც მეფე ლაშქარს დაუძახებდა და ჩემი სასარდლო ვინც დააკლდებოდა, იმას მეფე დაარბევდა. რაც სარბევი დადგებოდა სამეფოთ, იქილამ ხუთზედ ერთი ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

ვ.—ჩემს სასარდლოში რომელიც მსუბუქი სასამართლო იყო, სამართალი ჩემგან უნდა მისცემოდათ და ამაში სარგებლობა მქონდა. და თუ ვინმე ჩემი სასარდლო ქალაქს საჩივრელათ ჩამოვიდოდა, მეფესთან თუ მდივანბეგებთან იჩივლებდნენ და სამართალი მიეცემოდა, იმის სამდივანბეგოში წილი მქონდა. რომ ჩემს მაგიერად კურთხეული მდივანბეგი თეიმურაზი იყო და ის მიძლევდა ჩემს წილს და ამაში სარგებლობა მქონდა.

ზ.—მქონდა გორის მოურავობა*. გორში სამეფო ნახურევი არის, ნაბაღვარი და ურწყავები. აქედამ, რაც შემოსავალი იქმნებოდა, ათის თავი ჩემი იყო და აქედამ მქონდა სარგებლობა.

თ.—გორის მალიდამ მქონდა, რაც შემოვიდოდა სამეფოთ, იმისი ათის თავი, [ამაში მქონდა სარგებლობა].

თ.—რომელიც ჩემს სასარდლოში იასაულათ განწყისდებოდა, იმ საიასაულოსი ნახევარი ჩემი იყო.

ი.—გორის დამოვნა, ესე იგი იჯარა სამეფო, აქედამ მქონდა განწყისებული ზოგიდამ ათის თავი, ზოგიდამ ოცისა და თხუთმეტისა, რომ წელიწადში ჩემი სარგებლობა იყო თხუთმეტს თუმნამდინ.

ია.—რაც გორში ჯარიმა ადგებოდა, მეფეს საქმე არაჰქონდა, ის ჯარიმა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

იბ.—იმერეთიდან საბაღნით ღვინო რომ შემოვიდოდა და ან სხვაგნდამ ურმითა, ურემზედ ორი თუნგი ღვინო ჩემთვის აიღებოდა და აგრეთვე საბაღნეზედ ნახევარი თუნგი, ამაში მქონდა სარგებლობა.

იგ.—ხმელი თევზი რომ შემოვიდოდა, ურემზედ სამი წყვილი თევზი ჩემი იყო და ახალი თევზი საბაღნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

იდ.—ზეთის ხილი, ქანჭური, ნიგოზი, ვაშლი, წაბლი და ხურმა, ამაგებისა რაც შემოვიდოდა, საბაღნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

იე.—გორში მოსახლეს კაცზედ ექვსი შაური სამოურავო დებულემა ჩემი იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

ივ.—გორში მოსახლეთ კომლზედ წელიწადში ორი ძღვენი დებულემაჲ აძესთ, თითო ძღვენი ხუთ მინალთუნათ ეღირებოდა, ამაში მქონდა სარგებლობა.

* ხაზასმულია ჩვენს მიერ.

იზ.—ახალ წელიწადს კომლზედ თითო შაქარი აძევს რომ მომიტანდნენ და ზონი ბატკანი მომგვირდნენ, ამაში მქონდა სარგებლობა.

იწ.—გორში რამდენიც მესამთლის ღლეჯანი არის, ღლეჯანზედ ნახევარი ლიტრა ქონის სამთელი ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

ით.—ახალი წელიწადი რომ დადგებოდა და იჯარა გამოიცვლება, პირველის დღიდან ათი დღე ჩემი არის, რაც საბაჟო შემოვა იმისი ბაჟი ჩემია, ამაში მქონდა სარგებლობა.

კ.—გორელნი თუ სხვანი ვაქარნი, როდესაც სხვას ქვეყნიდან მოვიდოდნენ, ჩემს საფერს ფეშაშს მომართმევდნენ და ამაში მქონდა სარგებლობა.

კა.—რაც გორში მამული გაისყიდებოდა და ან იყიდდა ვინმე, ან გაიცემოდა, იმისი სიგელი ჩემგანაც უნდა დაბეჭდილ იყო და ამაში მქონდა სარგებლობა.

კბ.—გორელი კაცი ქალს რომ გა(ა)თხოვებდა, საჩექმე დებულემა ერთი ოქრო ჩემი იყო, ამიში მქონდა სარგებლობა.

კვ.—ქალაქის ჩელიქის იჯარიდან განწესებული მქონდა წელიწადში სამთუმან ნახევარი, ამაში სარგებლობა მქონდა. ამაების შემოსავალში წელიწადში შემოსავალი მქონდა ხუთასი თუმნამდინ, ხან მეტი და ხან ნაკლები.

სხვა ხელით: „თავადი ამილახორი ოთბრ“.*

ჩუგ(1803) წელსა,

ივნისის იბ(12).

საბ. 125

ფ. 227, ხ. № 285**

ნებითა და შეწყენითა ღუთისათა ჩვენ; ღუთივ აღმართებულმან და ღუთივ დამყარებულმან, ღუთივ გვირგვინოსანმან, ორისავე ტახტისა და საბატონოს მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან ჯელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ და პირშომან და საყვარელმან ძემან ჩვენმან პატრონმან ვახტანგ ესე ყყალობისა და სასარდრო ვარიგების წიგნი და სიგელი დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ თქვენ, ტახტისა ჩვენისათვის თავ გარდადებით სიკვდილისა დაურიდელსა ერთფულთ-ბისა მოჰპირნესა და მეზრძოლთა ჩვენთა ფებთა ქვეშა მიმქცევარსა, ამილახორს პატრონს გივსა, ძმით თქვენთა დემეტრეს, ბარძიშს, პატასა, ძმის წულთას თქვენთა იოთამს და ავთანდილს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მამა პაპანი თქვენი ბეჭედი თათრული ტახტისა და მეფობისა ჩვენისა გამაძლიარებელნი ყოფილიყვნენ, რადგან წესისაებრ გარდაჰქდეს სიგელითა პირველთადაც განვიხსლეთ ამილახვრობისა დროსა, შემო-

* ამილახორისა და გორის მოურავის სარგოს რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 244—245.

** ამ და ამავე ფურცელზე მოთავსებულ სხვა საბუთების ბოლოს მიწერილია: „Съи Копия списаны с подлинных грамот...“

გარკტიით ვშალი მოსურად მებრძოლთა და ორგულთა ჩვენთა. კვალაცა პირველიდგან სასარდროს საქმე გარიგებული ქონოდათ, აწცა გაგირიგეთ და დაგიმკვიდრეთ სარგო სარდრობისა, ასრე რომე, როდისაცა თემი აიწერებოდეს, ერთის კარის ჩვენის მდივნითა, თქვენ სასარდროს თქვენ ასწერდეთ. რაც თქვენი დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი შეფანჯიეკენი ფანჯიექს აიღებდეს, რაც ათის თავი გერგებოდეს მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი შეფანჯიეკეთა გაიყოს. თქვენი დროშის კაცი უთქვენოდ ვერ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენის დროშის კაცს სასამართლო საქმე ჰქონდეს ჩვენს კარზედ მოვიდოდენ, თქვენც დახუდებოდეთ და რასაც თქვენის და რასაც თქვენის სასარდროს კაცს ლაშკრობის ბარობაზედ მამულს წავართუემდეთ, იმასაც შემოგეკითხებოდეთ და თქვენისავე შემოკითხულობით წყალობას უზემოდეთ. ესე ჩვენგან წყალობა არაოდეს არ მოგეშალოს და რა რიგათაც თქვენგან თქვენის დროშის(ს) კაცი აიწერებოდეს, ლაშკარსაც იმ ანაწერზედ შემოგუყრიდეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძენებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირხო და სხუანო მოსაქმენო თქვენცა. ასრე გაუთავეთ და ნურარდეს ნუ მოუშლით და შე(ც)ცილებით. დაიწერა ბრძანებულება და ნიშანი ესე ქკს ტმდ (1656), ჯელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის ბირთუელისითა.

მეფე როსტომ

მარიამ

მეფის ძე ვახტანგ

საწ. 126

ფ. 226, ს. № 9063

მის ბრწყინვალეობას, საქართველოს უპირატეს მთავარსა და მმართველს, თავადს ჰაველ დიმიტრის ძეს ციციანოვს.

თავადის რევან ანდრონიკოვისაგან უმდაბლესად მოხსენება.

ქიზიყის მოურავობის წყალობის სიველიც მე მაქვს მეფის ირაკლისა და მეფის გიორგისაგან ბოძებული და განწესებული სარგოს დასტურლამაც მე მაქვს და დასტურლამას ძლით წელიწადში სამისი თუმანი სარგებლობა მექნებოდა და ჟამი შემხვდებოდა ოდესმე რომ ამას უმეტესიც მესარგებლნა*.

მეფის ძის ბაგრატის სოფელი ყირიხლუ, მეფის გიორგის წყალობის წიგნით, ჩემი სამოუროო არის, რომელნიც არიან სამოც კომლამდინ თათარნი, და გვრეთვე, იქილამ სარგებლობის დასტურლამაცა მაქვს, და თუ ინებებთ, იმ წერილებსა წარმოუდგენენ თქვენს ბრწყინვალეობას და ნება თქვენის ბრწყინვალეობისა აღსრულდეს.

იენისის ი(10), ქკს უჟა(1803 წ.).

სხვა ხელით: „ანდრონიკოვი რევანა“.**

* რევან ანდრონიკოვილის მიერ შედგენილი ქიზიყის მოურავის სარგო, რომელზედაც ლაპარაკია მის ამ „მოხსენებაში“, დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს. იმ. საქართველოს სოცველენი, ტ. III, გვ. 138—139.

** მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 407.

№ 127

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 408

Перевод с грузинского

Милостно божию мы Иессев, Давыдов, [Со]ломонов, Багратион царь всяя Грузии, Карталинский, Кахетинский и протчих Георгий 13-й, супруга наша урожденная княжна Цицианова царица Марня, перворожденный и вожделенный сын наш царевич Давыл, Иоани, Баграт, Теймураз, Михаил, Джибраил, Илия, Окропир и Ираклий и внук наш Григорий пожаловали сию грамоту вам, князю Ревазу Эндрикоу, племянникам вашим Мелхиседеку, Ивану и Адаму и потомкам дому вашего с тем, что вы на малое время по некоторой притчине, требуемой собственно к верности вашей к нам и к пользе нашей, были сменены от Кизикского моуравства, а теперь во уважение прозбы вашей, ко двору нашему принесенной, и за усердную службу вашу пожаловали вам Кизикское моуравство и сардадьство, в кои ни[кт]о да не вступается, и да не изменится ми(лос)ть сия вам ни нами, ни последствующими [по] нас царям, и да ошастливит вам бог (сим) в верной нашей службе. Приказываем убо (дш)ра нашего чиновникам утверждать вам по [вель]бене сие. Написано двора нашего кахетинским (мд)и-ваном Отаром Фабуловым.

Мая 10-го дня, 1800-го года.

На подлинном приложены печати: царя Георгия, царицы Марни.

Переводил священник Алексей Петриев.

№ 128

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 409

Перевод с грузинского

Господин моурав Реваз! Вы уже имеете грамоту от нас на моуравство селения Кирихлу^{*}, откуда назначаем вам пользоваться следующим образом: жители сего селения должны два дня для вас пахать и делать гряды для сарацынского пшена по прежнему; с каждого же дому ден(ь)ги должны вам отдавать по 30 ко(п). Сверх сего следует вам получать свадебные ден(ь)ги и штрафные за пролом головы; да также из всех доходов, из оного селения Кирихлу нам принадлежащих, отдаем вам десятую часть, которую и имеете получать. Февраля 25-го дня, 1783-го года.

Из штрафных денег, нам принадлежащих, получить вам четвертую часть, а прочную внести в казну.

Приложена печать Георгия, когда он еще был царевичем.

Переводил священник Алексей Петриев.

* სხვასმული მთარგმნელის მიერ.

საბ. 129

ფ. 2(8), ს. № 37, ფურც. 13

მის ბრწყინვალეობას, უფალს, ს[რულია]დ საქართუშლოს უპირატეს მთავარ მმართველს, კნიაზს ციციანოეს პავლე მიტრისს (sic), მოწყალეს გელმწიფეს. ვითხოვ(ვ) სამცხეთოს სარდალი და მოურავი მცხეთისა გედაონის ძე კნიაზი ბეცია.

ვევედრები თქვენს ჩბრწყინვალეობას რომელიც მეფე(ვ)ბთავან და პატრი-არხოთავან წყალობა მჭირებია, სამცხეთოს ხიდის ბაჟი ძველათვე ჩემის ოჯახისა არის და ღრამატებიც ხელთ მიჭირამს. ღრამატები ნახოს თქვენმა ბედნიერმა თვალმა და აღმისრულდეს ჩემი თხოვნა.

ღვინობისთვის ით(19), ქუკს უქა(1803 წ.).

საბ. 130

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 252

Перевод с грузинского

(1). Повелеваем сим тебе сардаря Гедеонова сыну Гогие. Имеешь ты у мцхетинского моста поставить людей, сколько надобно будет, и быть острожному, чтоб никакого урона не зделалось у моста, и чтоб не могли проходить через мост лезгинцы ни с которой стороны, а то ты не в состоянии, будешь нам отвечать и взыщется с тебя, и при том сколько можешь должен ты помогать Мцхете *) и предупреждать к осторожности. Какие же будут транспорты из Карталини *) , из Ксани *) , или Аргвы *) и из заречных сторон, то ты и нынешний год такие же должен брать мостовыя пошайны, как брато прошлого года и к в списке при повелении нашим написана.

Февраля 26-го дня, 1767-го года.

На подлинном приложена печать царя Ираклии.

(2). Повелеваем сим вам сардарю Шошие и Гогие Гедевановым. Так как из древле вы имели право иметь людей у мцхетинского моста и беречь оной, то и мы теперь вам отдаем оное право таким образом, чтоб мцхетинской мост и башня зберечь добропорядочно. По приказанию нашему и нашего брата католикоса приказанию нынешний год поставлен у оного моста Агдомела *). Какое же есть учреждение в разсуждении пошайн у оного места, пожал[овали] мы на то список и приказ; и как (в) оном списке и приказе написано, та(к) вы имеете брать пошайны, и ст[олбу]

* ხაზასმულია მთარგმნელის მიერ.

животворящему (т. е. Мцхети) *) должен помогать и должны стараться о прир[а]щении оногo.

Ноября 28-го дня, 1766-го год[а]. В разсуждении мцхетинской ограды, скол(ь)ко будет вам возможности, должны вы п(о)давать пособия.

На подлинном приложена печать царя Ираклия.

საბ. 131

ფ. 226, ს. № 9079

ქ. ბრწყინვალეო თავადო პაულე დიმიტრის ძეგ, მოწყალეო გელმწიფეგ-ჩემის შემოსავლის მოურაობის რომ მიბრძანეთ—რა ქონდა შემოსავალიო—ამას ქვემოთ მოგახსენებ:

§ 1. პ. ქ. პირველად ჩელიექისა მქონდა ოთხმოცი თუმანი.

§ 2. პ. ქ. მეორე ჭაშნიკი ჩემი საკუთარი იჯარა იყო, ამას გაცემდი ხოლმე ხან სამოც თუმნათ და ხან ოთხმოც თუმნათა. უფრო ოთხმოც თუმნად გაცემდი ხოლმე**.

§ 3. კ. ქ. სატარულო იყო ჩემი განწყსება, ოც თუმანს ავიღებდი.

§ 4. ი. ქ. თეჭი, ზეთის ხილი და ზეთი—ამასაც გაცემდი იჯარით ათ თუმნათ.

§ 5. ა. ხ. ქ. აღდგომისა და ნათლისღების დღეს მესანთლები მომართმევდნენ ხოლმე ოთხ ლიტრას წმინდას სანთელს, თექვსმეტი მინალთუნი.

§ 6. ბ. შ. ქ. ახალწლის შაქარი მამერთმეოდა ასნაფილამ, ოცდა ოთხი მინალთუნი.

§ 7. დ. ქ. აღდგომას ბატკანს მამგვრიდა ყოველი ასნაფი, ამის ფასი ოთხი თუმანი.

§ 8. კ. ქ. პირველი იანვარი რომ დადგებოდა, სამი დღე ქალაქის კარები მე მეჭირა; რაც ბაჟი შემოვიდოდა ნახევარს მე ავიღებდი და ნახევარი სამეფო იყო. ამას რაოდენობა არ ერქო, ბევრ[ჯელ] ბევრს ავიღებდით, ბევრჯელ ცოტასა. აქედამაც ოცი თუმანი წომივიდოდა.

§ 9. ა. შ. ქ. წელიწადში ყასპებს ნიხრს რომ ვადაუჭრიდით, ამათგან გვერგებოდა, რამდენჯერაცა, ორმოცდაათი ლიტრა ხორცი. რომ იქს ამისი ფასი, თითო გაჭრისა, თხუთმეტი მინალთუნი.

§ 10. ა. ც. ქ. დიდმარხვა რომ დადგებოდა, ბაყლები მომართმევდნენ სამარხოს, თავისის ნივჯით, ორმოცდა ათს ლიტრას. ამისი ფასი თორმეტი მინალთუნი.

§ 11. ა. ჯ. ქ. შობასა, ნათლისღებასა და ყველიარში ბრინჯს მამცემდენ ოც ლიტრას თავისის ერბოთი. აგრევე, ყასპები შობასა და ნათლისღებას მომცემდენ ოთხ ჭედლს. ამისი ფასი იქს თვრამეტ მინალთუნს.

* განმარტებულია მთარგმნელის მიერ.

** ამ საბუთში ჩვენს მიერ ხაზგასმული ჩამატებულია სხვა ხელით. როგორც ვესტატი-ციციანოვის ხელმოწერიდან ჩანს, ეს ჩამატებები გაცემებულია მის მიერ.

§ 12. გ. ქ. ძროხის ქონსა და ღორის ქონს მამცემდენ ყასპები და მელორე(ე)ბი. აქედამ მერგებოდა სამი თუმანი.

§ 13. ა. წ. ქ. ღვინის ნიხრს შივეცემდი—სარაჯები მამცემდენ თოთხმეტ შინალთუნს.

§ 14. ა. ქ. წვრილანი შემოსავალი მერგებოდა აქედამ—იქილამ ერთი თუმანი.

§ 15. ი. ქ. მოქალაქე რომ იჩივლებდა ჩემთან, აქედამ სადიამბეგო მერგებოდა თუმანზედ ხუთი აბაზი. არც ამას დაედება ფასი. ბევრჯელ ბევრი შოვიდოდა, ბევრჯელ ცოტა. აქედამაც ათი თუმანი მერგებოდა.

§ 16. ე. ქ. ბატონი ვისაც გაუწყებოდა და ჯარიმას წაართმევდა, იმისი ათის თავი ჩენი იყო. აქედამაც მერგებოდა თუმანი ხუთი.

§ 17. ი. ქ. სხვარიგათ ჯარიმას ვისაც წაართმევდით, ბევრჯელ ბევრი იქნებოდა და ბევრჯელ ცოტა და ამისი ფასი არ დამიწერია (ათი თუმანი).

§ 18. ი. ქ. თავი რომ გაუტყდებოდა ჩხუბში კაც(ს), იმისი ჯარიმა ჩემი იყო, ბატონს საქმე არ ქონდა (ათი თუმანი).

§ 19. ე. ქ. ჩემის ნაცვლისაც იყო სარგო ხუთი თუმანი.

სხვა ხელით: „თავადი ეესტათი ციციანოვი“.

ნაბ. 132

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 463

Перевод с грузинского.

Его высочеству щастливому государю донесение от тифлисского муравя Евстафия.

При милости вашей имею я муравство, но должностию мою управляют другие, а я нахожусь праздным. Прешу покорнейше приказать управлять должностию моею и служить вам так, как отец мой оную правил и исполнять службу вашу, дабы могли [в]се узнать, что я нахожусь в службе вашей.

Апреля 28-го дня, 1800-го года.

Переводил священник Алексей Петриев.

Сим нашим повелением мели[ку] Дарчи! должно тебе ведать о племяннике нашем, тифлиском мураве Евстафии, что во всех делах до него касающихся должен ты его спрашивать и быть ему на таком порядке, как был он доселе. Должен он разбирать дела управлять ими в Тифлисе. Дел до него касающихся без него тебе не делать.

Апреля 29-го дня, 1800-го года.

Мы вторично сим даем приказ, которой и выполнять *).

Приложена печать царя Георгия.

* სათვალავები დასმულია ჩვენ მიერ.

** ზემოთ, მარცხენა აწიახე მიწერილია მთარგმნელის ხელით: „революция“.

სახ. 133.

ფ. 226, ხ. № 9039

მათ ბრწყინვალეობას, უფალს, ლენერალ ლეიტენანტს, საქართველოს უპირატეს მმართველს და სხვათა ორდენთ კავალერს, თავადს პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს—

თავადის დარჩია ბეჰბუდოვის მიერ:

სამისი წელი ვიდრემე არს, რომელ გვარეულნი ჩვენნი მოსულან ტფილისსა შინა. იმ დროადგან ამ ჟამდმდე, ყოველთა დროთა და მფლობელობათა შინა ყოველთასა, პატივით უცხოვრიათ. წელსა ჩლიდ(1714) დაწყებთგან, საქართველოს მეფეთა მიერ ტფილისის მეღიქ-მამასახლისობა ჩვენს ოჯახს ჰბოძებია, და შემდგომად, საქართველო ესე ოდესცა ოსმანთ და ყიზილბაშთა სამფლობელოდ ყოფილა, დაუნახავთ გარჯა, ღვაწლი და ერთგულად სამსახური ჩვენი ქიეყანასა ამას ზედა მათ მიერცა დაგვიმტკიცებია და გარდა ამისა, განსვენებულმან მეფემან ირაკლიმ გვიბოძა მამაჩემსა და მე, სალოხუცესთა და მდივანთა თანა, საქართველოს სამეფო შემოსავალ-გასავალთა საქმეთა შინა დასწრებაჲ, და ეგრეთვე, განსვენებულის მეფის გიორგის მეფობაშიაც ვიყავ ამ თანამდებობაში. თუმცა მქონან მე ამისთვის ყოველთა ცვლილებათა შინა მიღებული წერილები, გარნა წარმომიდგენია მხოლოდ მეფეთა ვახტანგ, ირაკლი და გიორგის. და გვქონდა სახელოები ესე შეუხებელად აღსრულებადმდე განსვენებულის მეფის გიორგისა და გახსნადმდე მმართველობისა.

ინება რა ღმერთმან და ყოვლისა როსისა დიდის კელმჭიფის უმაღლესი სათარველი ქიეყანასა ამას მოეფინა, იმ ჟამითგან, ვითარცა სარწმუნო ერთგულ ყმასა მათის იმპერატორების დიდებულეებისასა, მისსახურნია ტფილისსა შინა ყოვლისა რუსეთის უმაღლესის ტახტისათვის, ყოველსა შემთხვევასა შინა, რომელსა ზედაცა მაქვს მოწმობანი მას დროს აქ მთავრად მყოფთაგან.

ბედნიერებასა ამას, რომელსაცა მოელოდნენ წინაპარნი ჩვენნი, ღირს ვიქმენით ჩვენ მიღებითა საუკუნოდ ყმობასა ქვეშე ყოვლად მოწყალისა კელმჭიფისასა. ხოლო, ვინათგან სათნო უჩნდა დიდებულეებასა მისსა გახსნა აქა მმართველობისა, ამით თანამდებობანი ჩვენნი განიყვნენ სხვათა და სხვათა ადგილთა შინა სასამართლოთათა. რომლისათვისცა უმდაბლესად ვთხოვ ბრწყინვალეებასა თქვენსა, რათა შეხვიდეთ მდგომარეობასა ჩვენსა და ამოქმედოთ მთავრობითი ზრუნვა თქვენი ჩვენთვის მორთმევესა და განხილვასა თანა სახელოთა და სასრებლობათა ჩვენთა. წრილთასა, რომელთაცა შემოსავალთა რიცხვისა არა დაამნიშვნელი, მივანდობ ყოვლად უხვსა მარჯვენასა დიდისა ერთმთავრისასა, მსასობელი, რომელ არა განაშორებს უმაღლესს მოწყალეებასა და პატივსა, მსგავსად მისსა, რომელნიცა ადრით ჟამითვე წინაპართა ჩემთა მიერ დაცულ იქმნენ შთამომავლობით ჩემადმდე, სხვათა და სხვათა აღრეულობათა და შეჭირვებათა შინა საქართველოსათა. გარნა ამასთანაცა, ვითარცა სახიერება და ჭირთლმსაჯულება ყოვლად უმოწყალისა კელმჭიფე იმპერატორისა, ესრეთვე ბრწყინვალეებისა თქვენისა ჩემდამი კეთილდაწყებაცა, მაძლევს ხვალ-

სათვის უეჭველსა და მკტიცესა იმედსა, ვითარმედ მივემთხვევი მე თქვენ ძლით ამასა ზედა უმაღლესსა მათის დიდებულების კეთილნებობასა.

თავადი დარჩია ბეჭბულოვი*.

წ. 1803, იენისის 18.

საბ. 134

ფ. 226, ს. № 9090

ტფილისის მელიქ-მამასახლისის] [სარგო]

რაც სარგებლობა ტფილისის მელიქსა აქვს, აგრეთვე, ეგოდენი სარგებლობა ტფილისის მამასახლისსა აქვს და აგრეთვე, თანამდებობაცა. როდესაც უწინ მელიქი სხვა ყოფილა და მასახლისი სხვა, შემოსავალი [ცა]ლ[ცა]ლკე აულიათ და როდესაც ეს ორივე სახელო ჩვენს ოჯახს ბოძებია, ორისავ სახელოთი ერთად გვისარგებლია.

§ 1. რაც ტფილისში მამულის სადაო და ან ვაჭრის სამართალი მოხდებოდა, ყველა მელიქ-მამასახლისთან და ქეთხუდების თან დასწრებით უნდა მოხედეს და იმ წერილს მელიქი დაბეჭდავს, ორისავ სახელოსათს ამ წერილის საბეჭდავს გამოართმევს, საქმის მიხედვით.

§ 2. რომელიც მოქალაქე ძმა ძმას გაეყრება ანუ ძმით შეეყრება, საშუალოს ქონებიდამ მელიქ-მამასახლისისათს ერთს ნივთს [რა]მეს აიღებდნენ ქონების მიხედვით და თუ იმ გვარი ნივთი [არ] იქნებოდა რა, თეთრს მისცემდნენ და ეგრეთვე, როდესაც იმათს [შე]ქრილობისას თუ გასამყრელს წიგნს მელიქ-მამასახლისი დაუბეჭდავდა, სიგლის დასამტკიცებელს საბეჭდავს მისცემდნენ. ეს სარგებლობა სხვათა ადგილთა შინა მოურავთა აქვსთ და ტფილისში მელიქ-მამასახლისისა იყო.

§ 3. რაც ტფილისში მამული გაისყიდებოდა, ნასყიდობის სიგელს მელიქ-მამასახლისი დაუმტკიცებდა; ამისთვის, რომელიც რ ხანად ტფილისში ოქრო მუშაობს, ორსავ მოხელეს თითო ოქრო უნდა მისცეს და თუ ძვირფასი მამული იქნებოდა ამისთვის მომეტებულიც.

§ 4. ტფილისელნი ვაჭარნი რომ მოვიდოდნენ სხვა ქვეყნით, თავიანთს ნებით მელიქ-მამასახლისს საღვათს მიართმევდნენ. ტფილისის მოურავს რადგან დამოყნიდამ, სამეფო შემოსავლიდამ, ჰქონდა სარგებლობა, ეს საღვათი იმის სამაგვიეროდ მელიქ-მამასახლისისათვის განუწყესებიათ.

§ 5. მეფენი რომ ტფილისში მამულისას ანუ სითარხნისას სიგელს უბოძებდნენ, იმ სიგელის ზურგზე, როგორც მოურავი, ეგრეთვე მელიქ-მამასახლისი დაუბეჭდავდა და საქმის მიხედვით საბეჭდავს მისცემდნენ.

§ 6. სამეფო ტფილისელთ ვაჭართ როდესაც გამოერთმეოდათ სულზედ გამოსაღები, რომელსა ეწოდების მალი, ცოლიანს ერთმეოდა სულზე ექვსი აბაზი და უცოლოთა სულზედ სამი აბაზი, რომლისიც ექვსის აბაზიდამ სამი

* ბეჭბულოვის მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2, № 49, ფურც. 476; ძველი პაგინაციით — 648.

შაური ჩემი იყო, ერთი შაური სალთხუცისა და მდივანთი და ხუთი აბაზი სამეფო.

§ 7. ტფილისელთაგან მოგვეცემოდა წელიწადში თორმეტი თუმანი.

§ 8. ტფილისელთ ასნაფთ აძევსთ ბედნიერს დღეში ძღვენი, როგორც ტფილისის მოურავს, ეგრეთვე მეღიქსა და მამასახლისს მიართმევდნენ.

§ 9. განჯილამ რომ ურმებით თევზი მოვა, ურმებდ სამი შაური მეღიქ-მამასახლისისა და ეგრეთვე ახალს თევზე იყო განწესება.

§ 10. ტფილისს გარეთ ბალებილამ იყო განწესება ახალში ღვინისა.

§ 11. სამეფო შემოსავალში და გასავალში დასწრებისათვის კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ გვიბოძა სამოცდა ათი თუმანი*. იქ დასწრებისათვის ჯამაგირი და არ მიიღო მამა ჩემა(!) და ამის სამაგიეროდ მეფეთაგან დანიშნენით გვეზო-ჭებოდა მამაჩემსაცა და მეც, ბედნიერს დღეებში, ზოგჯერ ღირსების ნივთი და ზოგჯერ თეთრი.

ტფილისს ნაცვლობა ჩვენი არის და იმისი სარგებლობაც იქნება ორმოც-დაათ თუმნამდის. კურთხეულს ტფილისის მოურავს თავადს დავით ციციანოვს და ჩვენ ნაცვლობის სარგებლობაზედ ცილობა მოგვიხდა, რომ ზოგი ერთი ნაცვლობის სარგო მოურავს მიჰქონდა და ამ მიზნით მამა ჩემა(!) ნაცვლობა დაზღვედა (sic) ჩვენის სამართლის გარჩევამდის. როგორც მეფის ირაკლის ოქმი გვიცხადებს, ნაცვლობა, ჩვენის დანიშნენით, სხვათ ებოძებოდათ ხოლმე. საქმის მართვაში და თანამდებობაში ისევ ჩვენ ვიყავით და ჩვენის სიტყვით ნაცვალი მოქმედებდა.

იქით პირზე რაც მეღიქ-მამასახლისის სარგებლობა სწერია, რიცხვით არ შეიძლება მოხსენება, ამისთვის რომ უფროსი ერთი [...] სარგებლობა თანამდებობას აძევს და ამისთვის იქნებოდა [ერთს] წელიწადს მეტი შემოსავალი ყოფილიყო და ერთს წელიწადს ნაკლები.

ტფილისში ჩემს შეუტყობრად არა მოხვდებოდა რა. აგრეთვე სამეფო შემოსავალში და გასავალში პატივი და სარგებლობა მექნებოდა და თუ არა, ეს თქვენმა ბრწყინვალეებამ გაშინჯოს.

მეღიქობა აზიელთაგან არის დაწესებული და იმათით პატივით იცნობა მდგომარეობა მათი და მამასახლისობა ქართველთ მეფეთაგან არის დაწესებული, თვით თქვენი ბრწყინვალეობა სცნობს.

თავადი დარჩია: ბებუთოვი**.

* უკანასკნელი სამი სიტყვა დაწერილია ნახს ზემოთ იმავე ხელით.

** საბუთი უთარიღოა, ცხადია ეკუთვნის იმავე დროს, როცა დაწერილია დარჩია ბებუთოვის განცხადება—1803 წ. 18 ივნისს. საბუთი პარაგრაფებად დაყოფილია ჩვენ მიერ. მისი არუსული თარგმანი იხ. დ. 2, № 49, ფურც. 474—475.

საბ. 135

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 471

Перевод с грузинского.

Повелеваем тифлис[с]ким первостатейным купцам, высшим и нижним: всем гражданам, что мы нашего города Тифлиса меликство пожаловали Бехбудову сыну Ашхарбегу на тех правах, как в старину обикновения меликския бывали и ползования, и как прежде другие мелики городом распоряжали[сь], так и ему следует поступать, коему и повинуйтесь вы как по нашей службе, так и по всем к чину его принадлежащим делам; никто да не будет ему ослушным, опасаясь строгого от нас взыскания. 1702-го года.

Подлинное подписал царь Вахтанг * 1.

С подлинником верно, священник Алексей Петриев.

საბ. 136.

ფ. 2(8), ს. № 49, ფურც. 472

Перевод с грузинского

Божиею милостию мы, Иссеев, Давыдов, Соломонов, Багратион царь Кахетинский и Карталини и Казах-Борчалинский владетель Ираклии второй, супруга наша урожденная княжна Дадянова царица Дария, первожденный и вожденный сын наш Георгий, Леон и Иулон пожаловали сию на вечные времена не изменяемую грамоту и вид на наследственные и в потомственные чины вам издревле от самых предков верне нам служавшим мишкарбашу Аге мелик Ашхарбекову сыну, внуку Ходжа-аги, детям твоим: Аветику и Ивайу утверждая вас мелником, мамасахлисом и нацвалом на таком положении и порядках, каковы были поднесь по чинам тем, касательно управления делами городскими, получения доходов и выгод, равнож утверждая и чин мишкарбаша с древними положениями и доходами; иметь вам чины сии и да осчастливит оными вас бог в верною нашей службе, и да неизменится сие никогда ни нами, ни последующими по нас преемниками нашими. Повелеваем убо двора нашего чиновникам и прави-

* საბუთის თარიღის გადმოტანაში მთარგმნელს შეცდომა მოსვლია. ეს საბუთი არ შეიძლება 1702 წ. ეკუთვნოდეს. ამ დროს ვახტანგი ჯერ კიდევ არ იყო ჯანიშინად. ამას გარდა, 1702—1715 წ., არა ერთი საბუთით, თბილისის მელიქად ვიღაც გიორგი ჩანს. აშხარბეგი კი მელიქად, ჩვენთვის ცნობილ საბუთებიდან, პირველად მხოლოდ 1715 წ. მოიხსენიება (ფ. 226, № 316). 1722 წ. საბუთით აშხარბეგი ისევ მელიქია (ფ. 229, დავთ. 14, № 25), ხოლო 1725 წ. საბუთში კი უკვე მელიქ-მამასახლისად იწოდება (იქვე, № 94). ასე რომ, აშხარბეგს თბილისის მელიქობა 1715—1724 წ. წ. შორის უნდა მიეღო და ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს ზემო-მოტანილი საბუთიც.

телям утвердить сие повеление и вид; вы же, первостатейные граждане и все купечество, должны быть ему послушны во всем как по службе нашей, так и по его правам, почитайте его за начальника и никто да не противится ему. Написано двора нашего мдиваном Евсеем Осеевым в городе Тифлизе. Мая 6-го дня 1760-го года

на подлинном приложены печати:



С подлинным верно: священник Алексей Петриев.

ხაზ. 137

ფ. 2(8), ხ. № 49, ფურც. 473

Перевод с грузинского.

От нас мелнку Дарчию да об'явится приветствие. Доходили до нас известия о твоей к нам верности о добропорядочной и ревностной службе и о управлении городом, да и уверены были мы в таковой твоей деятельности, но теперь еще подробнее донес нам Александр эшикагабаш; за такую усердную твою службу и за толика твоя об городе попечения весьма тебе благодаря, уверяю, что во взаимность таковой службы получишь от нас милость. И будь уверен, что, она не останется без награды. Надеюсь я, что ты более еще усугубишь старание к обезпечению города. А как по милости божней перекатилось уже поветрие, то старайся не впускать никого из зараженных мест, мы ежедневно ожидаем принссения святого коения, по получении оног, по благодати его, совершенно будет прогнана всякая болезнь. Ноября 10-го дня, 1798-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

С подлинным верно: священник Алексей Петриев.

ხაზ. 138

ფ. 226, ხ. № 9080

მათს ბრწყინებულებას, საქართველოს უმთავრესს [მმართველს], სხვათა ორდენთ კავალერს, თავადს პავლე დიმიტრიის ციციანოვს

ნაცვალი მიკირტუმ სურგუნოვის მოხსენება.

პირველ მეფემ ირაკლიმ უბოძა ჩემს მამას ნაცვლობა. შემდგომად მეფემ გიორგიმ მე დამიმტკიცა ესევე სახელო და რომელიც ამ ნაცვლობის სარგოყოფილა ქვეით მამისხენებია.

7. მას. ქართლ-კახ. სამეფოს სამ. წყ. ისტორ.

§ 1. ქალაქის მოვრავი (sic) აღებდა ჩელიქიდან ოთხმოცს თუმანს. იქი-
ლამ მე მქონდა განწყება უნდა ამელო რვა თუმანი.

§ 2. მოურავის ჭაშნიცილამა მქონდა რვა თუმანი.

§ 3. თევზის ურემზედ მქონდა თითოზედ თითო აბაზი. წელიწადში ხუ-
თასი ურემი შემოვიდოდა. მერგებოდა ათი თუმანი.

§ 4. ზეთი შემოვიდოდა წელიწადში ორასი საპალნე. საპალნეზედ მქონ-
და ნახევარი ლიტრა. ლიტრა ხუთ აბაზობაზედ იქს ათს თუმანს.

§ 5. ზეთისხილზედ საპალნეზედ ნახევარი ლიტრა. საპალნე მოვიდოდა
ორასი. ლიტრა სამ აბაზად; ჩემი სარგო ვიანგარიშით — იქს ექვს თუმანს.

§ 6. რაც ნალი შემოვიდოდა, საპალნეზედ ორი ჭედა ჩემი იყო. ასი სა-
პალნე მოსულიყო — ორასი ჭედა იქს რვა თუმანს.

§ 7. ბაყლებილამ მქონდა ორმოცი ლიტრა სამარხო ნიგვზით. სააღდგო-
მოდ მელუქნებისაგან მქონდა ოცდაცამეტი ბატკანი. თითო ხუთი აბაზი. სამი
თუმანი და სამი მინალთუნი.

§ 8. წელიწადში ბაყლებისაგანაც მქონდა ბრინჯი თავის ერბოთი. ორ-
მოცი ლიტრა ერთი თუმანი.

§ 9. ახალი თევზი რაც შემოვიდოდა, საპალნეზედ ერთი თევზი მერგე-
ბოდა. იქს ოთხს თუმანს.

§ 10. რაც ორაგული გაიქრებოდა, თითოზედ თითო ჩარეკი მქონდა.
[იქს ორა]გულისას ორს თუმანს.

§ 11. მობარშულ თევზზედ საპალნეზედ ნახევარი ლიტრა მერგებოდა.
დადგებოდა წელიწადში ორი თუმანი.

§ 12. ძროხისა და ღორის სუეები, წელიწადში მომივიდოდა ხუთი თუ-
მანი.

§ 13. საცა ღორი დაიხოცებოდა წელიწადში ორ-ორ ლიტრა ქონს,
მხარსა და ბარკალს მამცემდნენ თითოს გატუსვილის ბურჯაკით. ესენი წლისა
ელირებოდა ორს თუმანი.

§ 14. ყასაბხანილამ მქონდა წელიწადში სარგო ორმოცი ლიტრა ხორცი
და ოთხი ცხვარი. ელირებოდა სამ თუმანად.

§ 15. ყასაბს დუქანზედ ოროლი ლიტრა ძროხის ქონი, ერთი თუმანი.

§ 16. ბაზრილამ მქონდა რომ ჰასასის ფულილამ მერგებოდა წელიწადში
ათი თუმანი. ნაცვლობის სიველიც მამირთმეგია მეფის გიორგისაგან ნაბოძები.
ამას გარდა, რაც ბატონისათვის ჯარიმას ავიღებდი, ათის თავი ჩემი
იყო.

პლემ (ოთხმოცდაოთხი თუმანი და ორი ბისტი) ქ. ჯარიმის სარგოს
გარდა, ამ ჩემის სარგებლობის ჯამი იქნება.

ავგისტოს კშ (28), წელსა ჩყ (1803) აგრეთვე მქონდა ოსისა და აქ მო-
წვეულის თავაურების ზედამდგობა; რაც ბატონისაგან იმათ ებოძებოდათ, ათის
თავი ჩემი იყო.

მაიორი მიკირტუმ სურგუნოვი *.

* მიკირტუმ სურგუნოვის განცხადებით, ნაცვლობა ნასზე წინ მის მამას ჰქონდა; გიორ-
გის ქვემოთბრანილ სიგლით კი მას (იხ. საბ. 139) რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მიკ. სურგუ-

ნაბ. 139

ფ. 2(8), ხ. № 49, ფურც. 466

Перевод с грузинского.

Божиею милостию мы вся Грузин, Карталинни, Кахетии и прочих царь Георгий, сию милостивую грамоту и вид пожаловали нам верному и усердно служившему капитану дворянину Микиртуруму Сургунову в том, что так как чин тифлис(с)кого нацвала имел от покойного царя и родителя нашего брат твой, то теперь во уважение прозбы твоей ко двору нашему принесенной и в вознаграждение верной службы твоей, жалуем тебе нацвалом города Тифлиса со всеми по чину тому выгодами и положенными доходами. Пользуйся чинном сим и да будет тебе во щастие к верной нашей службе, и никогда да небудешь онога лишен ни нами, ни последствующими по нас царями и владетелями. Повелеваем убо двора нашего чиновникам, тифлисским моураву и мелик-мамасахлису утвердить и им сию нашу милость. Написано двора нашего мдиваном Элазаром Палавандовым.

Генваря 24-го дня, 1800-го года.

Приложена печать царя Георгия.

Мы вся Грузин наследник, российской генерал-лейтенант и кавалер, Давыд утверждаем. Приложена печать его.

[С] грузинского переведил священник Алексей Петриев.

ნაბ. 140

ფ. 2(8), ხ. № 49, ფურც. 512

Его сиятельству, господину генерал-лейтенанту, главноуправляющему в Грузии и разных орденов кавалеру, кнзю Палву Димитриевичу Цицианову.

Дворянина Гаврила Корганова * инокорнейшее прошение.

ნოვის განცხადება უფრო სარწმუნო, ხოლო გიორგის სიგელში თბილისის ნაცვლად მიკირტუმის ძმის მოხსენება. საბუთის მთარგმნელს შეცდომად უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია შემდეგიც: დარჩია მელიქის ცნობით (იხ. ფ. 226, № 9090) და ერეკლეს 1760 წ. სიგელი (ფ. 2, № 49, ფურც. 472) ირკვევა, რომ ნაცვლობა, მელიქ-მამასალიაობასთან ერთად, ბებუთოვებს ჰქონიათ. მაგრამ. დარჩიასიფი ცნობით, თბილისის მოურავს დავით ციციშვილსა და მელიქ ავეტიქას ნაცვლობის სარგოზე ცილობა მოსულიათ. ალბათ ამით აიხსნება, რომ ბებუთოვებმა ნაცვლობა დაკარგეს და ერეკლემ 1794 წ. შერამზან სურგუნოვს უბოძა ეს სახელო (იხ. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, I, 128), ხოლო 1798 წ., გიორგის ბრძანებით, თომა ისპაშვილს მიეცა (ფ. 227, № 986). 1800 წ. კი მიკირტუმ სურგუნოვს. ამრიგად, მიკირტუმ სურგუნოვისა და დარჩია ბებუთოვის „მოსუნებებს“ შორის მოჩვენებითი წინააღმდეგობა იხსნება.

მ. სურგუნოვის მოხსენების რუსული თარგმანი იხ. ფ. 2 № 49, ფურც. 465.

** დედანში—„Курганова“

Во время бывшей здесь в Тифлисе язвы и слуха, что Омар-хан с войском намерен напасть на Грузию, царь Георгий и все жители вышли из оного, а мне от царя приказано было с двенадцатью человеками кананеров остаться для охранения здешнего города, обещая щадро за то наградить, почему я и оставался в оном. А по возвращении царя Георгия определен тифлисским комендантом с произвождением жалованья в месяц по тридцати рублей серебром, и порциею позднешнему обычаю. Всего же получал я в год более шестисот рублей, и еще подарен дом, который по решению Верховного Грузинского правительства гражданской экспедиции, отдан наследнику оного. Я, чрез лишение должности и дома, пришел в крайнюю разстройку. Вашего сиятельства все покорнейшее прошу по изъясненным обстоятельствам, оказать отеческое ваше ко мне снисхождение, представлением куда следует о вознаграждении меня за сии потери, на что и ожидаю милостивой резолюции.

Мая 15 дня 1803 г.д.д.

ყორღანაშვილი გებრიელი

საბ. 141

პირი

ფ. 227, ს. № 872

ქ. ჩვენ მაგიერად მელიქს დარჩიას ასე ეუწყოს! შერე, ქალაქი რომ კირი-საგან აიყარა, მაშინ ყორღანაშვილი გებრიელი ციხეში დაეაყენეთ და სხუაწყალობასაც დაეპირდით და ერთი ბეთთალმანი სახლიც უნდა მიგვეცა რომ იმ უამისა ჩვენი ოქმიც უჭირავს და ალა-მაჰმად-ხანის მოსვლაზედ შოღინის ტერ-გეურქა ამოწყვეტილა და იმისის ცოლის მეტი აღარავინ დარჩომილა და ყორღანაშვილს გებრიელს იმ ტერ-გეურქას ნასახლარში ზოგიერთი შენობაც გაუყეთებია და ის სახლის ალაგი ჩვენი ბეთთალმანი არის. მანამ ტერ-გეურქას შვილი გამოჩნდებოდეს და მოვიდოდეს, ის სახლები გებრიელისათვის გვიბოძებია და როდესაც იმ სახლის პატრონის შვილი გამოჩნდება სადმე და მოვა, ის თავისი სახლი ისევ იმისი იქმნება და მას უკან ჩვენ გებრიელს სხუას სახლს უბოძებთ. და თუ არსად გამოჩნდება და არც მოვა, ბეთთალმანი არის და ჩვენი არის, გებრიელისათვის გვიბოძებია. და მანამ ის დედაკაცი ცოცხალი იყოს ერთს სახლში უნდა იდგეს.

ოქტომბრის იბ (12), ქკს უზზ (1799 წ.)

მეფე
გიორგი

საბ. 142

[პირი]

ფ. 227, ს. № 872

(1) ქ. ბატონო სარდალ-სალთხუცესო მუხრანის ბატონო იოანე და მელიქო-დარჩიავ! შერე, ამ გებრიელ ყორღანაშვილს განწყესებულს ულუფას ნუ დააკლებთ და რაც დაკლებოდეს ისიც მიეცით. მაისის იბ(12), ქკს უზზ(1799 წ.).

გიორგი

[პირი]

(2) ქ. ბატონო სალთხუცესო, მუხრანის ბატონო იოანე და მელიქო დარჩიავ! მერე, ამ გაბრიელ ყორღანაშვილს, რაც რომ ჩვენგან წყალობა სჭირს და ულუფა აქუს გაჩენილი და განწესებული, მუდამ ყოველთვის აძლიოთ. თუნდა ქალაქშიც არ იყოს ეს გაბრიელ და სხუაგან ჩვენს სამსახურზედაც იყოს წასული, ეს ულუფა ამის ცოლშვილს უნდა მიეცემოდეს ხოლმე და აძლიოთ. არ მოგებარება ამას ულუფა. ამ ზამთრობით ორის ცხენის ქერსაც მისცემდეთ ზოლმე.

იანვრის ბ(2), ქკს უპზ(1799 წ.)

გიორგი

ამისი ასლი მივიღე, გაბრიელ ყორღანოვი.

საბ. 143

ფ. 227, ს. № 977

პირი ასლიდამ გარდმოღებული.

ქ. ჩვენ მეფემან ყოვლისა საქართველოსამ, კახეთისა და სხვათა გიორგიმ, ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ჩვენს ყმას ერთგულს და ნამსახურს მოქალაქეს იფრუმანთ როსტომასშვილს ხატიას და მამას შენსა შუშრობს კაკალს, ასე რომ ქალაქის ბაზრის ბაზაზბაშობის დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ქალაქის ბაზრის ბაზაზბაშობა ასე რომ, როგორც ამას წინათ ბაზაზბაში მოქცეულან შენც ისე უნდა მოიქცეთ (sic!) და რაც ჩვენის სარქვისათვის და ან სხვისათვის ბაზარს ან ერთმოდეს და ან ეძლეოდეს, ეს ყველა უთქვენოთ არ უნდა მოხდებოდეს და რაც ამას წინათ ბაზაზბაშის რუსუმი და სარგო ქონდესთ თქვენც ისე უნდა მოგვეცემოდესთ. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ჩვენს სამსახურსა და ერთგულობასა შინა. აწე გიბძანებთ ქალაქის მოურავო, მელიქ-მამასახლისო და ჩვენო მოსაქმენო, ეს ჩვენი ნაბოძები წიგნი თქვენც ასე დაუმტკიცეთ.

ალიწერა ნოენბრის ივ(16), ქკს უპზ(1799 წ.)

ბეჟედი მეფის
გიორგისა

საბ. 144

[პირი]

ფ. 227, ს. № 823

მათის უმალღესობის ბედნიერის გელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ერთობლივ მეწერილმანებისა. თქვენის ბრძანებით ასლანას უსტაბაშობაზე კელი ააღებინეთ. ჩვენ უიმისოთ იოლს ვერ წავსულვართ.

გვედრებით მოწყალეობა მიიღოთ, იმისი დანაშაულება ჩვენ გვაპატივით და ისევ ამაზედ უსტაბაშობის მოწყალეობა მიიღოთ და უბოძოთ.
მაისის კე(25), ქკს უპმ(1800 წ.)

საბ. 145

[პირი]

ფ. 227, ს. № 825

ჩვენი ბრძანება არის ასლანავ, მერე თუ აღარ მოგვატყუებ და ჩვენს სამსახურზე ბეჯითად იქმნები, მეწვრილმანების უსტაბაშობა ისევ შენთვის გვიბოძებია. მეწვრილმანებო! ესევე დაგვიყენებია თქვენს უსტაბაშოთა.
მაისის კო(29), ქკს უპმ(1800 წ.)

მეფე გიორგი

საბ. 146

ფ. 226, ს. № 8973

მათის იმპერატორების დიდებულების უმაღლესის ბრძანებისაშერა გამოცეულისა თქვენისა უწყებითა წარმოგიდგენ, ბრწყინვალეო კნიაზო, პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს, ჩემს სარგებლობისათვის წერილსა ამას თავადი საშუბარათოვი, რომელსაც მეპყრა შეუცვლელად ჟამს მეფის გიორგის აღსრულებამდე ეს სახელოები: ძველის თაქლის მოურაობა და სხვა სოფლების ელიადასობა.

ძველის თაქლიდამ მქონდა სამოურაო განწესება

§ 1. კ. ქკ. ამ თაქლიდამ სამოურო სარგო მქონდა წელიწადში ექვსთუმან ნახეიარი.

§ 2. დ. ქ. აქავ. თავის გასამტებლო, ან ერთი თუმანი, ან ერთი ხარიკომლზე.

§ 3. დ. ქ. ვინც ქორწილს იქმოდა, ან ქალს გათხოვდა, ან სხვიდამ მოიყვანდა, აქედამ მერგებოდა ან ერთი კარგი საფენი, ან ერთი თუმანიკომლზე.

§ 4. ი. ქ. ვინც და(ა)შავებდა და ჯარიმა გარდახდებოდა, ის ჯარიმა სამსწილად განიწილდებოდა: ორი წილი ბატონისა იყო და ერთი წილი ჩემი იყო. რაც წვრილი ჯარიმა იყო, ის კი ჩემი იყო. აქედამ მერგებოდა წელიწადში ათი თუმანი, ხან მეტი.

§ 5. დ. ქ. აღდგომისა და შობას, ვისაც ცხვარი ყავდა თითოს ცხვარსამავრიდნენ, ყველიდამ ყველსა და ერბოდამ ერბოსა. აქედამ მერგებოდა წელიწადში ოთხი თუმანი.

§ 6. დ. ქ. მთიდან რომელი ჩამოვიდოდა, კომლზე ერთს ქვის მარალს მო-
მიტანდნენ ვისაც შევლება ქონდა. აქედამ მერგებოდა წელიწადში ოთხი თუმანი.

§ 7. დ. ქ. მტრიდამ რასაც მოიტანდნენ, ათის თავი ჩემი იყო აქედამ
მერგებოდა ოთხი თუმანი

§ 8. ქ. ვინც გაიყრებოდა, გასამყრელო ერთი ხარი ჩემი იყო. აქედამ
მერგებოდა წელიწადში ან ხუთი [თუმანი ან ექვსი თუმანი, ხან მეტი.

§ 9. ქ. კომლზე თავიანთ ხარით ორ დღეს მიხნამდნენ და ორ დღეს
მიმკიდნენ.

§ 10. ქ. ამავე სამოურო თაქლიდამ ორიც მსახური მახლდა.

ელბეგობის განწესება

ო ქ. დიდის შულავრიდამ ათი თუმანი მერგებოდა წელიწადში სხვის
სარგოს გარდა.

პ ქ. პატარა შულავრიდამ ორი თუმანი წელიწადში სხვის სარგოს გარდა.

გ ქ. ძველი სარაჩლიდამ სამი თუმანი წელიწადში სხვის სარგოს გარდა.

ბ ქ. ახალი სარაჩლიდამ ორი თუმანი სხვის სარგოს გარდა.

დ ქ. არახლუდამ მერგებოდა ოთხი თუმანი სხვის სარგოს გარდა.

დ ქ. ახლის თაქლიდამ ოთხი თუმანი მერგებოდა წელიწადში სხვის
სარგოს გარდა.

ამ მშობსენებაში (sic) ექვსასი კომლი კაცი მეზარა, ეს სარგო მქონდა.

იქმნა ამისი ჯამი, მსახურსა, ხენასა და მკას გარდა, სამოცდა ექვსი თუ-
მანი და ნახევარი, გვ.ქ.

სხვა ხელით: „თქვენის ბრწყინვალეების მონა თავადი სამ ბარათოვი“*.

საბ. 147

ფ. 2 (8), ხ. № 49, ფურც. 129

(1). Есть наше повеление Саам Саамов! токинскოй кочевой народ из
древне были казенные да и теперь в числе оных же положили, но как и пред-
сим были бы тамо моуравом и ныне вас жалуем токинским моуравом, ибо
ни его высочество, покойной отец наш их никому не жаловал и мы никого
отдать не можем из казенных людей и которые из древле были казенными
и теперь должны быть казенными. Ежели вы от кого либо повеление или
приказ получите, или пребудет чей человек, не должны вы их пуцать к ним.
Ежели кому позволите оным надроом распоряжаться, мы взыщем с вас, а
как с усердностию сопряженная служба ваша нам вами оказана, и отец ваш
мдиванбек, коринасаулбаш Залл оказывал много усердной службы, то пото-
му вас жалуем над пыми моуравом. Мая 14-го дня, 1800-го года.

На подлинном приложена печать царя Георгия.

